*დანართი №5*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

*(სსიპ ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლა)*

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ია ქურიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

**წევრები:**

მაგდა მიქაბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);
მზევინარი დარბაისელი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ინგა ხავთასი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო მოლაშხია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
ნაია ენდელაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
გიორგი ჩაჩუა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა შალამბერიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნატო გაბოშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მურად ფახურიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ჭანტურიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 245428979 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქ. ბათუმი |
| ფაქტობრივი მისამართი | გორგასალის ქ. 122 |
| საფოსტო ინდექსი | 6004 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | https://skolebi.emis.ge/schools/299?schoolName |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | Batumi3@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 577304313 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 04 ივნისის N MES 2 26 0000667262 ბრძანება ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ქალაქ ბათუმის №3 საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ’’ |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2026 წლის 24-25 ივნისი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

*„ზოგადი განათლების შესახებ“* საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| 1 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითის | ქართული | ბათუმი, ვ. გორგასლის ქ. N122 (3 შენობა-ნაგებობა) |
| 2 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული | ბათუმი, ვ. გორგასლის ქ. N122 (3 შენობა-ნაგებობა) |
| 3 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული | ბათუმი, ვ. გორგასლის ქ. N122 (3 შენობა-ნაგებობა) |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4 | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | რუსული | ბათუმი, ვ. გორგასლის ქ. N122 (3 შენობა-ნაგებობა) |
| 5 | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | რუსული | ბათუმი, ვ. გორგასლის ქ. N122 (3 შენობა-ნაგებობა) |
| 6 | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | რუსული | ბათუმი, ვ. გორგასლის ქ. N122 (3 შენობა-ნაგებობა) |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*სსიპ ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლაში 2026 წლის 24 და 25 ივნისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი. ექსპერტთა ჯგუფის წევრები ვიზიტამდე გაეცნენ სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და დოკუმენტაციას. დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე, ქართულ და რუსულ ენებზე.*

*ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ განხორციელდა მატერიალური რესურსებისა და სასკოლო გარემოს დათვალიერება, თანამშრომელთა და მოსწავლეთა პირადი საქმეების, სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან პედაგოგების პორტირებული მონაცემების განხილვა და იმ დოკუმენტაციისა და სკოლის პრაქტიკული საქმიანობის შესწავლა, რამაც საშულება მისცა ექსპერტთა ჯგუფს შეფასებულიყო სტანდარტები და სტანდარტის ცალკეული კომპონენტის/ინდიკატორის სტანდარტთან შესაბამისობა.*

*საგნობრივ ექსპერტებს, სხვა საკითხებთან ერთად, უნდა განეხორციელებინათ სასწავლო პროცესში გამოყენებული კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო რესურსების შესაბამისობის დადგენა მოქმედ კანონმდებლობასთან. ზემოაღნიშნული განხორციელდა მატერიალური რესურსებისა და სასკოლო გარემოს დათვალიერების, ინტერვიუირების, ასევე, იმ ფოტომასალის საფუძველზე, რომელიც ვიზიტის პერიოდში, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების მიერ გადაეგზავნათ საგნობრივ ექსპერტებს.*

*ვიზიტის პროცესში ექსპერტები კომუნიკაციაში იმყოფებოდნენ სკოლის წარმომადგენლებთან და განხორციელდა არაერთი ინტერვიუ სასკოლო საზოგადოების წევრებთან (მშობლებთან, მოსწავლეებთან, ადმინისტრაციის წევრებთან).*

*ვიზიტის ბოლოს, ექსპერტებმა მიაწოდეს ინფორმაცია სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის პროცესში გამოიკვეთა. ვიზიტის ფარგლებში გაიცა ზეპირი რჩევები და რეკომენდაციები. სკოლის ადმინისტრაცია თანამშრომლობდა ექსპერტებთან და აწვდიდა ყველა საჭირო მოთხოვნილ ინფორმაციასა და დოკუმენტაციას.*

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

# ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2** | ☒ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| პერსონალის განვითარება | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☐ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☒ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 4.1**<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| მოსწავლეთა რაოდენობა: 2400 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება სკოლის მიერ მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ ოდენობას (2400 მოსწავლე) იმ შემთხვევაში, თუ მოხდება ახლად აშენებული შენობის სარგებლობაში მიღება და ექსპლუატაციაში შესვლა, ამასთან, სასწავლო პროცესი წარიმართება სკოლის სარგებლობაში გადაცემულ ყველა შენობაში და 2 ცვლაში. |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N* | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N* | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N* | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)* | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N* | | |

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

*1* გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

| *სტანდარტი N3* | **სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა** | *სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N3.1.2.4* | პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს | **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში უზრუნველყოს:**<br>• **დაწყებით საფეხურზე, როგორც ქართულ, ასევე, რუსულ სექტორზე** - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, ფიზიკური აღზრდის და მე და საზოგადოების, **დაწყებით საფეხურზე, ქართულ სექტორზე** - ბუნებისმეტყველების, **რუსულ სექტორზე, საბაზო საფეხურზე** - ,,ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის)'', **რუსულ სექტორზე, საშუალო საფეხურზე** - არჩევითი საგნის - ხელოვნების ისტორიის, **ქართულ სექტორზე, საბაზო საფეხურზე** - ქართული ენისა და ლიტერატურის კვალიფიციური მასწავლებლების დასაქმება, რომლებსაც ექნებათ შესაბამისი საგნების სწავლების უფლება ან/და უზრუნველყოს მოქმედი მასწავლებლების მიერ შესაბამისი საგნების სწავლების უფლების მოპოვება (შესრულების საბოლოო ვადა: 15.09.2026);<br>• კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმება (შესრულების საბოლოო ვადა: 31.12.2026);<br>• თანამდებობრივი ინსტრუქციების მე-20 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სკოლის ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა (შესრულების საბოლოო ვადა: 15.09.2026);<br>• სკოლაში დასაქმებული თანამშრომლების საზღვარგარეთ გაცემული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების დადგენილი წესით აღიარება (შესრულების საბოლოო ვადა: 10.2026). |
| *ინდიკატორი N3.4.1.1* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, | **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, ახალ აშენებულ შენობასთან მიმართებით, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.09.2026-მდე) უზრუნველყოს:**<br>• ვიდეომონიტორინგის სისტემის დამონტაჟება ფიზიკური უსაფრთხოების კონტროლის მიზნით;<br>• უფლებამოსილი ორგანოს მიერ შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შეფასება და შესაბამისი დასკვნის მოპოვება; |

| | | |
|---|---|---|
| | უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა | • საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება და უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმება;<br>• სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შესაბამისი უფლებამოსილი უწყებისთვის მიმართვა. |
| *ინდიკატორი N3.4.1.2* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (31.12.2026-მდე) უზრუნველყოს კანონმდებლობის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის დასაქმება. |
| *ინდიკატორი N3.4.1.4* | სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.09.2026-მდე) სკოლის საპირფარეშოებში უზრუნველყოს პრივატულობა, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად. |
| *ინდიკატორი N3.5.1.1* | სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით | **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.09.2026-მდე) უზრუნველყოს:**<br>• სკოლის ეზოში არსებული ახალ მშენებარე შენობის სკოლის სარგებლობაში ოფიციალურად გადაცემა და ექსპლუატაციაში შესვლის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოპოვება;<br>• ახალი შენობის საჯარო რეესტრში დარეგისტრირება და შესაბამისი ამონაწერის მომზადება. |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N3.5.1.2* | დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.2026-06.2028) უზრუნველყოს სკოლის სრული შენობის ადაპტირება შშმ პირებისთვის. |
| *ინდიკატორი N3.5.1.4* | სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.2026-06.2028) უზრუნველყოს სკოლის ბალანსზე არსებული 2 ძველი შენობის სრული ადაპტირება შშმ პირებისთვის. |

| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი*<br>*(ქართული სექტორი - დაწყებითი საფეხური)* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| ინდიკატორი N2.2.2.4 | სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი | **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.09.2026-მდე) უზრუნველყოს:**<br>• სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, ფიზიკური აღზრდის და ბუნებისმეტყველების კვალიფიციური მასწავლებლების დასაქმება, რომლებსაც ექნებათ შესაბამისი საგნების სწავლების უფლება ან/და უზრუნველყოს მოქმედი მასწავლებლების მიერ შესაბამისი საგნების სწავლების უფლების მოპოვება.<br>• მე და საზოგადოების საათების იმ დაწყებითი მასწავლებლებისთვის გადანაწილება, რომლებსაც აქვთ აღნიშნული საგნის სწავლების უფლება. |

| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი*<br>*(ქართული სექტორი - საბაზო საფეხური)* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| ინდიკატორი N2.2.2.3 | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.2026-06.2027) უზრუნველყოს ლაბორატორიისთვის არსებული სივრცის ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდებით, გამწოვი კარადით, რეაქტივების შესანახად საჭირო რკინის კარადითა და სველი წერტილით აღჭურვა, სტანდარტების შესაბამისად. |
| ინდიკატორი N2.2.2.4 | სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმის შესაბამისად და განსაზღვრულ ვადაში (15.09.2026-მდე) უზრუნველყოს ქართული ენისა და ლიტერატურის საათების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მასწავლებლისთვის გადანაწილება. |

| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი*<br>*(ქართული სექტორი - საშუალო საფეხური)* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| ინდიკატორი N2.2.2.3 | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.2026-06.2027) უზრუნველყოს ლაბორატორიისთვის არსებული სივრცის ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდებით, გამწოვი კარადით, რეაქტივების შესანახად საჭირო რკინის კარადითა და სველი წერტილით აღჭურვა, სტანდარტების შესაბამისად. |

| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი* <br> *(რუსული სექტორი - დაწყებითი საფეხური)* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| ინდიკატორი N2.2.2.4 | სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.09.2026-მდე) უზრუნველყოს სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, მუსიკის, ფიზიკური აღზრდის და მე და საზოგადოების კვალიფიციური მასწავლებლების დასაქმება, რომლებსაც ექნებათ შესაბამისი საგნების სწავლების უფლება ან/და უზრუნველყოს მოქმედი მასწავლებლების მიერ შესაბამისი საგნების სწავლების უფლების მოპოვება. |

| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი* <br> *(რუსული სექტორი - საბაზო საფეხური)* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| ინდიკატორი N2.2.2.3 | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.2026-06.2027) უზრუნველყოს ლაბორატორიისთვის არსებული სივრცის ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდებით, გამწოვი კარადით, რეაქტივების შესანახად საჭირო რკინის კარადითა და სველი წერტილით აღჭურვა, სტანდარტების შესაბამისად. |
| ინდიკატორი N2.2.2.4 | სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.09.2026-მდე) უზრუნველყოს საგნის „ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის)" კვალიფიციური მასწავლებლის დასაქმება ან/და მოქმედი მასწავლებლების მიერ შესაბამისი საგნების სწავლების უფლების მოპოვება. |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>*(რუსული სექტორი - საშუალო საფეხური)* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| ინდიკატორი N2.2.2.3 | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (07.2026-06.2027) უზრუნველყოს ლაბორატორიისთვის არსებული სივრცის ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდებით, გამწოვი კარადით, რეაქტივების შესანახად საჭირო რკინის კარადითა და სველი წერტილით აღჭურვა, სტანდარტების შესაბამისად. |
| ინდიკატორი N2.2.2.4 | სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი | სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (15.09.2026-მდე) უზრუნველყოს არჩევითი საგნის - ხელოვნების ისტორიის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოქმედი მასწავლებლისთვის საათების გადანაწილება. |

## V. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.*

| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N3.1.1.1* | სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული | ***სკოლას მიეცა რჩევა,*** *თანამდებობრივი ინსტრუქციების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის ჩანაწერი მოიყვანოს შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან და ახალი დირექტორის შესარჩევი კონკურსის მარეგულირებელი მოქმედი ნორმატიული აქტი.* |

| | | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N3.1.2.2* | სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა | **სკოლას მიეცა რჩევა,** შიდა სასკოლო მარეგულირებელ დოკუმენტში ასახოს პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის განხორციელების პროცედურა. |
| *ინდიკატორი N3.3.1.1* | სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს | **სკოლას მიეცა რჩევა,** გადახედოს და მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებთან და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან (ესგ) შესაბამისობაში მოიყვანოს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ დოკუმენტში არსებული რამდენიმე მოძველებული ჩანაწერი, კერძოდ:<br>• დააკორექტიროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება/დამტკიცების ვადები;<br>• საგაკვეთილო დაკვირვებისა და მონიტორინგის ფუნქციები დოკუმენტში სრულად უნდა გადანაწილდეს სკოლის რეალურ სტრუქტურულ ერთეულებზე/დასაქმებულ პირებზე, ვინაიდან სკოლის მოქმედი სტრუქტურით და პროფესიული განვითარების სქემით მსგავსი ფორმატისა და სახელწოდების ჯგუფის არსებობა აღარ არის გათვალისწინებული,<br>• გაუქმდეს ჩანაწერი ეროვნული სასწავლო გეგმის მესამე მოდელის მიხედვით საათობრივი ბადის შემუშავების შესახებ. |
| *ინდიკატორი N3.4.1.1* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა | **სკოლას მიეცა რჩევა,** უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით. |

| | | |
|---|---|---|
| | უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა | |
| *ინდიკატორი N3.4.1.2* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას | <u>სკოლას მიეცა რჩევა,</u> უზრუნველყოს მეორე საშტატო ერთეულის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმება და მეორე სამედიცინო პერსონალის დასაქმება, ან ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, ექთნით ჩანაცვლება (იხილეთ ინდიკატორის დეტალური აღწერა). |
| *ინდიკატორი N3.4.1.7* | სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები | **<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u>** დოკუმენტში „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება" დააზუსტოს თუ ვინ ახდენს ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირებას, ვინაიდან დოკუმენტში მოხსენიებული ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი არ არის გათვალისწინებული სკოლის საშტატო განრიგითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით. |
| ***სტანდარტი N4*** | **მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ***რჩევა*** |
| *ინდიკატორი N4.2.1.1* | სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი | ვინაიდან მოსწავლის ადაპტაციის შიდა წესი წარმოადგენს ზოგად ჩარჩო დოკუმენტს, **<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u>** მეტად დეტალურად ასახოს ადაპტაციის პრობლემის იდენტიფიცირების გზები და გასატარებელი ღონისძიებები. |
| *ინდიკატორი N4.2.2.3* | სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს | **<u>სკოლას მიეცა რჩევა,</u>** ყოველწლიურ პრაქტიკაში დანერგოს აღნიშნული კითხვარების გამოყენება, და გამოკითხვის შესახებ გადაწყვეტილება არ დარჩეს ფორმალური ხასიათის. |

| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი* <br> *(ქართული სექტორი - დაწყებითი საფეხური)* | *რჩევა* |
|---|---|---|
| *2.1.2.1* | შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | **ბუნებისმეტყველება** <br><br> სკოლას მიეცა რჩევა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრაზე გადაიხედოს კონტექსტმაგალითების შინაარსი, განისაზღვროს შედარების მაგალითები საკითხების სიღრმისეულად გააზრების და დეკონტექსტუალიზაციის მიზნით, ფიზიკის და ქიმიის კურიკულუმებში განსაკუთრებით. კათედრაზე თანამშრომლობითი გარემოს უკეთ წარმოჩენის მიზნით, შემუშავდეს კურიკულუმების ერთიანი ფორმა. ბიოლოგიის კურიკულუმებში თითქმის ყველგან ქვეცნებების სვეტში ჩამოწერილი საკითხები გადავიდეს საკითხების სვეტში. <br> ასევე, კურიკულუმებში საკითხებში ჩამოწერილი სახელმძღვანელოს სარჩევის პარაგრაფები გამსხვილებული ერთეულების, კლასტერების სახით გაიწეროს. <br> ასევე, სკოლას მიეცა რჩევა, შედარების მაგალითების სვეტებში განისაზღვროს შედარების მაგალითები, გაწერილი საეტაპო აქტივობების ნაცვლად. <br><br> **მათემატიკა** <br> სასურველია კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით. |
| ინდიკატორი <br><br> N 2.1.2.2 | კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები** <br> სასურველია ზოგიერთ კურიკულუმში საკითხების სვეტებში გადმოტანილი სახელმძღვანელოს პარაგრაფები გამსხვილდეს და დალაგდეს კლასტერებად. <br><br> **უცხოური ენები** |

| | | |
|---|---|---|
| | | სასურველია გასწორდეს დოკუმენტირებისას დაშვებული ტექნიკური ხარვეზი - კურიკულუმების ნაწილში არასწორადაა მითითებული სამიზნე ცნებები. ასევე, სასურველია კურიკულუმების ერთიან ფორმაში მოქცევა.<br><br>**საზოგადოებრივი მეცნიერებები**<br><br>სასურველია, საგნობრივი კურიკულუმების მატრიცის გრაფები ერთიანი სტრუქტურის მიხედვით იყოს შედგენილი. |
| ინდიკატორი N2.1.2.3 | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**<br>სასურველია დაკონკრეტდეს რომელ სახელმძღვანელოს იყენებენ სასწავლო პროცესში, ასევე სრულად წარმოჩინდეს სახელმძღვანელოს რეკვიზიტები, ავტორი/ავტორები, გამოცემის წელი, გამომცემლობა. |
| ინდიკატორი N2.1.2.4 | სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები***<br>სასურველია, საეტაპო აქტივობებში, შეკითხვების სტილში გათვალისწინებულ იქნეს მსწავლელის ტიპი, მოსწავლეებს მიეცეთ შემოქმედებითი დავალების პროდუქტის არჩევანის შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს მათი უნარების, ინტერესების და პოტენციალის რეალიზებას. |
| ინდიკატორი N2.1.2.5 | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები***<br>სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებლი შეფასების რუბრიკებში განისაზღვროს მოსწავლის წინარე ცოდნის ხვედრითი წილი და დანარჩენი ქულები გადანაწილდეს სამიზნე ცნებების მიხედვით.<br>ასევე, სკოლას მიეცა რჩევა, მოწოდებული ნიმუშები (თემის შეფასების რუბრიკა), დავიწროვდეს ამა თუ იმ შემოქმედებითი დავალების ფარგლებში. |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N2.2.2.1 | კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში | სასურველია სკოლაში ფუნქციონირებდეს STEAM ან კომპიუტერული ტექნოლოგიების კლუბი. |
| ინდიკატორი N2.2.2.2 | სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები*** შემოქმედებით პროდუქტში/იდეა-მიზანი ჩაშენებული ელექტრონული რესურსები სასურველია, წინასწარ შემოწმდეს: რამდენად არის ხელმისაწვდომი, არის თუ არა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული ან შექმნილი და შემოქმედებითი დავალების განხორციელებისთვის რელევანტური. |

| ***სტანდარტი N2*** | **სასკოლო კურიკულუმი** *(ქართული სექტორი - საბაზო საფეხური)* | ***რჩევა*** |
|---|---|---|
| ***2.1.2.1*** | შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | **ბუნებისმეტყველება** სკოლას მიეცა რჩევა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრაზე გადაიხედოს კონტექსტმაგალითების შინაარსი, განისაზღვროს შედარების მაგალითები საკითხების სიღრმისეულად გააზრების და დეკონტექსტუალიზაციის მიზნით, ფიზიკის და ქიმიის კურიკულუმებში განსაკუთრებით. კათედრაზე თანამშრომლობითი გარემოს უკეთ წარმოჩენის მიზნით, შემუშავდეს კურიკულუმების ერთიანი ფორმა. ბიოლოგიის კურიკულუმებში თითქმის ყველგან ქვეცნებების სვეტში ჩამოწერილი საკითხები გადავიდეს საკითხების სვეტში. ასევე, კურიკულუმებში საკითხებში ჩამოწერილი სახელმძღვანელოს სარჩევის პარაგრაფები გამსხვილებული ერთეულების, კლასტერების სახით გაიწეროს. |

| | | |
|---|---|---|
| | | ასევე, სკოლას მიეცა რჩევა, შედარების მაგალითების სვეტებში განისაზღვროს შედარების მაგალითები, გაწერილი საეტაპო აქტივობების ნაცვლად.<br><br>**საზოგადოებრივი მეცნიერებები**<br><br>***საბაზო საფეხური;*** *საგანი-მოქალაქეობა მე-7 კლასი. საგანი-გეოგრაფია, მე-7 კლასი*<br><br>***მოქალაქეობა****-წარმოდგენილ კურიკულუმს სასურველია მიეთითოს თავფურცელში - საფეხური, სკოლა, კლასის დასახელება და ასევე რესურსების გრაფაში მიეთითოს სახელმძღვანელოს ავტორები.*<br><br>***გეოგრაფია-*** *კურიკულუმის იერსახისთვის მასში წარმოდგენილი მასალა სასურველია იყოს საერთო შრიფტით მოცემული, იმისთვის, რომ არ იძლეოდეს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან კოპირების განცდას.*<br><br>**ესთეტიკური აღზრდა**<br><br>სასურველია, გადაიხედოს ქართული და რუსული სექტორების IX კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად დაემატოს მესამე თემატური ბლოკის დასახელება - **„ადამიანი ხელოვნებაში“**. კურიკულუმში აღნიშნული თემატური ბლოკის შინაარსი უკვე ასახულია, თუმცა მიზანშეწონილია მისი მითითება შესაბამის ჰორიზონტალურ სვეტში.<br><br>**მათემატიკა**<br>სასურველია კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით. |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი<br><br>N 2.1.2.2 | კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**<br>სასურველია ზოგიერთ კურიკულუმში საკითხების სვეტებში გადმოტანილი სახელმძღვანელოს პარაგრაფები გამსხვილდეს და დალაგდეს კლასტერებად. განსაკუთრებით ფიზიკის და ქიმიის კურიკულუმებში.<br><br>**საზოგადოებრივი მეცნიერებები**<br><br>• მიზანშეწონილია ისტორიის და გეოგრაფიის კურიკულუმები შემუშავდეს ისე, როგორც მოქალაქეობის კურიკულუმი. კერძოდ, კურიკულუმში ჩანდეს თითოეულ კლასში წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროექტები/პროექტის დასახელება, ტიპი, სამიზნე ცნებები, აქტივობები და რესურსები. ასევე, განსახორციელებელ პროექტებს ახლდეს სამოქმედო გეგმა.<br>• სასურველია, საგნობრივი კურიკულუმების მატრიცის გრაფები ერთიანი სტრუქტურის მიხედვით იყოს შედგენილი.<br><br>**უცხოური ენები**<br><br>სასურველია გასწორდეს დოკუმენტირებისას დაშვებული ტექნიკური ხარვეზი - კურიკულუმების ნაწილში არასწორადაა მითითებული სამიზნე ცნებები. ასევე, სასურველია კურიკულუმების ერთიან ფორმაში მოქცევა. |
| ინდიკატორი<br>N2.1.2.3 | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**<br>სასურველია დაკონკრეტდეს რომელ სახელძღვანელოს იყენებენ სასწავლო პროცესში, ასევე სრულად წარმოჩინდეს სახელმძღვანელოს რეკვიზიტები, ავტორი/ავტორები, გამოცემის წელი, გამომცემლობა.<br><br>**საზოგადოებრივი მეცნიერებები**<br>სასურველია, კათედრის ოქმს დანართის სახით ახლდეს საგნების მიხედვით შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, თემატური რუკები, მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურა. |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N2.1.2.4 | სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები***<br>სასურველია, საეტაპო აქტივობებში, შეკითხვების სტილში გათვალისწინებულ იქნეს მსწავლელის ტიპი, მოსწავლეებს მიეცეთ შემოქმედებითი დავალების პროდუქტის არჩევანის შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს მათი უნარების, ინტერესების და პოტენციალის რეალიზებას. |
| ინდიკატორი N2.1.2.5 | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები***<br>სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებლი შეფასების რუბრიკებში განისაზღვროს მოსწავლის წინარე ცოდნის ხვედრითი წილი და დანარჩენი ქულები გადანაწილდეს სამიზნე ცნებების მიხედვით.<br>ასევე, სკოლას მიეცა რჩევა, მოწოდებული ნიმუშები (თემის შეფასების რუბრიკა), დავიწროვდეს ამა თუ იმ შემოქმედებითი დავალების ფარგლებში.<br>***მათემატიკა***<br>სასურველია, დიაგნოსტიკური წერა ჩატარდეს სემესტრის ან სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ მაინც. |
| ინდიკატორი N2.2.2.2 | სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები***<br><br>**საბაზო საფეხურზე** შემოქმედებით პროდუქტში/იდეა-მიზანი ჩაშენებული ელექტრონული რესურსები სასურველია, წინასწარ შემოწმდეს: რამდენად არის ხელმისაწვდომი, არის თუ არა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული ან შექმნილი და შემოქმედებითი დავალების განხორციელებისთვის რელევანტური. |

| | | |
|---|---|---|
| ***სტანდარტი N2*** | **სასკოლო კურიკულუმი**<br>*(ქართული სექტორი - საშუალო საფეხური)* | ***რჩევა*** |

| | | |
|---|---|---|
| *2.1.2.1* | შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | **ბუნებისმეტყველება**<br><br>სკოლას მიეცა რჩევა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრაზე გადაიხედოს კონტექსტმაგალითების შინაარსი, განისაზღვროს შედარების მაგალითები საკითხების სიღრმისეულად გააზრების და დეკონტექსტუალიზაციის მიზნით, ფიზიკის და ქიმიის კურიკულუმებში განსაკუთრებით. კათედრაზე თანამშრომლობითი გარემოს უკეთ წარმოჩენის მიზნით, შემუშავდეს კურიკულუმების ერთიანი ფორმა. ბიოლოგიის კურიკულუმებში თითქმის ყველგან ქვეცნებების სვეტში ჩამოწერილი საკითხები გადავიდეს საკითხების სვეტში.<br>ასევე, კურიკულუმებში საკითხებში ჩამოწერილი სახელმძღვანელოს სარჩევის პარაგრაფები გამსხვილებული ერთეულების, კლასტერების სახით გაიწეროს.<br>ასევე, სკოლას მიეცა რჩევა, შედარების მაგალითების სვეტებში განისაზღვროს შედარების მაგალითები, გაწერილი საეტაპო აქტივობების ნაცვლად.<br>**მათემატიკა**<br>სასურველია კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით. |
| ინდიკატორი<br><br>N 2.1.2.2 | კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**<br>სასურველია ზოგიერთ კურიკულუმში საკითხების სვეტებში გადმოტანილი სახელმძღვანელოს პარაგრაფები გამსხვილდეს და დალაგდეს კლასტერებად. განსაკუთრებით ფიზიკის და ქიმიის კურიკულუმებში.<br><br>**საზოგადოებრივი მეცნიერებები**<br><br>• მიზანშეწონილია ისტორიის და გეოგრაფიის კურიკულუმები შემუშავდეს ისე, როგორც მოქალაქეობის კურიკულუმი. კერძოდ, კურიკულუმში ჩანდეს თითოეულ კლასში წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროექტები/პროექტის დასახელება, ტიპი, |

| | | |
|---|---|---|
| | | სამიზნე ცნებები, აქტივობები და რესურსები. ასევე, განსახორციელებელ პროექტებს ახლდეს სამოქმედო გეგმა.<br>• სასურველია, საგნობრივი კურიკულუმების მატრიცის გრაფები ერთიანი სტრუქტურის მიხედვით იყოს შედგენილი.<br><br>**უცხოური ენები**<br><br>სასურველია გასწორდეს დოკუმენტირებისას დაშვებული ტექნიკური ხარვეზი - კურიკულუმების ნაწილში არასწორადაა მითითებული სამიზნე ცნებები.  ასევე, სასურველია კურიკულუმების ერთიან ფორმაში მოქცევა. |
| ინდიკატორი N2.1.2.3 | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**<br>სასურველია დაკონკრეტდეს რომელ სახელძღვანელოს იყენებენ სასწავლო პროცესში, ასევე სრულად წარმოჩინდეს სახელმძღვანელოს რეკვიზიტები, ავტორი/ავტორები, გამოცემის წელი, გამომცემლობა. |
| ინდიკატორი N2.1.2.4 | სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები***<br>სასურველია, საეტაპო აქტივობებში, შეკითხვების სტილში გათვალისწინებულ იქნეს მსწავლელის ტიპი, მოსწავლეებს მიეცეთ შემოქმედებითი დავალების პროდუქტის არჩევანის შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს მათი უნარების, ინტერესების და პოტენციალის რეალიზებას. |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N2.1.2.5 | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები***<br>სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებლი შეფასების რუბრიკებში განისაზღვროს მოსწავლის წინარე ცოდნის ხვედრითი წილი და დანარჩენი ქულები გადანაწილდეს სამიზნე ცნებების მიხედვით.<br>ასევე, სკოლას მიეცა რჩევა, მოწოდებული ნიმუშები (თემის შეფასების რუბრიკა), დავიწროვდეს ამა თუ იმ შემოქმედებითი დავალების ფარგლებში.<br><br>***ესთეტიკური აღზრდა***<br><br>სასურველია, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებში უფრო მკაფიოდ აისახოს გრძელვადიან სამიზნე ცნებებთან მიმართებები.<br><br>***მათემატიკა***<br>სასურველია, დიაგნოსტიკური წერა ჩატარდეს სემესტრის ან სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ მაინც. |

| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი*<br>*(რუსული სექტორი - დაწყებითი საფეხური)* | *რჩევა* |
|---|---|---|
| *2.1.2.1* | შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | **ბუნებისმეტყველება**<br><br>სკოლას მიეცა რჩევა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრაზე გადაიხედოს კონტექსტმაგალითების შინაარსი, განისაზღვროს შედარების მაგალითები საკითხების სიღრმისეულად გააზრების და დეკონტექსტუალიზაციის მიზნით, ფიზიკის და ქიმიის კურიკულუმებში განსაკუთრებით. კათედრაზე თანამშრომლობითი გარემოს უკეთ წარმოჩენის მიზნით, შემუშავდეს კურიკულუმების ერთიანი ფორმა. ბიოლოგიის კურიკულუმებში თითქმის ყველგან ქვეცნებების სვეტში ჩამოწერილი საკითხები გადავიდეს საკითხების სვეტში.<br>ასევე, კურიკულუმებში საკითხებში ჩამოწერილი სახელმძღვანელოს სარჩევის პარაგრაფები გამსხვილებული ერთეულების, კლასტერების სახით გაიწეროს.<br>ასევე, სკოლას მიეცა რჩევა, შედარების მაგალითების სვეტებში განისაზღვროს შედარების მაგალითები, გაწერილი საეტაპო აქტივობების ნაცვლად.<br>**მათემატიკა**<br>სასურველია გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით. |
| ინდიკატორი<br><br>N 2.1.2.2 | კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**<br>სასურველია ზოგიერთ კურიკულუმში საკითხების სვეტებში გადმოტანილი სახელმძღვანელოს პარაგრაფები გამსხვილდეს და დალაგდეს კლასტერებად. განსაკუთრებით ფიზიკის და ქიმიის კურიკულუმებში.<br><br>**უცხოური ენები** |

| | | |
|---|---|---|
| | | სასურველია გასწორდეს დოკუმენტირებისას დაშვებული ტექნიკური ხარვეზი - კურიკულუმების ნაწილში არასწორადაა მითითებული სამიზნე ცნებები. ასევე, სასურველია კურიკულუმების ერთიან ფორმაში მოქცევა.<br><br>**სახელმწიფო ენა**<br>*(საგანი- ქართული, როგორც მეორე ენა)*<br><br>სასურველია მასწავლებლებმა საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინონ საგნობრივი სტანდარტი. სათანადოდ აისახოს და სრულყოფილად დამუშავდეს საფეხურისა და თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.<br><br>**საზოგადოებრივი მეცნიერებები**<br><br>სასურველია, საგნობრივი კურიკულუმების მატრიცის გრაფები ერთიანი სტრუქტურის მიხედვით იყოს შედგენილი. |
| ინდიკატორი N2.1.2.3 | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**<br>სასურველია დაკონკრეტდეს რომელ სახელძღვანელოს იყენებენ სასწავლო პროცესში, ასევე სრულად წარმოჩინდეს სახელმძღვანელოს რეკვიზიტები, ავტორი/ავტორები, გამოცემის წელი, გამომცემლობა. |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N2.1.2.4 | სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** სასურველია, საეტაპო აქტივობებში, შეკითხვების სტილში გათვალისწინებულ იქნეს მსწავლელის ტიპი, მოსწავლეებს მიეცეთ შემოქმედებითი დავალების პროდუქტის არჩევანის შესაძლებლობა, რაც ხელს შუწყობს მათი უნარების, ინტერესების და პოტენციალის რეალიზებას. |
| ინდიკატორი N2.1.2.5 | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები*** სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებლი შეფასების რუბრიკებში განისაზღვროს მოსწავლის წინარე ცოდნის ხვედრითი წილი და დანარჩენი ქულები გადანაწილდეს სამიზნე ცნებების მიხედვით.<br>ასევე, სკოლას მიეცა რჩევა, მოწოდებული ნიმუშები (თემის შეფასების რუბრიკა), დავიწროვდეს ამა თუ იმ შემოქმედებითი დავალების ფარგლებში. |
| ინდიკატორი N2.2.2.1 | კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში | სასურველია სკოლაში ფუნქციონირებდეს STEAM ან კომპიუტერული ტექნოლოგიების კლუბი. |
| ინდიკატორი N2.2.2.2 | სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები***<br><br>შემოქმედებით პროდუქტში/იდეა-მიზანი ჩაშენებული ელექტრონული რესურსები სასურველია, წინასწარ შემოწმდეს: რამდენად არის ხელმისაწვდომი, არის თუ არა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათავლისწინებით შერჩეული ან შექმნილი და შემოქმედებითი დავალების განხორციელებისთვის რელევანტური. |

| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი* *(რუსული სექტორი - საბაზო საფეხური)* | *რჩევა* |
|---|---|---|
| *2.1.2.1* | შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | **ბუნებისმეტყველება**<br><br>სკოლას მიეცა რჩევა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრაზე გადაიხედოს კონტექსტმაგალითების შინაარსი, განისაზღვროს შედარების მაგალითები საკითხების სიღრმისეულად გააზრების და დეკონტექსტუალიზაციის მიზნით, ფიზიკის და ქიმიის კურიკულუმებში განსაკუთრებით. კათედრაზე თანამშრომლობითი გარემოს უკეთ წარმოჩენის მიზნით, შემუშავდეს კურიკულუმების ერთიანი ფორმა. ბიოლოგიის კურიკულუმებში თითქმის ყველგან ქვეცნებების სვეტში ჩამოწერილი საკითხები გადავიდეს საკითხების სვეტში.<br>ასევე, კურიკულუმებში საკითხებში ჩამოწერილი სახელმძღვანელოს სარჩევის პარაგრაფები გამსხვილებული ერთეულების, კლასტერების სახით გაიწეროს.<br>ასევე, სკოლას მიეცა რჩევა, შედარების მაგალითების სვეტებში განისაზღვროს შედარების მაგალითები, გაწერილი საეტაპო აქტივობების ნაცვლად.<br><br>**საზოგადოებრივი მეცნიერებები**<br><br>***საბაზო საფეხური;*** *საგანი-მოქალაქეობა მე-7 კლასი. საგანი-გეოგრაფია, მე-7 კლასი*<br><br>***მოქალაქეობა****-წარმოდგენილ კურიკულუმს სასურველია მიეთითოს თავფურცელში - საფეხური, სკოლა, კლასის დასახელება და ასევე რესურსების გრაფაში მიეთითოს სახელმძღვანელოს ავტორები.* |

| | | |
|---|---|---|
| | | *გეოგრაფია- კურიკულუმის იერსახისთვის მასში წარმოდგენილი მასალა სასურველია იყოს საერთო შრიფტით მოცემული, იმისთვის, რომ არ იძლეოდეს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან კოპირების განცდას.*<br><br>**ესთეტიკური აღზრდა**<br><br>სასურველია, გადაიხედოს ქართული და რუსული სექტორების IX კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად დაემატოს მესამე თემატური ბლოკის დასახელება - **„ადამიანი ხელოვნებაში“**. კურიკულუმში აღნიშნული თემატური ბლოკის შინაარსი უკვე ასახულია, თუმცა მიზანშეწონილია მისი მითითება შესაბამის ჰორიზონტალურ სვეტში.<br><br>**მათემატიკა**<br>სასურველია კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით. |
| ინდიკატორი<br><br>N 2.1.2.2 | კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**<br>სასურველია ზოგიერთ კურიკულუმში საკითხების სვეტებში გადმოტანილი სახელმძღვანელოს პარაგრაფები გამსხვილდეს და დალაგდეს კლასტერებად. განსაკუთრებით ფიზიკის და ქიმიის კურიკულუმებში.<br><br>**საზოგადოებრივი მეცნიერებები**<br><br>• მიზანშეწონილია ისტორიის და გეოგრაფიის კურიკულუმები შემუშავდეს ისე, როგორც მოქალაქეობის კურიკულუმი. კერძოდ, კურიკულუმში ჩანდეს თითოეულ კლასში წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროექტები/პროექტის დასახელება, ტიპი, სამიზნე ცნებები, აქტივობები და რესურსები. ასევე, განსახორციელებელ პროექტებს ახლდეს სამოქმედო გეგმა.<br>• სასურველია, საგნობრივი კურიკულუმების მატრიცის გრაფები ერთიანი სტრუქტურის მიხედვით იყოს შედგენილი. |

| | | |
|---|---|---|
| | | **უცხოური ენები**<br><br>სასურველია გასწორდეს დოკუმენტირებისას დაშვებული ტექნიკური ხარვეზი - კურიკულუმების ნაწილში არასწორადაა მითითებული სამიზნე ცნებები. ასევე, სასურველია კურიკულუმების ერთიან ფორმაში მოქცევა.<br><br>**სახელმწიფო ენა**<br>*(საგანი- ქართული, როგორც მეორე ენა)*<br><br>სასურველია მასწავლებლებმა საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას **საბაზო საფეხურზე (VIII კლასში)** გაითვალისწინონ საგნობრივი სტანდარტი. სათანადოდ აისახოს და სრულყოფილად დამუშავდეს საფეხურისა და თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. |
| ინდიკატორი N2.1.2.3 | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**<br>სამივე საფეხურზე და ორივე სექტორზე სასურველია დაკონკრეტდეს რომელ სახელმძღვანელოს იყენებენ სასწავლო პროცესში, ასევე სრულად წარმოჩინდეს სახელმძღვანელოს რეკვიზიტები, ავტორი/ავტორები, გამოცემის წელი, გამომცემლობა.<br><br>**საზოგადოებრივი მეცნიერებები**<br>სასურველია, კათედრის ოქმს დანართის სახით ახლდეს საგნების მიხედვით შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, თემატური რუკები, მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურა. |
| ინდიკატორი N2.1.2.4 | სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები***<br>სასურველია, საეტაპო აქტივობებში, შეკითხვების სტილში გათვალისწინებულ იქნეს მსწავლელის ტიპი, მოსწავლეებს მიეცეთ შემოქმედებითი დავალების პროდუქტის არჩევანის შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს მათი უნარების, ინტერესების და პოტენციალის რეალიზებას. |

| | | |
|---|---|---|
| ინდიკატორი N2.1.2.5 | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები***<br>სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებლი შეფასების რუბრიკებში განისაზღვროს მოსწავლის წინარე ცოდნის ხვედრითი წილი და დანარჩენი ქულები გადანაწილდეს სამიზნე ცნებების მიხედვით.<br>ასევე, სკოლას მიეცა რჩევა, მოწოდებული ნიმუშები (თემის შეფასების რუბრიკა), დავიწროვდეს ამა თუ იმ შემოქმედებითი დავალების ფარგლებში.<br><br>***მათემატიკა***<br>სასურველია, დიაგნოსტიკური წერა ჩატარდეს სემესტრის ან სასწავლო წელის განმავლობაში ერთხელ მაინც. |
| ინდიკატორი N2.2.2.2 | სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას | ***საზოგადოებრივი მეცნიერებები***<br><br>შემოქმედებით პროდუქტში/იდეა-მიზანი ჩაშენებული ელექტრონული რესურსები სასურველია, წინასწარ შემოწმდეს: რამდენად არის ხელმისაწვდომი, არის თუ არა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათავლისწინებით შერჩეული ან შექმნილი და შემოქმედებითი დავალების განხორციელებისთვის რელევანტური. |

| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი*<br>*(რუსული სექტორი - საშუალო საფეხური)* | *რჩევა* |
|---|---|---|
| ***2.1.2.1*** | შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას | **ბუნებისმეტყველება**<br><br>სკოლას მიეცა რჩევა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრაზე გადაიხედოს კონტექსტმაგალითების შინაარსი, განისაზღვროს შედარების მაგალითები საკითხების სიღრმისეულად გააზრების და დეკონტექსტუალიზაციის მიზნით, ფიზიკის და ქიმიის კურიკულუმებში განსაკუთრებით. კათედრაზე თანამშრომლობითი გარემოს უკეთ წარმოჩენის მიზნით, შემუშავდეს კურიკულუმების ერთიანი ფორმა. ბიოლოგიის კურიკულუმებში თითქმის ყველგან ქვეცნებების სვეტში ჩამოწერილი საკითხები გადავიდეს საკითხების სვეტში.<br>**მათემატიკა**<br>სასურველია კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით. |
| ინდიკატორი<br><br>N 2.1.2.2 | კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**<br>სასურველია ზოგიერთ კურიკულუმში საკითხების სვეტებში გადმოტანილი სახელმძღვანელოს პარაგრაფები გამსხვილდეს და დალაგდეს კლასტერებად. განსაკუთრებით ფიზიკის და ქიმიის კურიკულუმებში.<br><br>**საზოგადოებრივი მეცნიერებები**<br><br>• მიზანშეწონილია ისტორიის და გეოგრაფიის კურიკულუმები შემუშავდეს ისე, როგორც მოქალაქეობის კურიკულუმი. კერძოდ, კურიკულუმში ჩანდეს თითოეულ კლასში წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროექტები/პროექტის დასახელება, ტიპი, სამიზნე ცნებები, აქტივობები და რესურსები. ასევე, განსახორციელებელ პროექტებს ახლდეს სამოქმედო გეგმა.<br>• სასურველია, საგნობრივი კურიკულუმების მატრიცის გრაფები ერთიანი სტრუქტურის მიხედვით იყოს შედგენილი. |

| | | |
|---|---|---|
| | | **უცხოური ენები**<br><br>სასურველია გასწორდეს დოკუმენტირებისას დაშვებული ტექნიკური ხარვეზი - კურიკულუმების ნაწილში არასწორადაა მითითებული სამიზნე ცნებები. ასევე, სასურველია კურიკულუმების ერთიან ფორმაში მოქცევა. |
| ინდიკატორი N2.1.2.3 | კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას | **საბუნებისმეტყველო მეცნიერებები**<br>სამივე საფეხურზე და ორივე სექტორზე სასურველია დაკონკრეტდეს რომელ სახელძღვანელოს იყენებენ სასწავლო პროცესში, ასევე სრულად წარმოჩინდეს სახელმძღვანელოს რეკვიზიტები, ავტორი/ავტორები, გამოცემის წელი, გამომცემლობა. |
| ინდიკატორი N2.1.2.4 | სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები***<br>სასურველია, საეტაპო აქტივობებში, შეკითხვების სტილში გათვალისწინებულ იქნეს მსწავლელის ტიპი, მოსწავლეებს მიეცეთ შემოქმედებითი დავალების პროდუქტის არჩევანის შესაძლებლობა, რაც ხელს შუწყობს მათი უნარების, ინტერესების და პოტენციალის რეალიზებას. |
| ინდიკატორი N2.1.2.5 | მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს | ***საბუნებისმეტყველო მეცნიერებები***<br>სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებლი შეფასების რუბრიკებში განისაზღვროს მოსწავლის წინარე ცოდნის ხვედრითი წილი და დანარჩენი ქულები გადანაწილდეს სამიზნე ცნებების მიხედვით.<br>ასევე, სკოლას მიეცა რჩევა, მოწოდებული ნიმუშები (თემის შეფასების რუბრიკა), დავიწროვდეს ამა თუ იმ შემოქმედებითი დავალების ფარგლებში. |

| | | |
|---|---|---|
| | | *ესთეტიკური აღზრდა*<br><br>სასურველია, მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებში უფრო მკაფიოდ აისახოს გრძელვადიან სამიზნე ცნებებთან მიმართებები.<br><br>***მათემატიკა***<br>სასურველია დიაგნოსტიკური წერა ჩატარდეს სემესტრის ან სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ მაინც. |

## VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგენილ დასკვნის პროექტთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და კორექტირებული შესაბამისობის გეგმა, რომელშიც გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები და ა.შ. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ შედგენილ დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით, ზოგიერთ ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა ხარვეზის აღმოფხვრის მტკიცებულებებიც.

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, რის შედეგადაც:

- როგორც **ქართულ, ასევე რუსულ სექტორებზე, საბაზო და საშუალო საფეხურებზე,** მე-2 სტანდარტის ინდიკატორი 2.2.2.3 შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შესაბამისი'', ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვა ვადა - არაუმეტეს 12 თვისა;
- როგორც **ქართულ, ასევე, რუსულ სექტორებზე დაწყებით და საბაზო საფეხურებზე, ხოლო რუსული სექტორის საშუალო საფეხურზე** მე-2 სტანდარტის ინდიკატორი 2.2.2.4 შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისი'', ვინაიდან სკოლის მიერ

წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, აღნიშნულ ინდიკატორებთან მიმართებით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვა ვადა - არაუმეტეს 12 თვისა;

- მესამე სტანდარტთან მიმართებით - **3.1.2.4, 3.4.1.1, 3.4.1.2, 3.4.1.4 და 3.5.1.1** ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან შეფასდა როგორც **,,მეტწილად შესაბამისი**'', ვინაიდან სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით, ჩამოთვლილ ინდიკატორებთან მიმართებით, სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვა ვადა არაუმეტეს - 12 თვისა, ხოლო ინდიკატორების **3.5.1.2 და 3.5.1.4** შეფასდა როგორც **,,ნაწილობრივ შესაბამისი''**, ვინაიდან სკოლამ ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვა ვადა - არაუმეტეს 12-24 თვისა.

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

## 1. სკოლის ფილოსოფია

### 1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

#### 1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა სრულ თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან. სკოლის მისიასა და ხედვაში გამოკვეთილია ისეთი ფუნდამენტური საკითხები, როგორიცაა თანამედროვე, სწრაფადცვალებად სამყაროსთან ადაპტირებადი, თავისუფალი პიროვნების აღზრდა და მისი სოციალიზაციის ხელშეწყობა. დოკუმენტებში აქცენტირებულია როგორც ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება, ისე გლობალური დემოკრატიული ღირებულებების დაცვა და მულტიკულტურულ საზოგადოებაში ინტეგრაცია.

საგანმანათლებლო პროცესი ორიენტირებულია XXI საუკუნის მოქალაქისთვის აუცილებელი ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაზე, რაც მოიცავს კრიტიკულ აზროვნებას, დამოუკიდებელ სწავლას, კომუნიკაციას, ტოლერანტობასა და კონფლიქტების მართვას. მნიშვნელოვანია, რომ დაწესებულება ხედვის დონეზე უზრუნველყოფს თანასწორობაზე, სამართლიანობასა და მიმღებლობაზე დაფუძნებულ, ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნას.

შესაბამისად, წარმოდგენილი მასალებისა და შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე, სკოლის მისია და ხედვა სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მისიისა და ხედვის შინაარსით დასტურდება, რომ დაწესებულება საკუთარ როლს განიხილავს არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის გადაცემის, არამედ ახალი თაობის სოციალიზაციისა და დემოკრატიული ღირებულებების მქონე სოციო-კულტურული სივრცის კონტექსტში. სკოლის სტრატეგიულ ხედვაში პირდაპირ არის დეკლარირებული, რომ სასკოლო გარემო იქნება ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო, ტოლერანტული და მინიმუმამდე დაყვანილი კონფლიქტებით. პიროვნულ განვითარებაზე

ორიენტაცია ასახულია დაწესებულების მისიაშიც, სადაც ხაზგასმულია ჰარმონიულად განვითარებული და თავისუფალი პიროვნების აღზრდა, რომელიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე სამყაროსთან ადაპტაციისა და თვითდამკვიდრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით.

შესაბამისად, სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

**<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

### 3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესი წარიმართა დემოკრატიულობისა და სასკოლო საზოგადოების ჩართულობის პრინციპების დაცვით. დაწესებულებაში, სკოლის დირექტორის ბრძანებით, შეიქმნა სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგებთან ერთად უზრუნველყოფილი იყო მოსწავლეთა და მშობელთა წარმომადგენლებითი თანამონაწილეობა. აღნიშნულ ჯგუფს დაევალა სკოლის SWOT ანალიზის მომზადება და სკოლის ფილოსოფიის პროექტის შემუშავება.

სასკოლო საზოგადოების წევრთა აზრის მაქსიმალურად გათვალისწინების მიზნით, ჩატარდა ანონიმური გამოკითხვა სპეციალურად შემუშავებული კითხვარების მეშვეობით, სადაც მშობლებს, მოსწავლეებსა და თანამშრომლებს საშუალება ჰქონდათ დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია მოქმედ მისიასთან, სკოლის მთავარ ღირებულებებსა და პრიორიტეტებთან დაკავშირებით. გამოკითხვის შედეგები დაოქმდა და საფუძვლად დაედო მისიის, ხედვისა და ღირებულებების ჩამოყალიბებას. დოკუმენტების პროექტები შინაარსობრივად განიხილა სამეურვეო საბჭომ და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიური დოკუმენტით („სსიპ ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის და ღირებულებების) და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია") განსაზღვრული წესით დაამტკიცა პედაგოგიურმა საბჭომ. შესაბამისად, მტკიცებულებების ანალიზით დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობით.

**<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

### 4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და განხორციელებული აქტივობების ანალიზით დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები რეალურად არის გაზიარებული სასკოლო საზოგადოების მიერ. დაწესებულებამ, მისიისა და ხედვის შემუშავების საწყის ეტაპზევე უზრუნველყო საზოგადოების წევრთა შემუშავების პროცესში ჩართვა, გამოკითხვის გზით მათი ღირებულებების და ხედვების დადგენა. სპეციალურად ორგანიზებული კითხვარების მეშვეობით, სკოლამ მიზანმიმართულად მოიკვლია, თუ რამდენად იზიარებდნენ თანამშრომლები, მშობლები და მოსწავლეები არსებულ მისიას და როგორ ხედავდნენ სკოლის შემდგომი განვითარების პრიორიტეტებს.

გარდა ამისა, დაწესებულების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიური დოკუმენტით განსაზღვრულია ინფორმაციის გაზიარების მექანიზმები, მათ შორის, სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტების და საბოლოო სახით მიღებული დოკუმენტების

გაზიარების ალტერნატიული გზები. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები პროექტის სახით გაზიარდა ჯერ სამეურვეო საბჭოს წევრებთან, რომელიც წარმომადგენლობითი სტრუქტურული ერთეულია, შემდეგ კი პედაგოგიურ საბჭოსთან. სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერებით დადგინდა, რომ მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსდა სკოლის ფოიეში სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ხელმისაწვდომ სივრცეებში, აგრეთვე, საჯაროდ, სკოლის ვებ-გვერდზე.

სასკოლო საზოგადოების წევრებმა ინტერვიუს დროს დააფიქსირეს, რომ ისინი იზიარებენ სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმასთან ერთად word ფორმატის დოკუმენტის სახით წარმოდგენილია სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება და ჯგუფის ოქმი. ორივე მათგანი დათარიღებულია 2023 წლის 3 სექტემბრით. ვინაიდან ჯგუფის დაკომპლექტებიდან და ფუნქციის დაკისრებიდან არ იყო გასული გონივრული ვადა გამოკითხვის ჩატარების, სამუშაოს წარმართვისა და ანალიზისთვის, ადგილზე ვიზიტის დროს დირექციას ეთხოვა წარმოედგინა ოქმის ორიგინალი დოკუმენტი. დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფთან წარმოადგინა ჯგუფის წევრების მიერ ხელმოწერილი ოქმი, რომელიც დათარიღებული იყო 6 სექტემბრით და განმარტა, რომ დოკუმენტის გადმოგზავნილი word-ის ვერსია იყო სამუშაო ვერსია, და ჯგუფმა აქტიურად იმუშავა 3 დღის ვადაში. სკოლამ ვიზიტისას ასევე წარმოადგინა მატერიალური ფორმით სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგების ამსახველი დოკუმენტები.

<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

### 5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლას მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებული აქვს სკოლის ვებ-გვერდზე, რითაც უზრუნველყოფილი აქვს მათი საჯაროდ ხელმისაწვდომობა ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.
სასკოლო საზოგადოების წევრებმა ინტერვიუს დროს დააფიქსირეს, რომ მათ სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შესახებ ინფორმაციის მოძიება შეუძლიათ სკოლის ვებ-გვერდზე (პორტალზე).
<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

### 6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

დაწესებულების სახელწოდებაა **სსიპ - ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლა.** სკოლის სახელწოდება განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით. ასევე, სრულ შესაბამისობაშია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სკოლისთვის სახელის მინიჭების წესის'' მე-2 მუხლთან. აღნიშნული დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერითა და შემოსავლების სამსახურის მოწმობით საგადასახადო აღრიცხვის შესახებ.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (კონცეპტუალური ნაწილი);
- 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- სსიპ ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის და ღირებულებების) და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სსიპ ქალაქ ბათუმის №3 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის ბრძანება და ჯგუფის ოქმი;
- სპეციალური კითხვარები და ანალიზი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი (06.03.2023წ);
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი (07.09.2023წ);
- სკოლის ვებ-გვერდი;
- საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის მოწმობა.

**შეფასება:**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

დაწესებულებას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს დოკუმენტი ,,ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.'' მეთოდოლოგიაში ცალკე პრინციპის სახით არის გამოყოფილი „სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება“ (მუხლი 2). მეთოდოლოგიის მე-5 და მე-6 მუხლების თანახმად, დაგეგმვის პროცესი არის თანამონაწილეობითი და ხორციელდება სპეციალურად შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფორმატში, სადაც ადმინისტრაციასთან ერთად უზრუნველყოფილია მასწავლებელთა, მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა.

დოკუმენტის მე-7 მუხლი განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და მოლოდინების იდენტიფიცირების კონკრეტულ მექანიზმებს, რაც მოიცავს თვისობრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდების გამოყენებას (სასწავლო პროცესის მონაწილეთა გამოკითხვა, ინტერვიუები). მიღებული ინფორმაცია საფუძვლად ედება სიტუაციის (SWOT ანალიზი) შეფასებას. გარდა ამისა, მეთოდოლოგიის მე-12 მუხლი აწესრიგებს უკუკავშირისა და ინფორმაციის გაზიარების ორმხრივ მექანიზმებს (საჯარო განხილვები, ელექტრონული ფოსტა, ვებგვერდი), რაც უზრუნველყოფს შემუშავებული პროექტების საჯაროობას და საზოგადოების ინტერესებთან მათ მაქსიმალურ თავსებადობას.

მეთოდოლოგიის დოკუმენტის თავფურცელზე (word-ს ფორმატი) აღნიშნულია, რომ დოკუმენტი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. თავად დოკუმენტის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტი ითვალისწინებს დოკუმენტის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებას. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა ბრძანება, ,,სსიპ ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ'', რომლის დანართსაც წარმოადგენს აღნიშნული მეთოდოლოგიური დოკუმენტი და რომელიც აღრიცხულია EFLOW-ს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში, რითაც დაადასტურა, რომ დოკუმენტი ნამდვილად დამტკიცებულია დადგენილი წესით და უფლებამოსილი პირის მიერ.

შესაბამისად, სკოლას გააჩნია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც ეფექტურად განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების ასახვის პრაქტიკულ მექანიზმებს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლას შემუშავებული აქვს შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომელიც მოიცავს 2023-2030 წლებს. დოკუმენტი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. დოკუმენტის შემუშავებამდე სკოლას განხორციელებული აქვს SWOT ანალიზი.

სტრატეგიული გეგმა თავსებადია სკოლის ფილოსოფიასთან, ვინაიდან იგი პირდაპირ ეფუძნება და აკავშირებს ერთმანეთთან დაწესებულების მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. გეგმის შესავალ ნაწილში მკაფიოდ არის გაცხადებული ორიენტაცია 21-ე საუკუნის შესაბამისი, ხარისხიანი განათლების მიცემასა და მოსწავლეთა ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაზე. აღნიშნული მიმართულება სრულ თანხვედრაშია სკოლის ხედვასთან, რომელიც 2030 წლისთვის ისახავს XXI საუკუნის მოქალაქისთვის საჭირო უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მოქალაქეების აღზრდას.

დოკუმენტი შეიცავს მისიასთან თავსებად 7 ძირითად სტრატეგიულ მიზანს (მიმართულებას). თითოეული სტრატეგიული მიზანი, თავის მხრივ, ლოგიკურად იშლება კონკრეტულ ამოცანებად. სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია ამოცანების შესრულების ვადები (წლების მიხედვით, 2023 წლიდან 2030 წლამდე), რაც გეგმის ციკლურობასა და ეტაპობრივ რეალიზებაზე მიუთითებს.

**<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2025-2026 სასწავლო წლისთვის. დოკუმენტი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ.

დოკუმენტის ანალიზი აჩვენებს, რომ იგი პირდაპირ ეფუძნება და ლოგიკურად გამომდინარეობს სკოლის 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმიდან, მისიიდან და ხედვიდან. სამოქმედო გეგმა სტრუქტურირებულია სტრატეგიული გეგმის ძირითადი მიმართულებების მიხედვით (სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსის განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და სხვა). 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებამდე სკოლამ განახორციელა გასული წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი და შეფასება, რომლის შედეგებიც გათვალისწინებულ იქნა ახალი სამოქმედო გეგმის შედგენისას.

**<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლის 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის სტრუქტურული და შინაარსობრივი ანალიზით დგინდება, რომ დოკუმენტში სრულყოფილად არის ასახული და გათვალისწინებული ინდიკატორით მოთხოვნილი ყველა სავალდებულო კომპონენტი:

- **სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები:** გეგმის ყოველი სექცია მკაფიოდ აკავშირებს გრძელვადიან სტრატეგიულ მიზანს, მისგან გამომდინარე ამოცანას და ამ ამოცანის მისაღწევად დასახულ კონკრეტულ აქტივობებს.
- **შესრულების გაზომვადი ინდიკატორები:** დოკუმენტში გამოყოფილია ცალკე გრაფა „შესრულების ინდიკატორები/მტკიცებულება“, სადაც თითოეული აქტივობისთვის განსაზღვრულია მტკიცებულებები, რაც იძლევა შედეგების გაზომვის და მონიტორინგის შესაძლებლობას.
- **რეალისტური ვადები:** აქტივობების შესრულების პერიოდი დეტალურად არის გაწერილი დროში და გადანაწილებულია 2025-2026 სასწავლო წლის თვეების მიხედვით. ვადები შეესაბამება სასკოლო კალენდარსა და აქტივობების სპეციფიკას.
- **პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები:** გეგმაში თითოეულ აქტივობაზე ინდივიდუალურად არის მიწერილი შემსრულებელი სუბიექტი, რაც უზრუნველყოფს სკოლის შიდა სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების მკაფიო დიფერენციაციასა და პასუხისმგებლობის დაკისრებას.
- **შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია:** გეგმაში რესურსების გრაფა დეტალურად არის დაყოფილი სამ ძირითად კატეგორიად: ადამიანური, მატერიალური და ფინანსური.

<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- 2023-2030 წლის სტრატეგიული გეგმა;
- 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- SWOT ანალიზი.

### 1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის ფილოსოფიის შემუშავებისა და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია დეტალურად მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტის მე-11 მუხლი და დანართი №1 მკაფიოდ განსაზღვრავს, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სკოლის სამეურვეო საბჭო.

მეთოდოლოგიაში გაწერილია მონიტორინგის კონკრეტული პერიოდულობა და ინსტრუმენტები: კერძოდ, სასწავლო წლის ბოლოს პასუხისმგებელი პირები წარადგენენ წერილობით ანგარიშებს , ხოლო სტრატეგიული გეგმის შესრულების შეფასება ხდება ყოველ 3 წელიწადში ერთხელ და 7 წლის გასვლის შემდგომ. გარდა ამისა, დოკუმენტი ითვალისწინებს სპეციალურ მონიტორინგის ფორმას (ცხრილს), სადაც თითოეულ აქტივობას შესაბამისი პირების ჩართულობით ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“ ან „არ შესრულდა“.

აღსანიშნავია ისიც, რომ მეთოდოლოგია უზრუნველყოფს შეფასების შედეგების საჯაროობასა და ვებ-გვერდზე განთავსებას, რაც აკმაყოფილებს ინდიკატორის მოთხოვნას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის შესაბამისად, დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოებისა (დირექცია, მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები) და სხვა დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობითა და უკუკავშირის გათვალისწინებით. კერძოდ, მეთოდოლოგიის მე-11 მუხლის თანახმად, მონიტორინგის შედეგებიდან გამომდინარე, შესაძლებელია განხორციელდეს სტრატეგიული მიზნების გადახედვა და სამოქმედო გეგმების კორექტირება, ხოლო თავად შეფასების ანგარიშები საჯაროვდება სკოლის ვებ-გვერდზე სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარების მიზნით.

სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ანგარიშები, აღნიშნულის გათვალისწინებით წლის ბოლოს განხორციელებული მონიტორინგის თაობაზე სამეურვეო საბჭოს ოქმი და მონიტორინგის ცხრილი. სამეურვეო საბჭოს მიერ გაცემულ იქნა რეკომენდაციები, რომელიც სკოლამ უნდა გამოიყენოს მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას.

რაც შეეხება სტრატეგიული გეგმის მონიტორინგს, აღსანიშნავია, რომ სტრატეგიული გეგმა სკოლამ დაამტკიცა 2023 წლის სექტემბერში. მეთოდოლოგიური დოკუმენტით, სტარტეგიული გეგმის მონიტორინგი გათვალისწინებულია 3 წლის გასვლის შემდეგ. შესაბამისად, სკოლას მონიტორინგის ვალდებულება წარმოეშვება 2026 წლის სექტემბრის თვეში.

**<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

### 3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა

სკოლის მიერ განხორციელებული სამოქმედო გეგმის ანგარიში გამოქვეყნებულია სკოლის ვებ-გვერდზე/პორტალზე და შესაბამისად, უზრუნველყოფილია მისი საჯაროობა.რაც შეეხება სტარტეგიული განვითარების გეგმის განხორციელების შედეგებს, სკოლამ განმარტა, რომ სტრატეგიული გეგმის ანგარიშს შესაბამისი პერიოდის დადგომის შემდეგ გამოაქვეყნებს სკოლის ვებ-გვერდზე.

**<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

### 4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის

სკოლის მიერ წარმოდგენილი 2025-2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა ადასტურებს, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები, მეთოდოლოგიის მოთხოვნათა შესაბამისად, გამოიყენება დაწესებულების შემდგომი განვითარებისთვის. გეგმის პირველივე ნაწილში ხაზგასმულია, რომ აღნიშნული დოკუმენტი ეფუძნება წინა პერიოდის რევიზიისა და მონიტორინგის მიგნებებს. სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები განხილულია სამეურვეო საბჭოზე. სკოლამ 2024-2025 სასწავლო წლის ბოლოს მონიტორინგის შედეგად განახორციელა SWOT ანალიზი. ასევე, 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგები და ანალიზი გათვალისწინებული იქნება სკოლის შემდგომი სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში.

**<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის და ღირებულებების) და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის განხორციელებაზე;
- პასუხისმგებელი პირების ანგარიშები;
- მონიტორინგის ცხრილი;
- SWOT ანალიზი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის სტრუქტურა მოიცავს როგორც კოლეგიურ მმართველობით ორგანოებს (სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო), ისე სტრუქტურულ ერთეულებსა (დირექცია, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო) და კონკრეტულ თანამდებობრივ პოზიციებს, რომელთა კომპეტენციები და საქმიანობის წესი კანონმდებლობისა და შიდა დებულებების საფუძველზე რეგულირდება.

სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქცია-მოვალეობები მკაფიოდ არის განსაზღვრული სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულ ძირითად დოკუმენტში - „თანამდებობრივი ინსტრუქციები". აღნიშნულ დოკუმენტთან შესაბამისობაშია დასაქმებულებთან გაფორმებული ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც ასევე სამართლებრივად

არეგულირებს თანამშრომელთა უფლება-მოვალეობებს. დასაქმებულთა ფუნქციების პრაქტიკული რეალიზაციის მიზნით, მათი კონკრეტული პასუხისმგებლობები დაკისრებულია და მიბმულია სკოლის ყოველწლიური სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებზე. სკოლას შემუშავებული აქვს ცალკეული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი (მაგ: ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, სამედიცინო სერვისი მიწოდების მექანიზმები), რომლითაც გაწერილია მათ მიერ შესასრულებელი მოვალეობები. ასევე, თანამდებობრივ ინსტრუქციებში აღწერილია თუ რომელი სტრუქტურული ერთეულები ფუნქციონირებს სკოლაში და რომელ სტრუქტურულ ერთეულს მიეკუთვნება კონკრეტული თანამდებობრივი პოზიცია, დაქვემდებარებისა და ანგარიშვალდებულების სისტემა.
თანამშრომლებს ასევე დაკისრებული აქვთ მოვალეობები ცალკეული ბრძანებით, მაგალითად, როგორიცაა ჟურნალის მონიტორინგზე პასუხიმგებლობა, მრჩეველთა საბჭოს ფუნქციები, კვების ობიექტის მონიტორინგის ჯგუფის მიერ შესასრულებელი ფუნქციები და სხვა.

*__სკოლას მიეცა რჩევა,__ თანამდებობრივი ინსტრუქციების მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის ჩანაწერი მოიყვანოს შესაბამისობაში მოქმედ კანონმდებლობასთან და ასახოს დირექტორის შესარჩევი კონკურსის მარეგულირებელი მოქმედი ნორმატიული აქტი.*

__ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.__

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

დაწესებულების თანამშრომლებსა და სტრუქტურულ ერთეულებს შორის შესასრულებელი ფუნქციები გადანაწილებულია იმგვარად, რომ მკაფიოდ არის გამიჯნული მათი სამსახურებრივი ვალდებულებები. მაგალითად, სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია ორი დირექტორის მოადგილის პოზიცია, მათი ფუნქციები გამიჯნულია და არ იკვეთება. ერთობლიობაში კი ემსახურება საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას. სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულსა და თანამდებობრივ პირს ევალება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში შეასრულოს დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობები, რაც ორგანიზებულს ხდის სკოლის ყოველდღიურ მუშაობას.

სკოლის ყოველწლიურ სამოქმედო გეგმაში დეტალურად არის ასახული კონკრეტული აქტივობების განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირები, რაც სრულ შესაბამისობაშია მათ შრომით ხელშეკრულებებთან, თანამდებობრივ ინსტრუქციებთან და ფუნქციების დაკისრების შესახებ გამოცემულ დირექტორის ბრძანებებთან. პასუხისმგებლობების მსგავსი პრაქტიკული გადანაწილება გამორიცხავს ფუნქციების გადაკვეთას და ემსახურება საგანმანათლებლო მიზნების მიღწევას.

__ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.__

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სტრუქტურული სქემა;
- საშტატო განრიგი;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- თანამშრომლების შრომითი ხელშეკრულებები;
- ფუნქციების დაკისრების შესახებ დირექტორის ბრძანებები;
- 2025-2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები.

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შიდა რეგულაციების შესაბამისად. სკოლაში მოქმედებს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული:

- **„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“**, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი კადრების მოზიდვის, შერჩევა-დასაქმების, კონკურსის ჩატარების პირობები, დასაქმებულთა პროფესიული და კარიერული განვითარების მექანიზმები, ორგანიზაციული კლიმატის კვლევა, მოტივირება და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ეტაპები. თანამშრომლის მიღების მარეგულირებელი დებულებები შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესთან’’.
- **„სკოლის შინაგანაწესი“**, რომლითაც რეგულირდება სამუშაო და დასვენების დრო, სამსახურში გამოცხადებისა და გაცდენების შეტყობინების წესი, შვებულების (მათ შორის, ანაზღაურებადი, უხელფასო, ორსულობისა და მშობიარობის გამო) მიცემის პროცედურები, შრომითი დისციპლინის, წახალისებისა და პასუხისმგებლობის ზომები.

აღსანიშნავია, რომ შრომის კოდექსის შესაბამისად, შინაგანაწესში ცალკე მუხლებით არის რეალიზებული შრომითი დისკრიმინაციისა და სამუშაო ადგილზე შევიწროების აკრძალვის მექანიზმები.

სკოლის თანამშრომლებთან გაფორმებულია ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებები, რომლებიც შესაბამისობაშია შრომის კოდექსის მოთხოვნებთან და განსაზღვრავს მხარეთა უფლება-მოვალეობებს. შინაგანაწესი წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულებების განუყოფელ ნაწილს და სკოლა უზრუნველყოფს დასაქმებულთა დროულ ინფორმირებას მასში შესული ცვლილებების შესახებ.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლა პრაქტიკაში ახორციელებს როგორც პრევენციულ, ასევე ინტერვენციულ მართვის პოლიტიკას. კერძო, სკოლაში მასწავლებლის ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, კადრის შესარჩევად ცხადდება შიდა ან ღია კონკურსი, რა დროსაც ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით და თანამშრომლის მიღების შიდა პროცედურით. დასაქმებულის არყოფნის შემთხვევაში ხდება მისი ფუნქციების გადანაწილება სხვა დასაქმებულზე. მაგალითად, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში, საათების გადანაწილება შესაბამისი საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებელზე, ხოლო გადანაწილების შეუძლებლობის შემთხვევაში ხდება შემცვლელ მასწავლებელთან ხელშეკრულების გაფორმება.

სკოლის მიერ პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის განხორციელება დასტურდება სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით.

**სკოლას მიეცა რჩევა,** შიდა სასკოლო მარეგულირებელ დოკუმენტში ასახოს პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკის განხორციელების პროცედურა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი თანამდებობრივი ინსტრქუციებით დგინდება, რომ სკოლაში ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის დასაქმება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც კონკურსის გზით, ასევე დირექციასთან გასაუბრებით. რაც შეეხება მასწავლებლის, სამედიცინო პერსონალისა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების დასაქმებას, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა და მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება კონკურსის გზით. სკოლა ქმნის საკონკურსო კომისიებს, რომლებიც მუშაობენ სხდომების ფორმატში, რაც უზრუნველყოფს ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას. ვაკანსიები ცხადდება საჯარო პლატფორმებზე, სადაც მკაფიოდ არის მითითებული პოზიციის შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. კანდიდატების შეფასებას ახორციელებს სპეციალურად შექმნილი საკონკურსო კომისია წინასწარ განსაზღვრული შეფასების

კრიტერიუმების (რუბრიკების) საფუძველზე. მასწავლებლებთან/სპეციალურ მასწავლებლებთან ხელშეკრულებები გაფორმებულია სტატუსების მიხედვით.
თანამდებობრივი ინსტრუქციებით სკოლას განსაზღვრული აქვს თითოეული დასაქმებულის მიერ წარმოსადგენი სავალდებულო დოკუმენტაცია, რომლებიც უნდა ინახებოდეს თანამშრონლის პირად საქმეში.

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე, სკოლის მიერ წარმოდგენილი პირადი საქმეების შესწავლით (შერჩევითი პრინციპით) დადგინდა, რომ ყველა თანამშრომლის პირად საქმეში სრულყოფილად არ იყო განთავსებული სავალდებულო ნასამართლობის ცნობები, კერძოდ:

- უფლების ჩამორთმევის;
- სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთის ნასამართლობის;
- ნასამართლობის შესახებ (ზოგადი) ცნობა (დამატებით, მასწავლებლის შემთხვევაში);

აღნიშნული წარმოადგენდა არა მხოლოდ სკოლის შიდა რეგულაციების, არამედ კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევას.

*სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. სკოლამ მიუთითა, რომ უკვე აღმოფხვრა ხარვეზი და წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულებები, კერძოდ, მოიპოვა იმ თანამშრომლების ნასამართლობის ცნობები, რომლებსაც არ გააჩნდათ აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე და არ იყო განთავსებული თანამშრომლების პირად საქმეებში. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „შეესაბამება".*

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა თანამშრომელთა ბაზა და პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ სკოლაში, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დღისთვის დასაქმებული იყო 164 თანამშრომელი. თანამდებობრივი ინსტრუქციების მარეგულირებელი დოკუმენტით სკოლას განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეულ ადმინისტრაციულ პოზიციასთან მიმართებით, ხოლო მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, კანონმდებლობის შესაბამისად.

რაც შეეხება სკოლის ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე დადგინდა, რომ თანამდებობრივი ინსტრუქციების მე-20 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სკოლის ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ იყო შესაბამისობაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 31 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით განსაზღვრულ

**საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან (არ იყო გათვალისწინებული 2026 წლის 20 აპრილს N58/ნ ბრძანებით განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილება).**
**სკოლაში დასაქმებულ ზოგიერთ თანამშრომელს განათლება მიღებული აქვს საზღვარგარეთ. პირად საქმეებში წარმოდგენილი იყო დიპლომების ნოტარიული თარგმანი, მაგრამ არ იყო წარმოდგენილი საზღვარგარეთ მიღებული განათლების დამადასტურებელი დიპლომების აღიარების დამდასტურებელი დოკუმენტები.**

მასწავლებელთა ბაზის გადამოწმებით დადგინდა, რომ სკოლაში დასაქმებულია ჯამში 119 მასწავლებელი, მათ შორის, 83 არის უფროსი, 11 უფროსი სპეციალური მასწავლებელი, 20 წამყვანი და 5 მენტორი მასწავლებლის სტატუსის მქონე პირი. 1 მასწავლებელი დასაქმებულია შემცვლელი მასწავლებლის პოზიციაზე, დროებით არმყოფი დასაქმებულის ჩანაცვლების მიზნით. მასწავლებლების ნაწილი ასწავლის როგორც ქართულ, ასევე რუსულ სექტორზე.
სკოლაში დასაქმებულია 24 სსსმ პირის ასისტენტი, 1 ენისა და მეტყველების სპეციალისტი და 2 ფსიქოლოგი. მასწავლებლების ნაწილს გავლილი აქვთ სპეციალური ტრენინგები ბრაილის შრიფტით სწავლებასთან დაკავშირებით.
ადმინისტრაციულ პოზიციებზე დასაქმებულები არიან დირექტორი, 2 მოადგილე, ბუღალტერი, ექიმი, საინფორმაციო მენეჯერი, საქმისმწარმოებელი, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, დარაჯები, დამლაგებლები. საშტატო განრიგი ითვალისწინებს მუშის საშტატო ერთეულს, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა ასეთ პოზიციაზე დასაქმებული პირი.

**თანამშრომელთა ბაზის, ხელშეკრულებების და პირადი საქმეების შესწავლით დადგინდა, რომ თანამშრომლების საკვალიფიკაციო მოთხოვნები არ შეესაბამებოდა კანონმდებლობის მოთხოვნებს. კერძოდ:**

- **დაწყებით საფეხურზე, როგორც ქართულ, ასევე, რუსულ სექტორზე სახვით და გამოყენებით ხელოვნებას, მუსიკასა და ფიზიკურ აღზრდას ასწავლიდნენ მასწავლებლები, რომლებსაც არ ჰქონდათ აღნიშნული საგნების სწავლების უფლება.**
- **დაწყებით საფეხურზე, ორივე სექტორზე, მე და საზოგადოებას ასწავლიდნენ მასწავლებლები, რომლებსაც არ ჰქონდათ საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნის სწავლების უფლება.**
- **დაწყებით საფეხურზე როგორც ქართულ, ასევე, რუსულ სექტორზე, ჭადრაკს ასწავლიდნენ მასწავლებლები, რომლებსაც არ უდასტურდებოდათ შესაბამისი მომზადება, რითაც დარღვეული იყო ესგ-ს მოთხოვნა.**
- **დაწყებით საფეხურზე, ქართულ სექტორზე, ბუნებისმეტყველებას ასწავლიდნენ მასწავლებლები, რომლებსაც არ ჰქონდათ შესაბამისი საგნის სწავლებისთვის საჭირო კვალიფიკაცია.**
- **რუსულ სექტორზე, საბაზო საფეხურზე, საგანს - „ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის)" ასწავლიდნენ პირები, რომლებსაც არ ჰქონდათ „ქართული, როგორც მეორე ენის" საგნის სწავლების უფლება;**
- **რუსულ სექტორზე, საშუალო საფეხურზე, არჩევით საგანს - ხელოვნების ისტორია ასწავლიდა რუსული ენის მასწავლებელი, რომელსაც არ უდასტურდებოდა ხელოვნების ისტორიის სწავლების უფლება;**
- **ქართულ სექტორზე, საბაზო საფეხურზე, ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა მასწავლებელი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ქართული, როგორც მეორე ენა და არ უდასტურდებოდა ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების უფლება;**

- სკოლაში დასაქმებული იყო სამედიცინო განათლების მქონე სამედიცინო პერსონალი - ექიმი, რომლის კვალიფიკაციაც არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, ექიმს არ ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანებით გათვალისწინებული დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების სერტიფიკატი ნებადართულ სპეციალობებიდან ერთ-ერთში. ექიმის მიერ წარმოდგენილ იქნა სერტიფიკატი ნეონატოლოგიის მიმართულებით.

*სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზებთან დაკავშირებით. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ხარვეზების აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 07.2026-31.12.2026 პერიოდი და გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ:*

- *ექიმის ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსის გამოცხადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (შესრულების საბოლოო ვადა 31.12.2026);*
- *თანამშრომლების უცხოენოვანი დიპლომების აღიარების მიზნით გაკეთებული განაცხადები (შესრულების საბოლოო ვადა 10.2026);*
- *ჭადრაკის მასწავლებლის მიერ შესაბამისი ტრენინგის გავლის დამადასტურებელი ცნობა, რომელიც მასწავლებელს ანიჭებს ჭადრაკის სწავლების უფლებას;*
- *შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებლების ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსის გამოცხადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე, განმარტება, რომ რუსულ სექტორზე დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები (I-IV კლ -საგნები: ეთნიკური უმცირესობის ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) დარეგისტრირდნენ გამოცდებზე, რაც დასტურდება საგამოცდო ბარათებით (შესრულების საბოლოო ვადა 15.09.2026);*
- *გარდა ამისა, რუსულ სექტორზე, საშუალო საფეხურზე, ახალი სასწავლო წლიდან არჩევითი საგნის „ხელოვნების ისტორიის" საათები გადანაწილდება სკოლის სერტიფიცირებულ ხელოვნების მასწავლებლებზე და შესაბამისად, აღარ საჭიროებს კონკურსის გამოცხადებას;*
- *დაწყებით საფეხურზე, ქართულ სექტორზე „მე და საზოგადოების" საათები ახალი სასწავლო წლიდან გადანაწილდება იმ მასწავლებლებზე, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ დაწყებითი კლასების (I-IV) კომბინირებული გამოცდა და შესაბამისად, აღარ საჭიროებს კონკურსის გამოცხადებას, ხოლო დაწყებითი საფეხურის რუსულ სექტორზე, მასწავლებლები დარეგისტრირებულნი არიან საგნის გამოცდაზე, უარყოფითი შედეგების შემთხვევაში კი საათები გადანაწილდება ისტორია, გეოგრაფია და სამოქალაქო განათლების სერტიფიცირებულ პედაგოგებზე (შესრულების საბოლოო ვადა 15.09.2026);*
- *საბაზო საფეხურზე, ქართულ სექტორზე, ახალი სასწავლო წლიდან ქართული ენის საათები გადანაწილდება სკოლის სერტიფიცირებულ ქართული ენის მასწავლებელთა შორის, შესაბამისად არ საჭიროებს კონკურსის გამოცხადებას;*

- *თანამდებობრივ ინსტრუქციებში გაწერილი ექიმის საკვალიფიკაციო მოთხოვნების კანონმდებლობასთან შესაბამისობის მოყვანას კი შესაბამისობის გეგმის მიხედვით გეგმავს 2026 წლის 15 სექტემბრამდე.*

*შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა.*

<u>ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად" დაკმაყოფილებულია.</u>

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს

სკოლის მიერ წარმოდგენილი კოლეგიური სტრუქტურული ერთეულებისა და კომისიების დოკუმენტაცია (სხდომის ოქმები, მუშაობის ანგარიშები), ისევე როგორც სკოლის ადმინისტრაციასთან და პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები ადასტურებს, რომ სასწავლო და ორგანიზაციული პროცესები ხორციელდება მონაწილეობითობის, თანამშრომლობისა და გუნდური მუშაობის საფუძველზე. საგნობრივ კათედრებზე მიმდინარეობს კურიკულუმების ერთობლივი შექმნისა და განვითარების პროცესი. მასწავლებლები პრაქტიკაში იყენებენ ურთიერთდასწრების ფორმატს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სკოლის ფილოსოფია შემუშავდა სამუშაო ჯგუფის ფორმატში.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი

სკოლის წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმს წარმოადგენს გამოცდილების გაზიარება მასწავლებლებს შორის, რაც ხორციელდება ძირითადად კათედრების სხდომებზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე, კურიკულუმზე მუშაობისა და ურთიერთდასწრების ფორმატში გამოცდილების გაზიარებისას. სკოლას შინაგანაწესითა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებული აქვს მოტივაციის ზრდისა და წახალისების მექანიზმები.
დირექტორის მოადგილის ანგარიშის მიხედვით, ქართული ენის კათედრის მასწავლებლის ინიციატივით მოეწყო და ჩატარდა სასკოლო კონფერენცია გამოცდილების გაზიარების მიზნით, რომელშიც მომხსენებლებად ბათუმის სხვადასხვა საჯარო სკოლის პედაგოგებიც იყვნენ მოწვეულები.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სტრუქტურული სქემა;
- საშტატო განრიგი;
- თანამშრომლების შრომითი ხელშეკრულებები;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- თანამშრომლების სია (პორტირებული eschool.emis.ge-დან);
- თანამშრომლების პირადი საქმეები;
- კოლეგიური სტრუქტურული ერთეულებისა და კომისიების ოქმები;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.2. პერსონალის განვითარება

### 3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტებით დასტურდება, რომ დაწესებულებაში შექმნილია პერსონალის შეფასებისა და პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირების მექანიზმი.

მარეგულირებელი დოკუმენტაციის თანახმად, პერსონალის შეფასების სისტემა ორიენტირებულია დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებაზე. პერსონალის (მათ შორის, მასწავლებელთა) შეფასება ხორციელდება მრავალფეროვანი ფორმატებით, რაც მოიცავს: უშუალო ხელმძღვანელის მიერ შეფასებას, თვითშეფასებას, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვას სპეციალური კითხვარების მეშვეობით, კრიტიკული შემთხვევების ანალიზს, სამუშაო ჯგუფების/კომისიების შეფასებასა და საგაკვეთილო პროცესზე უშუალო დაკვირვებას.

მონიტორინგის, შეფასებისა და გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე, სკოლა ახდენს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას და შეიმუშავებს მიზნობრივ რეკომენდაციებს ადამიანური რესურსის საქმიანობაში შესატანი ცვლილებების შესახებ. შეფასების შედეგად გამოვლენილი ხარვეზების ან კონკრეტული საჭიროებების არსებობის შემთხვევაში, სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთათვის შესაბამისი ტრენინგების ჩატარებას (როგორც ადგილობრივი რესურსით, ისე მოწვეული სპეციალისტების დახმარებით) და ხელს უწყობს მათ ჩართულობას პროფესიული განვითარების სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.

<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ პერსონალის პროფესიული განვითარება ეფუძნება წინასწარ დაგეგმილ, საჭიროებებზე ორიენტირებულ მიდგომას. სკოლას 2025-2026 სასწავლო წელს შემუშავებული ჰქონდა სკოლის პერსონალის პროფესიული განვითარების შიდა ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების გეგმა, რომელიც თანხვედრაშია დაწესებულების ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან. სასკოლო საზოგადოების, მათ შორის პედაგოგებისა და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების გეგმაში დეტალურად არის გაწერილი ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების თემები, სამიზნე ჯგუფები, პასუხისმგებელი პირები, შესრულების ვადები (თვეების მიხედვით) და თითოეული აქტივობისთვის სავალდებულო მტკიცებულებები (ოქმები, პრეზენტაციები, ანგარიშები, დასწრების ფურცლები). წარმოდგენილი გეგმა ითვალისწინებს დამატებით პროფესიულ შეხვედრებს, მათ შორის: ყოველთვიურ პროფესიულ დიალოგს მასწავლებლებთან, წარმატებული პრაქტიკის გაზიარების სესიებს, კათედრების სამუშაო შეხვედრებსა და კოლეგიალური მხარდაჭერის მექანიზმებს.

ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ადამიანური რესურსის განვითარების ბლოკში ასახულია საჭიროებათა პერიოდული კვლევა, შიდა სასკოლო ტრენინგების ჩატარების უზრუნველყოფა და გარე სემინარების/ტრენინგების შესახებ ინფორმაციის მუდმივი მიწოდება პერსონალისთვის. გარდა ამისა, სკოლის თანამშრომელთა პორტფოლიოებში წარმოდგენილი ტრენინგების გავლის დამადასტურებელი ცნობები და სერტიფიკატები (ინკლუზიური განათლების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა და ბრაილის შრიფტის სწავლების მეთოდიკის მიმართულებით) ადასტურებს პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების მიზანმიმართულ პრაქტიკას.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### 3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტითა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმით დასტურდება, რომ დაწესებულებაში შექმნილია მექანიზმები პერსონალის კარიერული წინსვლისა და პროფესიული ზრდის ხელშეწყობისთვის.

სკოლა აქტიურად უჭერს მხარს მასწავლებელთა და თანამშრომელთა ჩართულობას სხვადასხვა შიდა და გარე სასკოლო აქტივობებში, რაც ხელს უწყობს მათი პროფესიული განვითარების უწყვეტობას. დირექტორის მოადგილის სასწავლო პროცესის ხარისხის მონიტორინგისა და მასწავლებელთა მხარდაჭერის ანგარიში, ისევე როგორც სამუშაო გეგმა, ადასტურებს პედაგოგთა მიზნობრივ ხელშეწყობას. სკოლაში ხორციელდება მასწავლებელთა პრაქტიკის მხარდაჭერა კვლევების, საგნობრივი პროექტებისა და მოსწავლეთა ეროვნულ სასწავლო თუ STEM ოლიმპიადებში ჩართვის გზით. ასევე, სკოლა ხელს უწყობს პედაგოგთა მონაწილეობას სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციებში.

კარიერული წინსვლის ხელშეწყობის მექანიზმები მოიცავს:

- მაძიებლის სტატუსის მქონე პირთა მხარდაჭერას მენტორის განსაზღვრის გზით;
- მონიტორინგსა და განმავითარებელ უკუკავშირს დირექტორის მოადგილის წინასწარი გეგმის შესაბამისად;
- ინფორმაციულ მხარდაჭერას ტრენინგების, ვებინარებისა და კონფერენციების შესახებ.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### 4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და თანამშრომლის ადაპტაციის შიდა რეგულაციები ცხადყოფს, რომ სკოლას შემუშავებული აქვს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციისა და ადაპტაციის მექანიზმები. მექანიზმები უზრუნველყოფს დასაქმებულთა ეფექტურ სოციალიზაციას, სამუშაო პროცესში შეუფერხებელ ჩართვასა და სასკოლო კულტურის გაზიარებას. სკოლას დამტკიცებული აქვს სპეციალური დოკუმენტი: „ახალი თანამშრომლის სამუშაოზე მიღებისა და ადაპტაციის პროცედურა“.

ინტეგრაციის პროცესი დაყოფილია ოთხ ძირითად დროით ფაზად:

- **სამუშაომდე გამოსვლის პერიოდი (პირველი ფაზა):** ორიენტირებულია ახალი გუნდის წევრისთვის ორგანიზებული და მომზადებული სამუშაო გარემოს დახვედრაზე.
- **პირველი სამუშაო დღე (მეორე ფაზა):** მოიცავს შეხვედრას სკოლის დირექციასთან, ფიზიკური გარემოს, ძირითადი დოკუმენტაციისა და კოლეგების გაცნობას, ასევე სამუშაოზე გამოსვლის თარიღის საბოლოო შეთანხმებას.
- **პირველი სამუშაო დღიდან ორ კვირამდე პერიოდი (მესამე ფაზა):** ორიენტირებულია შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების (დებულება, შინაგანაწესი) გადაცემაზე, ელექტრონული სისტემებისა და ჟურნალის სწავლებაზე, პირველი დავალებების მიცემასა და ორმხრივი უკუკავშირის დამყარებაზე.
- **პირველი სამი თვე (მეოთხე ფაზა):** მოიცავს რეგულარულ შეხვედრებს, შესრულებული სამუშაოს, პიროვნული და პროფესიული უნარების შეფასებასა და მომდევნო პერიოდის ამოცანების გადახედვას.

სკოლის ადაპტაციის პოლიტიკა არ შემოიფარგლება მხოლოდ ახალმიღებული კადრებით. ის ასევე ვრცელდება სპეციფიკურ შემთხვევებზე, როგორიცაა: თანამშრომლის შიდა გადაადგილება, სამუშაოზე დაბრუნება ხანგრძლივი წყვეტის შემდეგ, დროებითი ჩანაცვლების პერიოდის დასრულება და სხვა შემთხვევები.

დოკუმენტი მკაფიოდ განსაზღვრავს ინტეგრაციის პროცესში ჩართული მხარეების (დირექტორი, დირექტორის მოადგილე/საფეხურის მიხედვით უშუალო ხელმძღვანელი, კათედრის ხელმძღვანელი და წინამორბედი თანამშრომელი) როლებსა და პასუხისმგებლობებს. პროცედურას თან ახლავს ინსტრუმენტები: „ახალი თანამშრომლის პირველი დღის გეგმა" (დანართი №1), „კათედრის ხელმძღვანელის სამოქმედო გეგმა" (დანართი №2), „სამუშაო ადგილის მიღების ჩექლისტი" (დანართი №3), რომელიც აწესრიგებს მატერიალურ-ტექნიკურ და ტექნიკურ უზრუნველყოფას (სამუშაო სივრცე, კომპიუტერული ტექნიკა, ბაზებსა და ელექტრონულ ჯგუფებზე წვდომა), „თანამშრომლის სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის უკუკავშირი" (დანართი №4).

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

### 5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლის მიერ წარმოდგენილი შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციით, ასევე ხარისხის მონიტორინგის ანგარიშით დასტურდება, რომ დაწესებულებაში წახალისებულია და მხარდაჭერილია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული შემოქმედებითი და პროფესიული ინიციატივები. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკაში დეკლარირებულია, რომ დაწესებულების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა დასაქმებული პირების შესაძლებლობების მაქსიმალური წარმოჩენა, რეალიზება და იმგვარი გარემოს შექმნა, სადაც შესაძლებელია ღია დიალოგი და ორმხრივი კომუნიკაცია. დირექტორის მოადგილის ანგარიშის მიხედვით, ქართული ენის კათედრის მასწავლებლის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით მოეწყო და ჩატარდა მასშტაბური სასკოლო კონფერენცია გამოცდილების გაზიარების მიზნით, სადაც მომხსენებლებად ბათუმის სხვადასხვა საჯარო სკოლის პედაგოგებიც იყვნენ მოწვეულები. წარმატებით განხორციელდა მასწავლებელთა ინიციატივები, როგორიცაა პროექტი „ჩემს გაკვეთილზე", საგნობრივი პროექტები ისტორიასა და ქართულ ენაში („ზედი ქართლისა"), ასევე პროექტი, რომლის ფარგლებშიც პედაგოგებმა და მოსწავლეებმა თურქეთის რესპუბლიკაში ეთნიკურად მცხოვრებ ქართველებთან შეხვედრა მოაწყვეს. პედაგოგების მიერ ინიცირებული საუკეთესო ნამუშევრები წარდგენილ იქნა აჭარის პედაგოგთა მეათე

კონფერენციაზე. გარდა ამისა, რუსული ენის კათედრის ინიციატივით ჩატარდა ინოვაციური კონკურსი ციფრული ტექნიკისა და ლიტერატურული გმირების თანამედროვე ინტერპრეტაციის გამოყენებით.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა;
- 2025-2026 წლის პროფესიული განვითარების გეგმა;
- დირექტორის მოადგილის ანგარიში;
- დირექტორის მოადგილის 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა;
- კათედრის ოქმები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 3.3. პროცესების მართვა

### 3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ დოკუმენტის შესწავლით დასტურდება, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება სისტემურ, პროცესულ მიდგომას და შეესაბამება ხარისხის განვითარების სტანდარტებს. დოკუმენტი მიზნად ისახავს სწავლა/სწავლების, სასწავლო გარემოსა და პროცესის ხარისხის მართვას, მონიტორინგს, მათ მუდმივ სრულყოფასა და აკადემიური თუ მატერიალური პოტენციალის ეფექტურ გამოყენებას.

სკოლაში საგანმანათლებლო პროცესების ხარისხის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის უწყვეტი ციკლის - **PDCA (დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე)** პრინციპის შესაბამისად.

დოკუმენტით განსაზღვრული პროცესუალური მიდგომა ვრცელდება სკოლის ფუნქციონირების ისეთ საკვანძო მიმართულებებზე, როგორიცაა: საგანმანათლებლო პროგრამებისა და სადამრიგებლო გეგმების სისტემატური გადახედვა, სასკოლო სასწავლო გეგმისა და საათობრივი ბადის შემუშავების დაგეგმვა, ადამიანური რესურსების შეფასება და გაუმჯობესება, ასევე მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საინფორმაციო რესურსების პერიოდული შემოწმება. ხარისხის მართვის პროცესი ეფუძნება შიდა და გარე შეფასების მექანიზმების ერთობლიობას, სადაც შიდა კონტროლი ხორციელდება კათედრების/დამრიგებლების ანგარიშგების, კონფიდენციალური გამოკითხვებისა და საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვების საფუძველზე. სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.

<u>**სკოლას მიეცა რჩევა,** გადახედოს და მოქმედ საკანონმდებლო რეგულაციებთან და ეროვნულ სასწავლო გეგმასთან (ესგ) შესაბამისობაში მოიყვანოს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის“ დოკუმენტში არსებული რამდენიმე მოძველებული ჩანაწერი, კერძოდ:</u>

- <u>დააკორექტიროს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება/დამტკიცების ვადები;</u>
- <u>საგაკვეთილო დაკვირვებისა და მონიტორინგის ფუნქციები დოკუმენტში სრულად უნდა გადაანაწილდეს სკოლის რეალურ სტრუქტურულ ერთეულებზე/დასაქმებულ პირებზე, ვინაიდან სკოლის მოქმედი სტრუქტურით და პროფესიული განვითარების სქემით მსგავსი ფორმატისა და სახელწოდების ჯგუფის არსებობა აღარ არის გათვალისწინებული,</u>

- გაუქმდეს ჩანაწერი ეროვნული სასწავლო გეგმის მესამე მოდელის მიხედვით საათობრივი ბადის შემუშავების შესახებ.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ დაწესებულებაში იდენტიფიცირებული და აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

- **მმართველობითი პროცესები აღწერილია** სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, ერთწლიან სამოქმედო გეგმასა და ხარისხის უზრუნველყოფის და ადამიანური რესურსების განვითარების შიდა მექანიზმებში.
- **ძირითადი პროცესები** მოიცავს სასკოლო კურიკულუმების ერთობლივ შემუშავებას, დანერგვას, რევიზიასა და სასწავლო პროცესის ეფექტიან ორგანიზებას, მართვასა და მონიტორინგს.
- **დამხმარე პროცესები** იდენტიფიცირებულია და რეგულირდება შესაბამისი შიდა სამართლებრივი აქტებით, როგორიცაა: ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების მართვა, საბიბლიოთეკო და სამედიცინო სერვისების განხორციელება, მოსწავლეთა დამატებითი მხარდაჭერა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა, საქმისწარმოება (დოკუმენტბრუნვა), პერსონალური მონაცემების დაცვა და საზოგადოებასთან ურთიერთობა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლას დამტკიცებული აქვს დოკუმენტი „განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი“, რომელიც წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების წევრთა უფლებების დაცვის გარანტიას. დოკუმენტით მკაფიოდ არის სტრუქტურირებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების სისტემა სხვადასხვა მიმართულების მიხედვით. კერძოდ, დარეგულირებულია განცხადების და საჩივრის წარმოებაში მიღებისა და განხილვის ზოგადი წესები, დისციპლინური წარმოებისას მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრება, კონკურსის შედეგების გასაჩივრება, თანამშრომლების, მშობლებისა და მოსწავლეების უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასაჩივრება.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების და პერსონალის კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით, სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, საჩივრების განხილვის წესი. სკოლაში ფუნქციონირებს დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო. სკოლას ჰყავს მანდატურები, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირები და სხვა. სკოლას გაწერილი აქვს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისმარეგულირებელი დოკუმენტი;
- საჩივრების განხილვის წესი;
- შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- მოსწავლეთა მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

### 3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

მშობლებთან და კანონიერ წარმომადგენლებთან კომუნიკაციისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით, სკოლა სისტემატურად იყენებს მშობელთა საერთო კრებებს, ინდივიდუალურ შეხვედრებსა და სატელეფონო რეგულარულ კავშირს. ინფორმაციის ყოველდღიური ოპერატიული მიწოდებისთვის გამოიყენება ელექტრონული ჟურნალი, ოფიციალური ელექტრონული ფოსტა (eflow და სასკოლო მეილი), სკოლის ოფიციალური ფეისბუქ-გვერდი და დამრიგებლების/მასწავლებლების მიერ მართული დახურული საკომუნიკაციო ჯგუფები. გარდა ამისა, სკოლის შინაგანაწესითა და რეგულაციებით მკაფიოდ არის განსაზღვრული მშობელთა ვიზიტის კონკრეტული დღეები და საათები ადმინისტრაციასთან საქმიანი კომუნიკაციისთვის.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები განსაზღვრავს უკუკავშირის მიღებას სასკოლო საზოგადოების (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები) პერიოდული ანონიმური/კონფიდენციალური გამოკითხვის გზით და საჭიროებების კვლევის მიზნით. ერთწლიანი სამოქმედო

გეგმით განსაზღვრულია, რომ აღნიშნული კითხვარების ანალიზისა და მიღებული უკუკავშირის საფუძველზე სკოლის დირექცია ახდენს რეაგირებას, რაც გამოიხატება მართვის მეთოდების, სასწავლო პროცესის, მატერიალურ-ტექნიკური გარემოსა და სხვადასხვა შიდა პროცედურების გადახედვასა და საჭირო ცვლილებების დაგეგმვაში. სკოლას ჩატარებული აქვს გამოკითხვა უსაფრთხო გარემოს შეფასების მიზნით, ასევე ჩატარებული აქვს გამოკითხვა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების დოკუმენტაციითა და სხდომების ოქმებით დასტურდება, რომ დაწესებულებაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა სკოლის მართვასა და ყოველდღიურ ცხოვრებაში.
სკოლაში მოქმედი კოლეგიური ორგანოები აერთიანებენ სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელს, რაც ხელს უწყობს დემოკრატიული, მონაწილეობითი მართვის პრინციპების რეალიზებას და თითოეული რგოლის ჩართვას სკოლისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. პროცესებში თანაბრად მონაწილეობენ ადმინისტრაციის, პედაგოგიური პერსონალის, მშობლებისა და მოსწავლეთა წარმომადგენლები.
აღნიშნული დასტურდება სკოლის მართვის ძირითადი კოლეგიური ორგანოების ფუნქციონირებითა და მიღებული გადაწყვეტილებებით, რომლებიც ასახულია:

- **სამეურვეო საბჭოს არჩევისა და გადაწყვეტილებების მიღების თაობაზე** სხდომების ოქმებში;
- **პედაგოგიური საბჭოს** ოქმებში;
- **საგნობრივი კათედრებისა და სამუშაო ჯგუფების** ოქმებში;
- **მოსწავლეთა თვითმმართველობისა და მრჩეველთა საბჭოს** ოქმებში;
- **დისციპლინური კომიტეტის** არჩევა-დაკომპლექტების ოქმებში.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სადამრიგებლო პროგრამები;
- ელექტრონული ფოსტა;

- სკოლის შინაგანაწესი;
- კოლეგიური სტრუქტურული ერთეულების ოქმები;
- სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლის ტერიტორია შემოღობილია და როგორც სკოლის შენობა, ასევე სკოლის შიდა ეზო დაცულია გარეშე პირების უნებართვო წვდომისგან. სკოლას ჰყავს 3 დარაჯი, რომლებიც ცვლიანობის განრიგის შესაბამისად, 24 საათის განმავლობაში იცავენ სკოლის შენობას. დარაჯები დღის განმავლობაში აკონტროლებენ გარეშე პირების სკოლის ტერიტორიაზე გადაადგილებას და აღრიცხვენ ვიზიტორებს.

სკოლას შინაგანაწესით გათვალისწინებული აქვს ვიზიტორთა დაშვების წესი და მშობლებთან შეხვედრის დღე. სკოლას ჰყავს მანდატურები და საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირები. შიდა და გარე პერიმეტრზე სკოლის შენობა აღჭურვილია სათვალთვალო კამერებით.

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს უსაფრთხოების პოლიტიკა, ასევე, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მარეგულირებელი შიდა დებულება. მოსწავლეთა და პერსონალის ქცევის წესები, დისციპლინური წარმოების პროცედურებთან ერთად, ასახულია სკოლის შინაგანაწესში. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს უსაფრთხოების საკითხებზე.

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც მოიცავს მოქმედებების დეტალურ სცენარებს ხანძრის, მიწისძვრისა თუ სხვა სტიქიური მოვლენების დროს. გეგმა ითვალისწინებს სპეციალური საგანგებო შტაბისა და შესაბამისი რეაგირების ჯგუფების მუშაობას და იგი ოფიციალურად არის შეთანხმებული შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან.

სკოლას გაგზავნილი აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში ოფიციალური მიმართვით, რომლითაც სკოლას მოთხოვნილი აქვს შენობის სახანძრო უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის შემოწმება და დასკვნის გაცემა. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროისთვის სკოლამ წარმოადგინა შემოწმების აქტი, რომელშიც დაფიქსირებულია გარკვეული ხარვეზი და სახანძრო სტანდარტების მოთხოვნებთან შეუსაბამობა. სკოლამ წარმოადგინა ხარვეზების აღმოფხვრისთვის განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი დოკუმენტაცია, გამოცემული ბრძანებები და სამინისტროსთან განხორციელებული კორესპონდენცია ხარვეზების სრულად აღმოფხვრაში დახმარების მოთხოვნით.

სკოლის შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოება დადასტურებულია სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით შენობის ტექნიკური მდგომარეობის შესახებ.

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრხოების სპეციალისტი, შრომის უსაფრთხოების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

**სკოლას მიეცა რჩევა,** უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების კვალიფიციური სპეციალისტის მომსახურების მიღება შრომის უსაფრთხოების სისტემის დანერგვის მიზნით.

**როგორც ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დადგინდა, სასწავლო მიზნებისთვის, სკოლის ეზოში მიმდინარეობს ახალი, მესამე კორპუსის მშენებლობა. ვინაიდან 2026-2027 სასწავლო წლიდან იგეგმება სასწავლო პროცესის სამივე შენობაში წარმართვა, სკოლამ 2026 წლის 24 ივნისს დამატებით მიმართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და ითხოვა სკოლის ინფრასტრუქტურის**

ნაწილში სამივე შენობის გათვალისწინება. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა, ახლად აშენებული შენობა განიხილა სკოლის ინფრასტრუქტურის ნაწილად და შეაფასა უსაფრთხოების ზომების არსებობის კუთხით.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს დაადგინა, რომ:

- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების დასკვნა მოიცავდა მხოლოდ ორ ძველ შენობას.
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შემუშავებული და შეთანხმებული იყო მხოლოდ სარგებლობაში არსებულ 2 ძველ შენობასთან მიმართებით.
- ახალ აშენებულ შენობაში არ იყო დამონტაჟებული ვიდეომონიტორინგის სისტემა ფიზიკური უსაფრთხოების კონტროლის მიზნით.
- სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენაზე მიმართვა და შემოწმება განხორციელებული იყო მხოლოდ სარგებლობაში არსებულ 2 ძველ შენობასთან მიმართებით.

*სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 07.2026-15.09.2026 პერიოდი და გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა.*

<u>ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად" დაკმაყოფილებულია.</u>

## 2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს „სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირებისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი". აღნიშნული დოკუმენტი დეტალურად აწესრიგებს კაბინეტის მიზნებს, ფუნქციებს, მედიკამენტების ნუსხას, აღრიცხვის ჟურნალების წარმოებასა და პირველადი დახმარების გაწევის პროცედურულ საკითხებს. სკოლაში მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარითა და მედიკამენტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანების შესაბამისად.

*სკოლის საშტატო განრიგი ითვალისწინებს 1 ექიმის საშტატო ერთეულს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის N41/ნ/01-23/ნ ბრძანების დანართით რეკომენდირებულია 2 ექიმის დასაქმება იმ სკოლაში, რომელშიც მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა არის 800 და მეტი. სკოლას ავტორიზაციის თაობაზე განაცხადში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განსაზღვრული აქვს 2400 მოსწავლით, ხოლო ფაქტობრივი რაოდენობა ვიზიტის დროს იყო 1790 მოსწავლე. შესაბამისად, <u>სკოლას მიეცა რჩევა,</u> უზრუნველყოს მეორე საშტატო ერთეულის საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან შეთანხმება და მეორე სამედიცინო პერსონალის დასაქმება, ან ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, ექთნით ჩანაცვლება.*

ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს დადგინდა, რომ სკოლაში ექიმის შტატზე დასაქმებული იყო პირი, რომელსაც არ ჰქონდა კანონმდებლობით გათვალისწინებული კვალიფიკაცია იმისთვის, რომ ემუშავა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ექიმის პოზიციაზე. შესაბამისად, სკოლა ვერ უზრუნველყოფდა პირველადი დახმარების აღმოჩენას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

***სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 07.2026-31.12.2026 პერიოდი და გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, სკოლაში კვალიფიციური ექიმის დასაქმება.***
***შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.***

<u>ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად" დაკმაყოფილებულია.</u>

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას

დაწესებულება ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით. სკოლის ტერიტორიაზე ან/და სასკოლო დროს საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით, მოქმედებს სკოლის შინაგანაწესი და რეგულაცია „ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება". გარდა ამისა, სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც პერიოდულად განიხილავს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის კუთხით გასატარებელ ღონისძიებებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს. სკოლას განსაზღვრული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვაზე უფლებამოსილი პირები, რომლებიც ეხმარებიან მანდატურებს წესრიგის დაცვაში. ასევე, განსაზღვრული ჰყავს უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე და პროცესის ზედამხედველობაზე უფლებამოსილი პირები. მოსწავლეთა, პერსონალისა და მშობლების ინფორმირებულობის მიზნით, სკოლის ფოიეში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია ცხელი ხაზის ნომრები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფისა და სისტემატიურად ზრუნავის საკითხები სკოლას ინტეგრირებული აქვს როგორც ძირითად ისე, დამხმარე პროცესებში. სკოლის დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში მუშაობენ ისეთ თემებზე, როგორიცაა ურთიერთპატივისცემის, ბულინგისა და ძალადობის პრევენციის, თანასწორობის და მხარდაჭერის საკითხები. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობენ ფსიქოლოგები. ინტერვიუს დროს მოსწავლეებმა და მშობლებმა დააფიქსირეს, რომ ხშირად იმართება ერთობლივი ღონისძიებები ქართული და რუსული სექტორის მოსწავლეებთან. სკოლაში არის მეგობრული და ემოციურად მშვიდი გარემო და აქვთ დაცულობის შეგრძნება.

სკოლას შემუშავებული აქვს ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების შიდა ინსტრუქცია. ინსტრუქცია განსაზღვრავს მოსწავლის მიმართ ძალადობის ნიშნების იდენტიფიცირების, რეაგირებისა და შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის მექანიზმებს. ძალადობის ნიშნებზე ეჭვის გაჩენის შემთხვევაში, სკოლის მიერ უზრუნველყოფილია მოსწავლესთან ინდივიდუალური გასაუბრება, დაცული კომუნიკაციისა და კონფიდენციალურობის პრინციპების გათვალისწინებით. რეფერირებაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის მანდატური.

ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს სასწავლო წლის განმავლობაში საგანმანათლებლო საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებების გატარებას ძალადობის, დისკრიმინაციის, კიბერბულინგის თემებზე. სკოლა ვალდებულია წელიწადში, სულ მცირე, ორჯერ ამ თემებზე ჩაატაროს დისკუსიები, ესეების ან ნახატების კონკურსი, მოაწყოს ფილმების ჩვენება, შექმნას ვიდეორგოლი და ა.შ.

**მოსწავლეების საპირფარეშოების დათვალიერებით დადგინდა, რომ რამდენიმე განყოფილებაზე მოხსნილი იყო კარები. ასევე, რამდენიმე საპირფარეშოს განყოფილებაზე კარები დამონტაჟებული იყო ისეთ სიმაღლეზე, რომ იძლეოდა კაბინაში მყოფი პირის დანახვის საშუალებას და ვერ უზრუნველყოფდა მოსწავლის პრივატულობას. ახლად აშენებული მესამე შენობის საპირფარეშოების დათვალიერებისას დადგინდა, რომ დამონტაჟებული პისუარები არ იყო გამოყოფილი ერთმანეთისგან პანელებით/ტიხრებით. შესაბამისად, სკოლის საპირფარეშოებში არ იყო უზრუნველყოფილი ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს არსებობა.**

***სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 07.2026-15.09.2026 პერიოდი და გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, საპირფარეშოებში პრივატულობის დაცვის მიზნით შესაბამისი სამუშაოების განხორციელება.***

*შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.*

ინდიკატორის მოთხოვნა ,,მეტწილად'' დაკმაყოფილებულია.

### 5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას

სკოლა აღჭურვილია სანიტარულ-ჰიგიენური დაცვის საშუალებებით დეზინფექციისა და ყოველდღიური დასუფთავებისთვის და ჰყავს სანიტარული ნორმების დაცვისთვის საჭირო ადამიანური რესურსი. კერძოდ, სკოლაში დასაქმებულია 6 დამლაგებელი. მოწესრიგებულია სველი წერტილები, საპირფარეშოები მომარაგებულია ხელის თხევადი საპნითა და ქაღალდით. სკოლის მიერ დამტკიცებული დოკუმენტი ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება'' არეგულირებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი დასუფთავების წესები.
სკოლა მარაგდება ცენტრალური წყალმომარაგების სისტემით და აქვს ტექნიკური წყლის მარაგი. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხარჯები სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვისთვის საჭირო რესურსების შესაძენად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

### 6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას

სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვისშიდა წესი, რომელიც არეგულირებს მონაცემთა დამუშავების მიზნებს, საფუძვლებს და მონაცემთა დაცვის ძირითად პრინციპებს. აღწერილია მონაცემთა სუბიექტის უფლებები. აღნიშნული დოკუმენტის მოქმედება ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა პირზე, მოსწავლეებსა და სხვა ნებისმიერ პერსონალური მონაცემების მიმღებზე. სკოლა ახორციელებს ფოტო და ვიდეო მასალის დამუშავებას სუბიექტის თანხმობით. შენობაში გამოკრულია საინფორმაციო ნიშნები ვიდეომონიტორინგის განხორციელების თაობაზე. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი, რომლის შესახებ ინფორმაციაც ასახულია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესაბამის გვერდზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის მიერ დამტკიცებული ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი“ უზრუნველყოფს სკოლისთვის მინდობილი ინფორმაციის და მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლის მიერ გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა არის ლიცენზირებული, კომპიუტერებზე ჩაწერილია ანტივირუსული პროგრამები. განსაზღვრულია თითოეული სახის მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები. სკოლის ელექტრონულ პროგრამებში შესვლა ხორციელდება ავტორირებული მომხმარებლების განპიროვნებული პაროლებით.
**სკოლას მიეცა რჩევა,** დოკუმენტში ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება’’ დააზუსტოს თუ ვინ ახდენს ინფორმაციისა და ფაილების სარეზერვო კოპირებას, ვინაიდან დოკუმენტში მოხსენიებული ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი არ არის გათვალისწინებული სკოლის საშტატო განრიგითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლას ჩატარებული აქვს გამოკითხვა სასკოლო საზოგადოებაში უსაფრთხო გარემოსთან დაკავშირებით. გამოკითხვაში მონაწილეობას იღებდნენ მშობლები, მოსწავლეები და თანამშრომლები. გამოკითხვის შედეგების მიხედვით იკვეთება დადებითი ტენდენცია უსაფრთხო გარემოს შეფასების თვალსაზრისით. სასწავლო წლის ბოლოს მრჩეველთა საბჭოს სხდომაზე განიხილება სასკოლო გარემოს უსაფრთხოების საკითხები და გაიცემა რეკომენდაციები.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა და შეთანხმების წერილი;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შემოწმების აქტი;

- ბათუმის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ბრძანება პერსონალური მონაცემთა დაცვის ოფიცრის განსაზღვრის შესახებ;
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა;
- დარაჯის შრომითი ხელშეკრულება;
- დამლაგებლის ხელშეკრულება;
- სამედიცინო მომსახურების კაბინეტის ფუნქციონირებისა და პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის წესი;
- ექიმის ხელშეკრულება და პირადი საქმე;
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები;
- სადამრიგებლო პროგრამა;
- პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;
- ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების შიდა ინსტრუქცია;
- დოკუმენტი ,,ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება'';
- სასკოლო საზოგადოების უსაფრთხოების კვლევის კითხვარები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

### 3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლას სარგებლობის უფლებით სახელმწიფოსგან გადაცემული აქვს 4474.00 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული შენობა-ნაგებობები, საერთო ფართით 3363.40 კვმ. შიდა აზომვით ნახაზებში N01 და N03 ორსართულიანი შენობები არის ერთმანეთისგან დამოუკიდებლად აშენებული შენობები, რომლებიც მეორე სართულზე დაკავშირებულია სკოლის მიერ მოგვიანებით აშენებული გადასასვლელი ხიდით. შიდა აზომვით ნახაზზე მონიშნული N02 შენობა კი არის N01 შენობის ფლიგელი, რომელიც არის სამ სართულიანი. აზომვით ნახაზზე ნაჩვენებია N04 შენობა, რომელიც არის დამოუკიდებლად მდგომი საქვაბის შენობა-ნაგებობა.
N01 შენობის პირველ სართულზე განლაგებულია: საკლასო ოთახები, რესურსოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ოთახი, სადაც განთავსებულია ლაბორატორიული მუშაობისთვის განკუთვნილი რესურსები, მანდატურების ოთახი, დამლაგებლების ოთახი, სამეურნეო დანიშნულების სივრცე და სველი წერტილები. მეორე სართულზე განთავსებულია, საკლასო ოთახები, სამასწავლებლო, კანცელარია, დირექციის და ადმინისტრაციის სამუშაო სივრცე და სველი წერტილები. ამავე შენობის გაგრძელებაზე არსებულ N02 ფლიგელის პირველს სართულზე განთავსებულია: საკლასო ოთახები, კომპიუტერული ლაბორატორია და სასაწყობე სივრცე. მეორე სართულზე: საკლასო ოთახები, ორი რესურსოთახი და არქივის სივრცე, ხოლო მესამე სართულზე - დახურული სპორტული დარბაზი და გასახდელები გოგონებისა და ბიჭებისთვის.
N03 შენობაში პირველ სართულზე განთავსებულია: საკლასო ოთახები, სააქტო დარბაზი სათავსებით/გასახდელებით, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა, კვების ობიექტი დამოუკიდებელი შესასვლელით, სასაწყობე სივრცე. მეორე სართულზე კი განთავსებულია საკლასო ოთახები და სასაწყობე ფართი.
ექსპლუატაციაში მყოფ სკოლის შენობებში სულ განთავსებულია 33 საკლასო ოთახი და 3 რესურს ოთახი.
სკოლის შენობაში დამონტაჟებულია ცენტრალური გათბობის სისტემა, ხორციელდება ელექტრო მომარაგება, უზრუნველყოფილია უსადენო ინტერნეტით. სკოლა აღჭურვილია ინდივიდუალური მერხებით (1169 ერთეული), სკამებით, დაფებით, სპორტული ინვენტარით, ეკრანებით, პროექტორებით, პრინტერებით, სპორტული და სხვა სასწავლო, ასევე, საბიბლიოთეკო რესურსებით. სკოლას მიმართული აქვს აჭარის ა.რ. განათლებისა და სპორტის სამინისტროსთვის დამატებით 420 ერთეული მერხის მოთხოვნით. სასწავლო პროცესის ორ ცვლაში განხორციელების შემთხვევაში, სკოლის მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას.

სკოლის შენობებისა და ფართის ვიზუალური დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლის ეზოში დამატებით შენდება სამ სართულიანი კორპუსი, რომელშიც განთავსებულია 11 საკლასო ოთახი, ყველა სართულზე განთავსებულია სველი წერტილები. ვინაიდან 2026-2027 სასწავლო წელს იგეგმება აღნიშნული შენობის სასწავლო პროცესისთვის გამოყენება, სკოლამ 2026 წლის 24 ივნისს დამატებით მიმართა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს და ითხოვა სკოლის ინფრასტრუქტურის ნაწილში მისი გათვალისწინებაც. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული შენობა განიხილა სკოლის ინფრასტრუქტურის ნაწილად და შეაფასა ავტორიზაციის სტანდარტებთან ინფრასტრუქტურული რესურსის შესაბამისობის კუთხით.
აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგინდა შემდეგი:

- შენობა ოფიციალურად გადაცემული არ იყო სკოლისთვის სარგებლობაში და არ იყო შესული ექსპლუატაციაში.
- ახალი შენობა არ იყო დარეგისტრირებული საჯარო რეესტრში და არ ფიქსირდებოდა სკოლის ბალანსზე.
- მოცემულ ეტაპზე, ექსპლუატაციაში მყოფ შენობებში სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა შესაძლებელია არაუმეტეს 1914 მოსწავლისთვის.

აქედან გამომდინარე, მხოლოდ სკოლის სარგებლობაში და ექსპლუატაციაში მყოფი შენობები ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის არსებობას მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით - 2400 მოსწავლეზე.
მხოლოდ ახლად აშენებული შენობის სარგებლობაში მიღებისა და ექსპლუატაციაში შესვლის და ორ ცვლაში სასწავლო პროცესის განხორციელების შემთხვევაში შეძლებს სკოლა სასწავლო პროცესი წარმართოს 2400 მოსწავლისთვის.

*სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 07.2026-15.09.2026 პერიოდი და გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, ახალი შენობის საჯარო რეესტრსი დარეგისტრირება და შესაბამისი ამონაწერის მომზადება.*
*შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.*

ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად" დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც ფორმალურად აწესებს სკოლის ინფრასტრუქტურის, მატერიალური რესურსისა და საერთო სარგებლობის სივრცეების თანაბარ ხელმისაწვდომობას სასკოლო

საზოგადოებისთვის. თუმცა, **სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერებისას დადგინდა, რომ სკოლა არ არის ადაპტირებული შშმ პირებზე. სკოლის შენობაში არსებული საერთო სარგებლობის და სასწავლო დანიშნულების სივრცეები და რესურსები (ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი, სამედიცინო კაბინეტი, საკლასო ოთახები) გადანაწილებულია სხვადასხვა სართულებზე და სხვადასხვა შენობებში. შენობაში შესვლა და სართულებზე გადადგილება არ არის უზრუნველყოფილი ეტლით მოსარგებლე შშმ ან გადაადგილების პრობლემის მქონდე პირებისთვის. შესაბამისად, არ არის უზრუნველყოფილი მათი ხელმისაწვდომობა.**

*სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 07.2026-06.2028 პერიოდი და გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, სრული შენობის ადაპტირება.*
*შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.*

<u>ინდიკატორის მოთხოვნა „ნაწილობრივ“ დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის შიდა წესი, რომელიც აწესრიგებს წიგნადი ფონდის გაცემის, გამოყენებისა და მკითხველთა მომსახურების პროცედურებს. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ სკოლაში სათანადოდ არის აღრიცხული და სისტემატიზებული საბიბლიოთეკო რესურსები. სკოლის საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს 7 000-ზე მეტ ერთეულ საკითხავ ლიტერატურას, მათ შორის, მიმდინარე წელს განახლდა საბიბლიოთეკო ფონდი აჭარის ა.რ. განათლებისა და სპორტის სამინსიტროს პროექტის „სასკოლო ბიბლიოთეკების მხარდაჭერა“ - ფარგლებში მოპოვებული დაფინანსებით შეძენილი 140 ერთეული მხატვრული ლიტერატურით. ასევე, სახელმძღვანლოების ეგზემპლარებს. საბიბლიოთეკო სერვისების გამართულ მიწოდებაზე ზრუნავს კვალიფიციური ბიბლიოთეკარი, რომელიც ეხმარება მოზარდებს საკითხავი ლიტერატურის შერჩევაში. ბიბლიოთეკარი აწარმოებს წიგნების გატანისა და დაბრუნების აღრიცხვას. მოსწავლეებმა ინტერვიუს დროს დააფიქსირეს, რომ აქტიურად სარგებლობენ სკოლის ბიბლიოთეკით.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

## 4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

სკოლის ინფრასტრუქტურის დათვალიერებისა და გარემოს შეფასებისას დადგინდა, რომ არსებული სასკოლო ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს სწავლის ინკლუზიურ გარემოს და მასში არ არის შექმნილი სათანადო პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გადაადგილების პრობლემის მქონე პირების შეუფერხებელი, დამოუკიდებელი გადაადგილებისთვის. აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს სკოლაში ირიცხებოდა 2 ეტლით მოსარგებლე მოსწავლე.

სკოლის N01 შენობის მთავარ შესასვლელში მოწყობილი 2 პანდუსი, სხვადასხვა შესასვლელიდან, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს პანდუსისთვის ტექნიკური რეგლამენტით დადგენილ მოთხოვნებს. კერძოდ, მთავარ შესასვლელთან მოწყობილი ერთი პანდუსი არ არის ეტლის გადაადგილებისთვის სათანადო სიგანის, ხოლო მეორე პანდუსს არ გააჩნია დამცავი მოაჯირები და შესასვლელთან არის ზღურბლი, რომელზეც ეტლით მოსარგებლე პირი ვერ გადადაგილდება. N03 შენობას, სადაც არის კვების ობიექტი, სააქტო დარბაზი, სამედიცინო კაბინეტი, ბიბლიოთეკა და საკლასო ოთახები, საერთოდ არ გააჩნიათ პანდუსი. შენობაში არ არის ადაპტირებული სველი წერტილები.

სართულებს შორის გადაადგილებისთვის არ არის გათვალისწინებული არც ლიფტი და არც შიდა პანდუსები, რის გამოც სართულებზე განთავსებული საგანმანათლებლო სივრცეები სრულად იზოლირებულია შშმ პირთათვის.

ლიფტი და ადაპტირებული სველი წერტილები მოწყობილია მხოლოდ ეზოში მშენებარე ახალ შენობაში.

**სკოლას თვითშეფასების ფორმასთან ერთად წარმოდგენილი ჰქონდა შესაბამისობის გეგმა, რომელშიც 3.5.1.4 ინდიკატორთან მიმართებით გაწერილი იყო ხარვეზი აღმოფხვრისთვის საჭირო აქტივობა, კერძოდ, ლიფტის მოწყობა. სკოლას, საწყის ეტაპზე, ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრული ჰქონდა 20.01.2026-20.01.2027 წლების პერიოდი. ასევე, წარმოდგენილი იყო აჭარის ა.რ განათლებისა და სპორტის სამინისტროსთვის მიწერილი წერილი პანდუსის/ლიფტის მოწყობაში დახმარებასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის ეტაპზე დადგინდა, რომ სკოლას შესაბამისობის გეგმით იდენტიფიცირებული ჰქონდა შიდა პანდუსის ან ლიფტის არ არსებობა და აჭარის ა.რ განათლებისა და სპორტის სამინისტროსთვის მოთხოვნილი ჰქონდა ლიფტის დამონტაჟება მხოლოდ მესამე სართულზე არსებული სპორტული დარბაზის ხელმისაწვდომობის მიზნით. სკოლის შენობა კი საჭიროებს ადაპტირებას როგორც სკოლის ყველა შენობაში წვდომის, ასევე სართულებზე გადაადგილებისა და სველი წერტილების მოწყობის კუთხით. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა არ გაიზიარა სკოლის მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმაში აღწერილი ხარვეზის აღმოფხვრის ღონისძიებები და დასკვნის პროექტში ინდიკატორთან შესაბამისობა შეაფასა უარყოფითად.**

*სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და განახლებული შესაბამისობის გეგმა 3.5.1.4 ინდიკატორთან მიმართებით. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 07.2026-06.2028 პერიოდი და გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, სკოლის ბალანსზე არსებული 2 ძველი შენობის სრული ადაპტირება.*
*შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „ნაწილობრივ შეესაბამება". სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზის აღმოფხვრა.*

<u>ინდიკატორის მოთხოვნა „ნაწილობრივ'' დაკმაყოფილებულია.</u>

5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას

სკოლაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური და ინფრასტრუქტურული რესურსების შესწავლით დგინდება, რომ სკოლის სივრცეები ეფექტურად გამოიყენება სხვადასხვა საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და სოციო-კულტურული აქტივობების წარმართვისთვის.

სკოლას გააჩნია მცირე ფართის ეზო, სადაც განთავსებულია მაგიდები და სკამები. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ინვენტარი შეძენილ იქნა უშუალოდ სკოლის მოსწავლეების მიერ მომზადებული და მოგებული სასკოლო პროექტის ფარგლებში. აღნიშნული სივრცე მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, სასწავლო პროცესის მიღმა მოაწყონ შეკრება, იმუშაონ ჯგუფურ პროექტებზე და ეფექტურად გამოიყენონ თავისუფალი დრო. სკოლის სააქტო დარბაზი აქტიურად გამოიყენება სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო ღონისძიებების, კონფერენციების, პრეზენტაციებისა და თემატური შეხვედრების ორგანიზებისთვის.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შენობის სართულების ნახაზები;
- საჯარო რეესტრის ამონაწერი;
- სკოლის ინფრასტრუქტურა;
- საინვენტარო აღწერილობის აქტები;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკარის ხელშეკრულება;

- სკოლის წერილი მერხების დამატებით მოთხოვნაზე;
- სკოლის წერილი მშენებარე შენობის საავტორიზაციო განხილვის თაობაზე;
- სკოლის წერილი პანდუსის/ლიფტის მოწყობაზე;
- შესაბამისობის გეგმა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლას აქვს საჭირო ტექნოლოგიური მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც გამოიყენება როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციული პროცესების მხარდასაჭერად. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელშიც აღწერილია ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურით სარგებლობის პირობები. სკოლას საშტატო განრიგით გათვალისწინებული ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული ტექნიკის გამართულ მუშაობაში დახმარებას და კონსულტირებას.

სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. დაწესებულების ბალანსზე ერიცხება 146 ერთეული ლეპტოპი (მათ შორის 29 ერთეული გადაცემულია პირველი კლასის მასწავლებლებისთვის), 10 პერსონალური კომპიუტერი და 2 ჭკვიანი დაფა (Smart Board). აღნიშნული რესურსით შეუფერხებლად სარგებლობენ როგორც პედაგოგები, ისე ადმინისტრაციის წევრები.

სკოლა უზრუნველყოფილია 10 პრინტერით, 10 პროექტორის ეკრანითა და 25 პროექტორით. აღსანიშნავია, რომ პროექტორებიდან 10 ერთეული დამონტაჟებულია უშუალოდ საკლასო ოთახებში.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლას დამტკიცებული აქვს „მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი“ (დებულება), რომელიც აწესრიგებს სასწავლო პროცესში აუცილებელი ტექნოლოგიური და ელექტრონული რესურსებით (ლეპტოპები, პერსონალური კომპიუტერები, ჭკვიანი დაფები, პროექტორები) სარგებლობის პირობებს. სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები ფაქტობრივად სარგებლობენ საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით და იყენებენ საგაკვეთილო პროცესსა და სხვადასხვა აქტივობებში.
სკოლა უზრუნველყოფს საინფორმაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი
- საინვენტარო აღწერილობის აქტები;
- სკოლის საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა.

### 3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას დამტკიცებული აქვსსაქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი აწესრიგებს დოკუმენტების შექმნის, მიღების (რეგისტრაციის), დამუშავების, მოძრაობის, შესრულების კონტროლის, გაგზავნისა და არქივში შენახვა/განადგურების პროცედურებს. სკოლაში იწარმოება შესაბამისი მატერიალური სარეგისტრაციო ჟურნალები. საქმისწარმოების წესის მიხედვით, ცალ-ცალკე ხდება საკადრო ბრძანებების (თანამშრომელთა შვებულება, მივლინება, გათავისუფლება, წახალისება/დისციპლინური წარმოება), შრომითი ხელშეკრულებების და კორესპონდენციის რეგისტრაცია და სათანადო საქაღალდეების (საქმეთა ნომენკლატურის) ფორმირება.

სკოლაში დასაქმებულია საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს საქმისწარმოების პროცესების მართვას, შემოსული, გასული და შიდა დოკუმენტაციის დროულ დამუშავებასა და სისტემატიზაციას. საქმისმწარმოებელი პასუხისმგებელია სკოლის არქივის დაცვაზე, თანამშრომელთა პირადი საქმეების მოწესრიგებაზე. აკონტროლებს მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოებას, აწარმოებს სკოლის ბრძანებების რეგისტრაციას.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

საქმისწარმოება ხორციელდება დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემის eflow-ს მეშვეობით. ასევე, მოქმედებს eschool-ის ელექტრონული სისტემა, სადაც ხდება სკოლის მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა შესახებ მონაცემების შეყვანა, მოსწავლეთა ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერების და მობილობის პროცესის განხორციელება და ა. შ. ამასთანავე, სკოლას აქვს სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ინფორმაციის გაცვლა, სხვადასხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიღება. სკოლას აქვს ვებ გვერდი და შესყიდვების გვვერდი, სადაც ახორციელებს შესყიდვის დოკუმენტების რეგისტრაციას. შესყიდვების სააგენტოსთან სკოლა კომუნიკაციისთვის იყენებს სპეციალურ ელექტრონულ ფოსტას.
სკოლის დოკუმენტაციის აღრიცხვა ხდება, შერეულად მატერიალური და ელექტრონული ფორმატით.
<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის მონაცემების გადამოწმებისას დადასტურდა, რომ სკოლის პროფილი შევსებულია სრულყოფილად. Eschool.emis.ge-ს მონაცემთა ბაზაში შეტანილი სკოლის საიდენტიფიკაციო მახასიათებლები, სახელმძღვანელოების შესახებ ინფორმაცია, სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია, ასევე, სკოლის პერსონალის, მოსწავლეებისა და მშობლების შესახებ ინფორმაცია, მათი საკონტაქტო მონაცემები. მასწავლებლების საათობრივი დატვირთვა და ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

დაწესებულება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში, დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და საჭირო ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ თუ სხვა უფლებამოსილ სახელმწიფო უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლა თანამშრომლობს შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრთან და დროულად აწვდის ნებისმიერ მოთხოვნილ ინფორმაციას. ასევე, ინკლუზიური განათლების მიმდინარეობისა და განხორციელების თაობაზე, სკოლა მონიტორინგის ანგარიშებს პერიოდულად წარუდგენს სამინისტროს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად, სკოლა ყოველი წლის 10 დეკემბრისთვის უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ ანგარიშის წარდგენას საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, პრემიერ-მინისტრისა და პრეზიდენტის ადმინისტრაციებში და აქვეყნებს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში".

10 დეკემბრამდე პერიოდში სკოლის დირექტორი გაწეული საქმიანობისა და ბიუჯეტის შესრულების შესახებ ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. ასევე, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ერთიან ელექტრონულ სისტემაში კანონმდებლობით დადგენილ ვადაში (20 ნოემბრამდე) არეგისტრირებს მომავალი წლის შესყიდვების გეგმას და რეგულარულად წარადგენს ანგარიშებს გაფორმებული ხელშეკრულებების შესრულების მიმდინარეობაზე. საგანმანათლებლო წესურსცენტრში წარადგენს ყოველწლიურ ბალანსს.

იჯარის ფორმით სკოლის ფართის დროებით სარგებლობაში გაცემასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლა იცავს დადგენილ პროცედურებს და ანგარიშვალდებულების ფარგლებში ინფორმაციას დროულად აწვდის შესაბამის სახელმწიფო უწყებებს (აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, განათლებისა და სპორტის სამინისტრო).

<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საქმისწარმოების მეთოდოლოგიური დოკუმენტი;
- საქმისმწარმოებლის ხელშეკრულება
- 10 დეკემბრის ანგარიშები საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ;
- ფინანსური და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ანგარიშები, წარდგენილი სამეურვეო საბჭოს სხდომაზე;
- ფართის სარგებლობაში გაცემის თაობაზე ინფორმირების წერილები;
- რესურსცენტრთან განხორციელებული კორესპონდენცია;
- ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ანგარიში.

### 3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, რომელიც განსაზღვრავს კომუნიკაციის ფორმებს, საზოგადოებასთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელ პირს, სკოლის სოციალური და ვებ-გვერდზების მართვის წესს. სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციას ახორციელებს:

- ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით;
- ოფიციალური სოციალური ქსელების საშუალებით;
- ელექტრონული ფოსტით;
- წერილობითი კორესპონდენციით;
- სატელეფონო კომუნიკაციით;
- მშობელთა კრებების, შეხვედრებისა და კონსულტაციების გზით;
- საინფორმაციო შეხვედრების, კონფერენციების, პრეზენტაციების, სემინარებისა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებით.

სკოლას აქვს ოფიციალური ვებგვერდი/პორტალი შემდეგ მისამართზე: skolebi.emis.ge. ვებგვერდზე განთავსებულია სკოლის შესახებ ინფორმაცია, რის საფუძველზეც პლატფორმა ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას. გარდა ამისა, სკოლა

საზოგადოებასთან კომუნიკაციის მიზნით აქტიურად იყენებს ფეისბუქ გვერდს. მშობლებთან კომუნიკაციისთვის სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალსაც.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლა ინფორმაციის გასავრცელებლად იყენებს ოფიციალურ საკომუნიკაციო არხებს, როგორიცაა სკოლის ვებგვერდი/პორტალი და ფეისბუქ გვერდი.

საზოგადოებასთან კომუნიკაციაზე პასუხიმგებელი პირია დირექტორის მეორე მოადგილე, რომელთანაც თანხმდება სკოლის სახელით სკოლის თანამშრომლების და საკომუნიკაციო არხების მეშვეობით გასავრცელებელი ინფორმაციის შინაარსი.

სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი განსაზღვრავს, რომ სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებისგან განცხადებების, წინადადებებისა და რეკომენდაციების მიღებას. უკუკავშირი შესაძლებელია:

- ოფიციალური ელექტრონული ფოსტით;
- ვებგვერდის საშუალებით;
- წერილობით;
- პირადი მიღების დროს;
- სოციალური ქსელების ოფიციალური გვერდების მეშვეობით.

მიღებული ინფორმაცია განიხილება კომპეტენციის ფარგლებში და შესაბამისი რეაგირება ხორციელდება კანონმდებლობისა და სკოლის შიდა აქტების შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ და რუსულ ენებზე. სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი/პორტალი, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია როგორც ქართულ, ასევე, რუსულ ენაზე.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლის ვებ-გვერდი/პორტალის გადამოწმებით დადგინდა, რომ მასზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, სტრატეგიული განვითარების და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიში, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, რომლებზეც ახორციელებს საქმიანობას, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა ინიციატივის მხარდაჭერის მექანიზმები, მოსწავლის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის მექანიზმები გასაჩივრების შიდა წესის სახით და სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ვებ-გვერდი/პორტალი;
- სკოლის სოციალური ქსელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**
**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლა ფინანსდება სახელმწიფო ვაუჩერის ფარგლებში. გარდა ამისა, სკოლას ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, საიდან მიღებული შემოსავლებიც, ასევე აისახება სკოლის ბიუჯეტში. სკოლა ყოველწლიურად ამტკიცებს ბიუჯეტს, რომელშიც დეტალურად არის განსაზღვრული შემოსავლები და ხარჯები. სკოლას ერიცხება სქემით განსაზღვრული სტატუსის მქონე მასწავლებელთა დანამატები და სხვადასხვა მიზნობრივი პროგრამული დაფინანსება, მაგალითად როგორიცაა ექიმის კაბინეტის ფუნქციონირებისთვის საჭირო დაფინანსება. ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ძირითადად იხარჯება შრომის ანაზღაურებაზე, კომუნალურ და საოფისე ხარჯეზე. დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, სკოლას შემუშავებული აქვს შესყიდვების გეგმა. ამასთანავე, სკოლაში შემუშავებულია შესყიდვების განხორციელების შიდა წესი და განსაზღვრულია შესყიდვების გეგმის კორექტირებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს ცვლილებების შეტანასა და გეგმის განახლებას. ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვა სკოლას აძლევს შესაძლებლობას, უზრუნველყოს სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვა და სამოქმედო გეგმის მნიშვნელოვანი ასპექტების განხორციელება.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

**2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლა ყოველი წლის დეკემბერში ამტკიცებს მომდევნო წლის ბიუჯეტს. შესყიდვების განხორციელების წესის შესაბამისად კი ადგენს შესყიდვების წლიურ გეგმას და არეგისტრირებს შესყიდვების სააგენტოს გვერდზე არაუგვანეს ყოველი წლის 20 ნოემბრისა. ფინანსური რესურსების მონიტორინგის სისტემა მოიცავს ანგარიშვალდებულებას სამეურვეო საბჭოს წინაშე ყოველი წლის 10 დეკემბრამდე, ასევე შესყიდვების სააგენტოსთან და შემოსავლების სამსახურთან. საჭიროების შემთხვევაში წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ ხორციელდება ბიუჯეტის და შესყიდვების გეგმის დაზუსტება და დაკორექტირება მათი დამტკიცების წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე;
- სკოლის ბიუჯეტი;
- შესყიდვების წლიური გეგმა;
- ფინანსური ანგარიშები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

#### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სკოლის შიდა რეგულაციები უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და შესაბამისი გარანტიების რეალიზებას. კერძოდ:

- სკოლის შინაგანაწესი, რომელიც ასახავს სკოლაში ქცევის ზოგად წესებს და პასუხისმგებლობებს;
- დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს უსაფრთხოებას როგორც ადამიანებისთვის, ისე სასკოლო პროცესებისთვის;
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესები, რომლებიც მხარს უჭერს მათ ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში;
- ძალადობის პრევენციის ინსტრუქციები, რომლებიც იცავს ბავშვებს შესაძლო საფრთხისგან;
- წესები, რომლებიც განსაზღვრავს მოსწავლის ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეცვლისა და საფეხურის დაძლევის პროცედურებს;
- პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა პირადი ინფორმაციის უსაფრთხოებას.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისად, სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინფორმირებას მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების, დარღვეული უფლებების აღდგენისა და დაცვის მექანიზმების შესახებ. აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს მოსწავლეთა უფლებების დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

სადამრიგებლო პროგრამების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს, დამრიგებლის მუშაობის პრინციპებს, ქცევის კოდექსს, უსაფრთხოების წესებსა და სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სკოლის დოკუმენტაციის ნაწილი განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე/პორტალზე.

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისთვის საჭირო სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისთვის.
სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია მიმდინარე სასკოლო ღონისძიებებისა და აქტივობების შესახებ, რაც მშობლებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს აძლევს შესაძლებლობას მუდმივად იყვნენ ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლასა და მოსწავლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შორის გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს მხარეთა უფლებებსა და მოვალეობებს. ხელშეკრულება იდება ორ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გადაეცემა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეორე ინახება სკოლაში. ხელშეკრულებაში დეტალურად არის გაწერილი მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები, სკოლის მოთხოვნები, ვალდებულებები, ასევე უსაფრთხოებისა და კონფიდენციალურობის დაცვის პირობები.
სკოლის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
სკოლას, ასევე, გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები სახელმძღვანელოების გადაცემის თაობაზე.
**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესით;
- სკოლის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაცია;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას დამტკიცებული აქვს შიდა დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების პროცედურებს. ეს რეგულაცია დეტალურად აღწერს პირველ კლასში რეგისტრაციისა და ჩარიცხვის წესს, მობილობის პროცესს, უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე ჩარიცხვის პირობებს, ასევე ჩარიცხვისთვის საჭირო დოკუმენტაციის წარდგენის მოთხოვნებს. დოკუმენტში, ასევე, გაწერილია მოსწავლის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესები. რაც შეეხება მოსწავლის კლასის და საფეხურის დაძლევის საკითხს, აღნიშნული ასევე დარეგულირებულია სასკოლო სასწავლო გეგმით.

სკოლის შიდა რეგულაციები სრულად შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

მოსწავლეთა ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის, ასევე კლასის/საფეხურის დაძლევის შესახებ სკოლის მიერ გამოცემული ბრძანებების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლა აღნიშნულ პროცესებს ახორციელებს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

გარდა ამისა, შერჩევითი პრინციპით შემოწმდა მოსწავლეთა პირადი საქმეები და დადგინდა, რომ სკოლის მიერ დაცულია ჩარიცხვის, მობილობის, საფეხურის დაძლევის და სტატუსის შეჩერების წესები.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურეობების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციის საჯაროობას სკოლა უზრუნველყოფს საინფორმაციო დაფის, ვებ-გვერდის/პორტალის და სოციალური ქსელის საშუალებით. სკოლის ადმინისტრაცია, კლასის დამრიგებლები ინფორმაციას აწვდიან მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს სერვისების და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ.

აღნიშნული დასტურდება სადამრიგებლო პროგრამებით, სკოლის ვებ გვერდსა და სოციალურ ქსელში განთავსებული ინფორმაციით და დოკუმენტაციით.

**<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის მიერ დაგეგმილი აქტივობა და/ან დამატებით შეთავაზებული სერვისი თანაბრადაა ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის. ინფორმაცია არის გამჭვირვალე და არადასკრიმინაციული. დირექციის განმარტებით, ინფორმაცია რომელიც ვრცელდება სკოლის სახელით ან სკოლის პერსონალის მხრიდან, შეთანხმებულია სკოლის დირექციასთან.

**<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და აღდგენის შიდა წესი;
- მოსწავლეთა პირადი საქმეები;
- ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების, აღდგენის, კლასისა და საფეხურის დაძლევის ბრძანებები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სკოლის სოციალური ქსელი და ვებ-გვერდი.

შეფასება:

- ○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- ○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ადაპტაციის წესი. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს მიზნებსა და ამოცანებს, ადაპტაციის ფორმებს, პროცესში ჩართულ პასუხისმგებელ პირებს, ადაპტაციის მონიტორინგს და ითვალისწინებს, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური მხარდაჭერის ღონისძიებების განსაზღვრას. სკოლას შემუშავებული აქვს ადაპტციის საინფორმაციო კითხვარიც. ვინაიდან მოსწავლის ადაპტაციის შიდა წესი წარმოადგენს ზოგად ჩარჩო დოკუმენტს, **სკოლას მიეცა რჩევა,** მეტად დეტალურად ასახოს ადაპტაციის პრობლემის იდენტიფიცირების გზები და გასატარებელი ღონისძიებები.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სადამრიგებლო პროგრამებით და სკოლის დირექციასთან გასაუბრეით დგინდება, რომ დამრიგებლები ზრუნავენ მოსწავლეთა ადაპტაციის პროცესზე მათი მიღების დროიდან. დამრიგებელი ეცნობა და აცნობს თანაკლასელებს ახალ მოსწავლეს, ათვალიერებინებს სკოლის ინფრასტრუქტურას და უხსნის როგორ გამოიყენოს სკოლის რესურსები. პირველკლასელის შემთხვევაში, ეწყობა საზეიმო დახვედრა, დამრიგებელი ინდივიდუალურად ხვდება მშობელს, მისგან იღებს ინფორმაციას მოსწავლის შესახებ საჭირო დახმარების დროულად გაწევის მიზნით. მშობლებთან გასაუბრების დროს, სსსმ მოსწავლის მშობელმა ისაუბრა თავისი შვილის წარმატებული ადაპტაციის გამოცდილებაზე. ასევე, აღინიშნა ის ღონისძიებები, რომლებიც რუსულენოვანი და ქართულენოვანი მოსწავლეების თანამონაწილეობით ტარდება და ემსახურება მოსწავლეების ერთმანეთთან და სასკოლო გარემოსთან შეგუების პროცესს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

დირექციასთან და მშობლებთან გამართული გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა მუდმივად გამოხატავს მზადყოფნას, მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებული ადმინისტრაციული მხარდაჭერის გასაწევად, როგორც აკადემიური, ისე საორგანიზაციო კუთხით. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის კონსულტაციებს ექსტერნატის ფორმატით სწავლის ან საშემოდგომო გამოცდების წინ. საჭიროებისამებრ, მოსწავლეთა საგანმანათლებლო ან პროექტული ღონისძიებებისთვის სკოლა გამოყოფს შესაბამის სასკოლო სივრცეებს. სკოლას შემუშავებული აქვს რემედიაციის პროგრამაც, აკადემიური პრობლემების დასაძლევად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლის ადმინისტრაცია კანონმდებლობით დადგენილ ვადებში რეაგირებს სასკოლო საზოგადოების მოთხოვნებზე. სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბი და წრე. სკოლის დოკუმენტაციის გადამოწმებით დადგინდა, რომ დადგენილ ვადებში ხორციელდება გამოცდების ჩატარება, მოსწავლეთა კონსულტირება, განცხადებაზე რეაგირება და მოსწავლეთა უფლებების რეალიზება. სკოლა დროულად მიმართავს ზომებს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებასთან დაკავშირებით მშობლის მოთხოვნის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა აქტიურ საქმიანობას ახორციელებს არაფორმალური განათლების კუთხით. ყოველწლიურად აღნიშნავს სხვადასხვა თემატიკისადმი მიძღვნილ დღეს. მართავს გასართობს და შემოქმედებით ღონისძიებებს, ვორქშოფებს, მოსწავლეთა ნახატებისა და ნამუშევრების გამოფენებს. სკოლას აქვს მირებული პრიზები სხვადასხვა ღონისძიებაში მოსწავლეთა მონაწილეობისათვის.

სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა მიმართულების კლუბები, როგორიცაა დოკუმენტური ფილმების კლუბი „CineDoc-ბათუმი", კლუბი „შემოქმედთა სივრცე", ქიმიის კლუბი ,,აიქიმ'', დებატების კლუბი, ახალგაზრდა ინტელექტუალთა კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი. კლუბებს აქვთ დებულება და შემუშავებულია კლუბში გაწევრიანების ფორმა. კლუბის წევრები მონაწილეობენ როგორც სასკოლო, ისე საგარე აქტივობებსა და ინიციატივებში. მონაწილეობს სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტებში, რომელთა ფარგლებში თანამშრომლობს სხვა სკოლებთან როგორც მონაწილე, ისე მასპინძელი დაწესებულების სტატუსით. სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს სასკოლო კლუბების განვითარების პროექტში სახელწოდებით ,,მეწარმეთა კლუბი''. სკოლის მიერ მიღწეული წარმატებები ცხადყოფს, რომ დამატებითი არაფორმალური აქტივობები ხორციელდება კვალიფიციური თანამშრომლების ხელმძღვანელობით. მოსწავლეთა თვითმმართველობას წარმოდგენილი აქვს ანგარიში სასწავლო წლის განმავლობასი განხორციელებული აქტივობების შესახებ.

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა მხარდაჭერის დებულება, განსაზღვრული აქვს მხარდამჭერი ჯგუფის შემადგენლობა და ფუნქციები, როგორიცაა მოსწავლის აკადემიური, სოციალური და ემოციური საჭიროებების შეფასება, ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმის შემუშავება, მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება, პროგრესის მონიტორინგი, მშობლებთან და საჭიროების შემთხვევაში შესაბამის სტრუქტურებთან თანამშრომლობა.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

**6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლას აცხადებს მუდმივ მზაობას დახვეწოს მოსწავლეთა მომსახურება. აღნიშნულს ადასტურებს სკოლის მიერ არაფორმალური აქტივობების შესახებ მიღებული უკუკავშირის საფუძველზე, მოსწავლეების სურვილის გათვალისწინებით, მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანიზებით და ადმინისტრაციის ხელშეწყობით სკოლაში ჩატარდა მინი ფეხბურთის ჩემპიონატი და კალათბურთის ჩემპიონატი საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს შორის.

**<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- მოსწავლის მხარდაჭერის შიდა რეგულაცია;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- რემედიაციის პროგრამა;
- ექსტერნის გამოცდის მასალები და კონსულტაციების განრიგი;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის შექმნის მასალები და ოქმები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის ანგარიში;
- კლუბების შექმნის და ფუნქციონირების ამსახველი მასალები;
- კლუბების დებულებები;
- განხორციელებული პროექტები;
- მასწავლებლების ინდივიდუალური ანგარიშები არაფორმალური განათლების აქტივობების მიმართულებით.

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მხარდაჭერის მიზნით ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს შესაბამისი კლუბების მუშაობას. კლუბები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოსწავლეთა ინტერესების გამოვლენასა და პროფესიული არჩევანის გაცნობიერებაში. პროფესიული ორიენტაციის გაძლიერების მიზნით, მოსწავლეები მშობლებთან ერთად მონაწილეობენ სხვადასხვა საინფორმაციო აქტივობაში და ადგილზე ეცნობიან მათთვის შეთავაზებულ პროფესიულ და საგანმანათლებლო მიმართულებებს. სკოლაში ხორციელდება კოლეჯებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლების ვიზიტები, რომლებიც ატარებენ პრეზენტაციებს და აცნობენ მოსწავლეებს საკუთარ საგანმანათლებლო პროგრამებსა და სერვისებს. სკოლის მასწავლებლების ხელმძღვანელობით იგეგმება და ხორციელდება საგანმანათლებლო ტურები სხვადასხვა დაწესებულებებში, მათ შორის ვიზიტები სასამართლოში, პროკურატურაში, პარლამენტში, ტელევიზიაში და სხვა ორგანიზაციებში. ასევე, იმართება შეხვედრები სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლებთან, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს უშუალოდ გაეცნონ პროფესიული საქმიანობის სპეციფიკას. აღნიშნული ვიზიტები მიზნად ისახავს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვის მხარდაჭერას.

სკოლის ინიციატივით შედგა საინფორმაციო შეხვედრა მოწვეულ მშობელთან, რომელმაც მოსწავლეების გაუზიარა თავისი გამოცდილება პროფესიის არჩევის კუთხით.

პროფესიული ორიენტაციის და კარიერული წინსვლის პროგრამა სკოლას გათვალისწინებული აქვს სასკოლო სასწავლო გეგმაში და სადამრიგებლო პროგრამებში.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებულობას პროფესიული კარიერული დაგეგმვის მიმართულებით უზრუნველყოფს კოლეჯებისა და უნივერსიტეტების მიერ შეთავაზებულ საგანმანათლებლო პროგრამების გაცნობის, ჩარიცხვის პირობებსა და პროფესიულ მიმართულებების შესახებ ინფორმაციის მიწოდების გზით. აღნიშნული ხორციელდება როოგრც შესაბამისი დაწესებულებების წარმოამდგენლების, ასევე, კლასის დამრიგებლების მეშვეობით. აღნიშნული ინფორმაცია ინტერვიუს დროს დაადასტურეს საშუალო საფეხურის მოსწავლეებმა.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარი კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის ფარგლებში მოსწავლეთა მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით და გამოხატავს მზაობას მიღებული უკუკავშირის საფუძველზე გააუმჯობესოს გაწეული მომსახურება. კითხვარი მიზნად ისახავს მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე მოსწავლეების საჭიროებების დადგენას, შესწავლას და მხარდაჭერის პროგრამების გაუმჯობესებას კარიერის დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის კუთხით.

სკოლას მიეცა რჩევა, ყოველწლიურ პრაქტიკაში დანერგოს აღნიშნული კითხვარების გამოყენება, და გამოკითხვის შესახებ გადაწყვეტილება არ დარჩეს ფორმალური ხასიათის.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სადამრიგებლო პროგრამები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- პროფესიული ორიენტაციის კითხვარი.

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას აქვს ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი მექანიზმები, რომლებიც ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. მექანიზმები არეგულირებს სსსმ მოსწავლეებისთვის მომსახურების მიწოდების პირობებს, სასკოლო გარემოს, სსსმ პირის სტატუსის მინიჭების პირობებს. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა. შექმნილი ჰყავს ინკლუკზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფი და დამტკიცებული აქვს შესაბამისი დებულება.
სკოლაში ირიცხებიან სსსმ მოსწავლეები და თითოეული მათგანისთვის ისგ ჯგუფის მიერ შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სკოლაში დასაქმებულები არიან სპეციალური მასწავლებლები, ფსიქოლოგები, ენისა და მეტყველების სპეციალისტი და სსსმ პირის ასისტენტები. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა, საჭიროების შემთხვევაში, ხორციელდება რესურს ოთახში. სკოლას აქვს 3 რესურს ოთახი, რომლებიც აღჭურვილია სსსმ მოსწავლეებისთვის საჭირო სასწავლო და განსავითარებელი რესურსებით. მასწავლებლების დიდ ნაწილს გავლილი აქვთ ბრალისი შრიფტის გამოყენების ტრენინგი. მასწავლებლებს გავლილი აქვთ ტენინგები ინკლუზიური სწავლების პრინციპებთან დაკავშირებით.
ინტერვიუს დროს ერთ-ერთი მოსწავლის მშობელმა დააფიქსირა სკოლის მიერ გაწეული მომსახურების შედეგად ბავშვის მშნივნელოვანი პროგრესი.

ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

თითოეული სსსმ მოსწავლისთვის დაკომპლექტებულია ისგ ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან როგორს საგნების მასწავლებლები, ასევე, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, კლასის დამრიგებელი და მოსწავლის მშობელი. ისგ ჯგუფი იკრიბება და განიხილავს სსსმ მოსწავლის სწავლების სტრატეგიებს, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს. აღნიშნული უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას და თანამშრომლობას სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერის პროცესში. სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით სკოლაში იმართება სხვადასხვა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სხვადასხვა წარმოდგენები, რომლებშიც მონაწილეობენ სსსმ მოსწავლეებიც.

3. ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ისგ ჯგუფების შექმნის ბრძანებები;
- ისგ ჯგუფის ოქმები;
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა.

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი**

**მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლაში იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე ფუნქციონირებს სასკოლო ბუფეტი, ქართული ცეკვებისა და აღმოსავლური ორთაბრძოლის წრეები. ფართი გაცემულია კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების დაცვით - სამეურვეო საბჭოს, აჭარის განათლებისა და სპორტის სამინისტროსა და აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს თანხმობების საფუძველზე.

ექსკურსიების შემთხვევაში, ტრანსპორტირების მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზომების დაცვითა და კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სკოლა უზრუნველყოფს კვების ბლოკის საქმიანობის მონიტორინგს სპეციალურად შექმნილი მონიტორინგის ჯგუფის მეშვეობით. ბიზნეს ოპერატორი რეგისტრირებულია შესაბამის სამსახურში. სურსათის უვნებლობის სააგენტოს მიერ განხორციელებულია ბიზნესოპერატორის შემოწმება და გაცემულია შესაბამისი აქტი.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

იჯარის ფორმით არსებული წრეების და საკლკუბო მომსახურების მიღება არის ნებაყოფლობითი და დამოკიდებულია მშობლის სურვილზე. მშობლები კლასის დამრიგებლებისაგან იღებენ ინფორმაციას დამატებითი მომსახურებების შესახებ, ეცნობიან დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების აქტივობებს. მშობელი წრეზე მოსწავლის ტარების სურვილის შემთხვევაში ხელშეკრულებას აფორმებს მოიჯარესთან და მომსახურების პირობები განსაზღვრულია აღნიშნული ხელშეკრულებით.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლაში არსებული კლუბების ფარგლებში მომსახურების გაწევის პროცესში გათვალისწინებულია უსაფრთხოების ზოგადი წესები. სკოლის ტერიტორიაზე ქცევის წესები რეგულირდება შინაგანაწესით, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად სკოლის ტერიტორიაზე მყოფი ყველა პირისთვის. სკოლაში მოქმედი უსაფრთხოების წესებისა და რეგულაციების განუხრელ შესრულებას უზრუნველყოფენ სკოლის დირექცია და მანდატურის სამსახური.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- იჯარის დოკუმენტაცია;
- სკოლის შინაგანაწესი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე**

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(ქართული სექტორი - დაწყებითი საფეხური) | ☐ **შეესაბამება**<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(ქართული სექტორი - საბაზო საფეხური) | ☐ **შეესაბამება**<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(ქართული სექტორი - საშუალო საფეხური) | ☐ **შეესაბამება**<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(რუსული სექტორი - დაწყებითი საფეხური) | ☐ **შეესაბამება**<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(რუსული სექტორი - საბაზო საფეხური) | ☐ **შეესაბამება**<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| **სტანდარტი 2** | **ექსპერტთა ჯგუფის შეფასება**<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი**<br>(რუსული სექტორი - საშუალო საფეხური) | ☐ **შეესაბამება**<br>☒ **მეტწილად შეესაბამება**<br>☐ **ნაწილობრივ შეესაბამება**<br>☐ **არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☐ შეესაბამება<br>☒ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

*ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.*

### 2. სასკოლო კურიკულუმი
### 2.1. კურიკულუმის შემუშავება
### 2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სკოლაში არსებული კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების იდენტიფიცირებასა და მათ ასახვას სასწავლო გეგმაში. პროცესი ეფუძნება მონაწილეობით პრინციპებს, რაც დასტურდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით (გამოკითხვები, სამუშაო შეხვედრები, ინტერვიუები) მიღებული უკუკავშირის ანალიზით. დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ საგნობრივი კურიკულუმები და თემატური მატრიცები სტრუქტურირებულია მოსწავლეთა აკადემიური შესაძლებლობებისა და დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გათვალისწინებით, რაც ხელს უწყობს სწავლა-სწავლების პროცესის სკოლის კონტექსტთან ადაპტირებას.

**<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების წევრების (მოსწავლეების, მშობლებისა და მასწავლებლების) ინტერესები. თემატურ მატრიცებში ინტეგრირებული შემოქმედებითი დავალებები და შერჩეული საკითხები მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და მათ შემეცნებით საჭიროებებს. კურიკულუმში ასახული პრიორიტეტები და სწავლების მეთოდოლოგია ეფუძნება სკოლის კონტექსტსა და იმ მოლოდინებს, რომლებიც საზოგადოების მხრიდან გამოვლინდა წინარე კვლევებისა და სამუშაო შეხვედრების ეტაპზე.

**<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

### 3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სასკოლო საზოგადოებასთან ინტერვიუირებისას მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესი განხორციელდა საგნობრივი კათედრებისა და პედაგოგების აქტიური მონაწილეობით, რაც დასტურდება სამუშაო შეხვედრების ოქმებითა და შიდაორგანიზაციული დოკუმენტაციით. დოკუმენტების ანალიზი ცხადყოფს, რომ თემატური მატრიცები და კომპლექსური დავალებები შექმნილია უშუალოდ სკოლის მასწავლებელთა მიერ, საგნობრივი ჯგუფების ფარგლებში გამართული დისკუსიებისა და გამოცდილების გაზიარების საფუძველზე. პროცესის კოლეგიურობა უზრუნველყოფს კურიკულუმის შესაბამისობას სკოლის ავტონომიის პრინციპებთან და მის რეალიზებას სასწავლო გარემოში.

<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

### 4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სასკოლო კურიკულუმი წარმოადგენს სასკოლო საზოგადოების მიერ შეთანხმებულ და გაზიარებულ დოკუმენტს. მისი შინაარსი, სწავლების სტრატეგიები და შეფასების სისტემა საჯაროა და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული მხარისთვის (მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები). საგნის მასწავლებლები სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს შემუშავებული კურიკულუმების შესახებ, რაც მათი პრიორიტეტების გათვალისწინების ერთგვარი შესაძლებლობაა. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა საგნის მასწავლებლების მიერ მშობელთათვის გაგზავნილ დავალების ბარათებსა და სასწავლო წლის დასაწყისში დაგეგმილ მშობელთა კრებებზე. დამრიგებლები აწვდიან მშობლებს ინფორმაციას წლის განმავლობაში განსახორციელებელი აქტივობების შესახებ. მშობლებთან ურთიერთობისთვის გამოიყენება სხვადასხვა საშუალება: დამრიგებლებს შექმნილი აქვთ დახურული ჯგუფები (მაგ. მესენჯერში), ხოლო სკოლას აქვს ფეისბუქგვერდი, სადაც სისტემატურად და ოპერატიულად იტვირთება სასკოლო ცხოვრებაში მომხდარი სიახლეები, მოსწავლეთა და მასწავლებელთა მიღწევები. მშობელთა უკუკავშირი მუდმივად ეხმარება სკოლას მოსწავლეთა სწავლის შედეგების გაუმჯობესებაში. გარდა ამისა, კათედრის წევრები უზიარებენ ერთმანეთს შექმნილ კურიკულუმებს კათედრის სხდომებზე და აქტიურად თანამშრომლობენ.

<u>**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**</u>

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ ქალაქ ბათუმის N3 საჯარო სკოლის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკოლო კურიკულუმები;
- სსიპ -ქალაქ ბათუმის №3 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი №1;

- საგნობრივი კათედრების სხდომის ოქმები.

### 2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

**1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სკოლის მიერ შემოთავაზებული კურიკულუმები საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სტრუქტურირებულია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. ასახულია თემატური დაგეგმვა სამიზნე ცნებებთან მიმართებაში. მოსწავლეთა დაინტერესების და შინაგანი ძალების გააქტიურების მიზნით, საკითხების უკეთ გააზრებისთვის განსაზღვრულია კონტექსტმაგალითები, თუმცა განსაზღვრული არაა მაგალითები შედარებისთვის. სასწავლო რესურსები წარმოდგენილია როგორც ბეჭდური, ასევე ციფრული შინაარსის რესურსების და პლატფორმების სახით. კონტექსტმაგალითები, თუმცა განსაზღვრული არაა მაგალითები შედარებისთვის. სასწავლო რესურსები წარმოდგენილია როგორც ბეჭდური, ასევე ციფრული შინაარსის რესურსების და პლატფორმების სახით.<br>***რჩევა***<br>*სკოლას მიეცა რჩევა, ორივე სექტორის, სამივე საფეხურზე, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრაზე გადაიხედოს კონტექსტმაგალითების შინაარსი, განისაზღვროს შედარების მაგალითები საკითხების სიღრმისეულად გააზრების და დეკონტექსტუალიზაციის მიზნით, ფიზიკის და ქიმიის კურიკულუმებში განსაკუთრებით. კათედრაზე თანამშრომლობითი გარემოს უკეთ წარმოჩენის მიზნით, შემუშავდეს კურიკულუმების ერთიანი ფორმა. ბიოლოგიის კურიკულუმებში თითქმის ყველგან ქვეცნებების სვეტში ჩამოწერილი საკითხები გადავიდეს საკითხების სვეტში.*<br>*ასევე, კურიკულუმებში საკითხებში ჩამოწერილი სახელმძღვანელოს სარჩევის პარაგრაფები გამსხვილებული ერთეულების, კლასტერების სახით გაიწეროს.*<br>*ასევე, სკოლას მიეცა რჩევა, შედარების მაგალითების სვეტებში განისაზღვროს შედარების მაგალითები, გაწერილი საეტაპო აქტივობების ნაცვლად.* |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის საფუძველზეც წარიმართება კურიკულუმების დაგეგმვა. სკოლა კურიკულუმის შემუშავებას სასწავლო წლის განმავლობაში მიმდინარე პროცესად მოიაზრებს და სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლების ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით წარმოდგენილი კურიკულუმები ამ ეტაპზე შექმნილია მასწავლებელთა არსებული გამოცდილების საფუძველზე. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სამომავლოდ მოსწავლეები და მშობლები მეტად ჩართონ კურიკულუმის შემუშავების პროცესში, რათა უკეთ გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები.<br><br>**რჩევა: ქართული და რუსული სექტორების საბაზო საფეხურზე:**<br><br>**მე-7 კლასში, საგან მოქალაქეობაში** - წარმოდგენილი კურიკულუმის თავფურცელში სასურველია მიეთითოს - საფეხური, სკოლა, კლასის დასახელება და რესურსების გრაფაში - სახელმძღვანელოს ავტორები.<br><br>**მე-7 კლასში, საგან გეოგრაფიაში -** კურიკულუმის იერსახისთვის მასში წარმოდგენილი მასალა სასურველია მიეთითოს საერთო შრიფტით, იმისათვის, რომ არ ქმნიდეს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროდან კოპირების განცდას. |
| უცხოური ენები | სამივე უცხოურ ენაში (ინგლისური, რუსული, გერმანული), რომელიც ისწავლება ბათუმის N3 საჯარო სკოლაში (როგორც ქართულ, ასევე რუსულ სექტორზე), საფეხურების მიხედვით შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური თვალსაზრისით. თემების ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, შერჩეული შემოქმედებითი ბუნების დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურების დონეზე; შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პროცესს ხელს უწყობს არაფორმალური განათლების მიმართულებით განხორციელებული არაერთი |

| | |
|---|---|
| | აქტივობა/პროექტი, რომელშიც ჩართული არიან სკოლის მოსწავლეები უცხოური ენების მასწავლებლების ხელმძღვანელობით.<br><br>აღსანიშნავია ბათუმის N3 საჯარო სკოლის რუსული სექტორის მასწავლებელთა ძალისხმევა კურიკულუმების შესამუშავებლად. იქედან გამომდინარე, რომ არ არსებობს რეკომენდაციები რუსულის, როგორც მშობლიური ენის/ეთნიკური უმცირესობების ენის კურიკულუმების შესადგენად, არ არის განსაზღვრული სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, მასწავლებლებს მოუწიათ მშობლიური ენის კურიკულუმების თარგმნა და მათი მორგება სასწავლო მასალისთვის. დასაფასებელია, რომ აღნიშნული სამუშაოები შესრულდა კვალიფიციურად, მაქსიმალური ძალისხმევით და ურთიერთთანამშრომლობით, როგორც კათედრის შიგნით, ასევე სახელმწიფო ენის კათედრის წარმომადგენლებთან თანამშრომლობით. |
| ესთეტიკური აღზრდა | ესთეტიკის კათედრის ქართული და რუსული სექტორების კურიკულუმები ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე და ეფუძნება კომპლექსურ დავალებებს, რომლებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. დოკუმენტში ასახულია მოსწავლეებისთვის აქტუალური და საინტერესო თემები, აქტივობები და რესურსები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვას. კურიკულუმის ჩარჩოს გაცნობისა და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დასტურდება, რომ კათედრის პედაგოგებს აქვთ მკაფიო მზაობა, დაგეგმონ და განახორციელონ მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესი. ისინი განსაკუთრებულად უსვამენ ხაზს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მნიშვნელობას, რომელიც ხელს უწყობს მოქნილ, კომპეტენციებზე დაფუძნებულ და შემოქმედებით მიდგომებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმი წარმოადგენს „ცოცხალ დოკუმენტს“, რომელიც მუდმივ გადახედვასა და განახლებას საჭიროებს. მათ ასევე გამოხატეს მზადყოფნა, მომავალშიც განავითარონ და დახვეწონ კურიკულუმი, რათა ის კიდევ უფრო მეტად პასუხობდეს მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.<br><br>***რჩევა:***<br><br>*სასურველია, გადაიხედოს ქართული და რუსული სექტორების IX კლასის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კურიკულუმი და ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად დაემატოს მესამე თემატური ბლოკის დასახელება - **„ადამიანი ხელოვნებაში“**. კურიკულუმში აღნიშნული თემატური ბლოკის* |

| | |
|---|---|
| | *შინაარსი უკვე ასახულია, თუმცა მიზანშეწონილია მისი მითითება შესაბამის ჰორიზონტალურ სვეტში.* |
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ წარმოდგენილი სამივე საფეხურის კურიკულუმები ორივე სექტორზე იმგვარადაა აგებული, რომ აქცენტი კეთდება საგნისათვის საჭირო კომპონენტებზე. ჩანს რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა გამოიყენონ სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად და მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს. წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. |
| მათემატიკა | კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კურიკულუმებში შეტანილი თემები (კათედრა ხელმძღვანელობს გრიფირებული სახელმძღვანელოებით) მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.<br><br>***რჩევა:*** *სასურველია ქართული და რუსული სექტორის, სამივე საფეხურის კურიკულუმებში გაიწეროს საათების რაოდენობა თითოეული თემის მიხედვით.* |
| სპორტი | კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამომდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნეს მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს. |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისია, რომელიც ასახავს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი შემოქმედებითი და შემაჯამებელი დავალები კომპლექსური ბუნებისაა, დოკუმენტაციის შესწავლითა და სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და განხორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი |

| | |
|---|---|
| | გარემო. რადგან სკოლაში არის როგორც ქართული, ასევე რუსულ ენოვანი სექტორი, პედაგოგებთან გასაუბრების შემდეგ დადგინდა, რომ ისინი თანაბრად ქმნიან სასწავლო რესურსებს ორივე ენაზე, სექტორის შესაბამისად. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების განხილვისა და მასწავლებელთა ინტერვიუს შედეგად დგინდება, რომ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ყველა საგნის კურიკულუმში (I – IV კლ.) მოცემულია სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები, საკითხები/ქვესაკითხები, გრძელვადიანი მიზნები. კურიკულუმი შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებთან. |

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

## 2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმები შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად. ცნებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განხორციელების მიზნით, საკითხები სავალდებულო თემების ფარგლებში დალაგებულია კლასტერებად. შუალედური სასწავლო მიზნების ფარგლებში დალაგებულია კლასტერებად. შუალედური სასწავლო მიზნების მისაღწევად შემუშავებულია შემოქმედებითი დავალებები, რომლებიც უზრუნველყოფს სამივე კატეგორიის ცოდნის დაუფლებას.<br>**რჩევა:**<br>*სასურველია ქართული და რუსული სექტორების, სამივე საფეხურზე, ზოგიერთ კურიკულუმში საკითხების სვეტებში გადმოტანილი სახელმძღვანელოს პარაგრაფები გამსხვილდეს და დალაგდეს კლასტერებად. განსაკუთრებით ფიზიკის და ქიმიის კურიკულუმებში.* |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმში საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, კერძოდ კათედრის სხდომებზე გაანალიზებული სასწავლო პროცესის, მოსწავლეთა შედეგების ანალიზისა და ურთიერთდასწრებების საფუძველზე. სკოლას აქვს ხედვა განავითაროს კურიკულუმი მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების გათვალისწინებით.<br><br>***რჩევა:***<br>*მიზანშეწონილია ქართული და რუსული სექტორების, საბაზო და საშუალო საფეხურის ისტორიის და გეოგრაფიის კურიკულუმები შემუშავდეს ისე, როგორც მოქალაქეობის კურიკულუმი. კერძოდ, კურიკულუმში ჩანდეს თითოეულ კლასში წლის განმავლობაში განსახორციელებელი პროექტები/პროექტის დასახელება, ტიპი, სამიზნე ცნებები, აქტივობები და რესურსები. ასევე, განსახორციელებელ პროექტებს ახლდეს სამოქმედო გეგმა.*<br>***რჩევა:*** *სასურველია, ორივე სექტორის, სამივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების მატრიცის გრაფები ერთიანი სტრუქტურის მიხედვით იყოს შედგენილი.* |
| უცხოური ენები | უცხოურ ენებში, საფეხურების მიხედვით შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: ტექსტი (I-VI კლასები), ჟანრი (VII-XII კლასები), სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები - (I-XIIკლასები), კულტურათა დიალოგი (V-XII კლასები). კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მათი შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, მოქალაქეობრივ პოზიციას.<br>***რჩევა:*** *ორივე სექტორის, სამივე საფეხურზე, სასურველია გასწორდეს დოკუმენტირებისას დაშვებული ტექნიკური ხარვეზი - კურიკულუმების ნაწილში არასწორადაა მითითებული სამიზნე ცნებები. ასევე, სასურველია კურიკულუმების ერთიან ფორმაში მოქცევა.* |
| ესთეტიკური აღზრდა | ქართული და რუსული სექტორების მუსიკისა და სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებებისთვის შემუშავებული კურიკულუმები სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ საგნობრივ მოთხოვნებს და ორიენტირებულია გრძელვადიანი საგანმანათლებლო მიზნების მიღწევაზე. კურიკულუმებში განსაზღვრული სამიზნე ცნებები და |

| | |
|---|---|
| | სწავლის შედეგები ხელს უწყობს მოსწავლეებს, ახალი ცოდნა და უნარები საკუთარი გამოცდილების საფუძველზე გაააზრონ, დააკავშირონ და პრაქტიკაში გამოიყენონ. |
| სახელმწიფო ენა | სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებების დამუშავება ხერხდება სავალდებულო თემის ფარგლებში. შერჩეული ძირითადი და დამხმარე ტექსტები, კონტექსტმაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები ხელს უწყობს ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას. სამივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები თავსებადია ესგ-ეს მიზნებსა და პრიორიტეტებთან. თუმცა ქართული, როგორც მეორე ენა - საგნის მასწავლებლებთან გასაუბრებისას დაზუსტდა გარკვეული დეტალები და მცირე უზუსტობები, რომლებსაც აუცილებლად გაითვალისწინებენ კურიკულუმების რევიზირებისას. გამოიკვეთა, რომ ორივე სექტორის მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ-ს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება, მასთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები. აგრეთვე, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით (თვითშეფასება, კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია) და ინტერვიუთი დასტურდება, რომ სამივე საფეხურზე სასწავლო პროცესი ხორციელდება კურიკულუმის შესაბამისად. კურიკულუმების ჩარჩოები ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე, ქართული სექტორის სახელმწიფო ენის სამივე საფეხურისა და ქართული, როგორც მეორე ენის საბაზო და საშუალო საფეხურის ფარგლებში, სტანდარტებში წარმოდგენილი შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით.<br>***რჩევა: საგანი- ქართული, როგორც მეორე ენა***<br>*სასურველია, რუსული სექტორის მასწავლებლებმა, საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას* ***დაწყებითსა და საბაზო საფეხურზე (VIII კლასში)*** *გაითვალისწინონ საგნობრივი სტანდარტი. სათანადოდ აისახოს და სრულყოფილად დამუშავდეს საფეხურისა და თემის შესაბამისი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები.* |
| მათემატიკა | კურიკულუმებში გაწერილია ესგ შესაბამისად ყველა სამიზნე ცნება, ასევე თემები რომელიც უნდა იქნას სასწავლო წლის განმავლობაში დაძლეული. ასევე ჩანს ცოდნათა სამ კატეგორიაზე გათვლილი დავალებები, წარმოდგენილია შემაჯამებელი დავალებები რომლებიც ცოდნის პრაქტიკაში გადატანის საშუალებას იძლევა. |
| სპორტი | სკოლის მხრიდან წარმოდგენილი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს. გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. ხოლო თემები, აქტივობები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი |

| | |
|---|---|
| | რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ფუნქციური უნარების დახვეწაზე. |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩო (მე-2, მე-3, მე-4, მე-5, მე-6 კლასი) ძირითადად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რაც აისახება სამიზნე ცნებებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში. დავალების იდეებში ჩანს რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება. ჩანს, რომ მასწავლებლები იაზრებს საკითხის მნიშვნელობას და შეძლებს მის მოყვანას საგნობრივ სტანდარტთან შესაბამისობაში. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ორიენტირებულია მოსწავლეზე. განსაზღვრული აქტივობები საშუალებას იძლევა მოსწავლემ საკუთარ გამოცდილებაზე ააგოს ახალი ცოდნა და უნარები. |

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

### 3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კურიკულუმებში მითითებულია გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები. ასევე წარმოდგენილია ციფრული რესურსები.<br>***რჩევა:*** *სასურველია სამივე საფეხურზე და ორივე სექტორზე დაკონკრეტდეს რომელ სახელძღვანელოს იყენებენ სასწავლო პროცესში, ასევე სრულად წარმოჩინდეს სახელმძღვანელოს რეკვიზიტები, ავტორი/ავტორები, გამოცემის წელი, გამომცემლობა.* |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | **დაწყებით და საბაზო** საფეხურზე, საგნობრივ კურიკულუმებში ასახულია როგორც ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო), ისე დამატებითი ელექტრონული რესურსები: სამეცნიერო ვიდეო-ფილმები, ფოტო მასალა. მათი გამოყენებით მოსწავლე ეცნობა სასწავლო საკითხს და შეუძლია მოამზადოს შემოქმედებითი პროდუქტი. |

| | |
|---|---|
| | მასწავლებლებთან გასაუბრების, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის ოქმისა და სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ივკეთება, რომ სკოლაში ყურადღება ეთმობა რესურსების შერჩევას, მოძიებას და მათ მიზნობრივ გამოყენებას სასწავლო პროცესში. ასევე, მომავალი სასწავლო წლიდან იგეგმება რესურსების გამრავლაფეროვნება.<br>***რჩევა:***<br>***საბაზო საფეხური***<br>*სასურველია, ორივე სექტორზე, კათედრის ოქმს დანართის სახით ახლდეს საგნების მიხედვით შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, თემატური რუკები, მხატვრული თუ სამეცნიერო ლიტერატურა.* |
| უცხოური ენები | უცხოური ენების კურიკულუმებში მითითებულია სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსები, მათ შორის, საგანმანათლებლო რესურსი. როგორც წარმოდგენილი მასალებიდან და სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუდან გაირკვა, რესურსები ირჩევა ყოველი სასწავლო წლის დასასრულს მომავალი სასწავლო წლისთვის პედაგოგების აქტიური თანამშრომლობით და გადაიხედება სასწავლო წლის დასაწყისში. ყველა რესურსი საგულდაგულოდ არის შერჩეული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას.<br>საგნობრივი კურიკულუმისთვის განსაზღვრული რესურსი შერჩეულია უცხოური ენების კათედრის მიერ წინა წლის გამოცდილების, მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. |
| ესთეტიკური აღზრდა | ქართული და რუსული სექტორების ესთეტიკური აღზრდის კურიკულუმში გათვალისწინებული რესურსები - მათ შორის საგანმანათლებლო, ვიზუალური, აუდიო და პრაქტიკული რესურსები - სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეების მიერ დაგეგმილი სასწავლო შედეგების მიღწევას. შერჩეული მასალები ადეკვატურად შეესაბამება საგნობრივ მოთხოვნებს, ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების განვითარებას და ქმნის პირობებს, რომ მოსწავლეებმა ეფექტურად გამოიყენონ კურიკულუმით გათვალისწინებული ცოდნა და უნარები. |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია შერჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოზე. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. |
| მათემატიკა | კურიკულუმში წარმოდგენილია ის ძირითადი რესურსები, რომლების საშუალებას მისცემს მასწავლებელს სასწავლო პროცესი გახადოს მოსწავლეზე ორიენტირებული და მათი უფრო მეტი ჩართულობა უზრუნველყონ ძირითადად მითითებულია ლინკები. |

| | |
|---|---|
| სპორტი | სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და დოკუმენტებში ასახული საგანმანათლებლო რესურსები: სახელმძღვანელოები, პოსტერები, თვალსაჩინოებები, განხორციელებული სპორტული აქტივობები, ონლაინ რესურსები, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას. |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში განთავსებულია მრავალფეროვანი საგანმანათლებლო რესურსი, მათ შორის ონლაინ რესურსები (code.org, Scratch) დავალებების ნიმუშები, სასარგებლო ბმულები, პროგრამები, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წარმოდგენილია, როგორც ძირითადი რესურსები (გრიფირებული სახელმძღვანელოები), ასევე მრავალფეროვანი ელექტრონული თუ ბეჭდური რესურსი, რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას. |

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

## 4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის მიერ წარმოადგენილ კურიკულუმებში ჩანს მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება.<br>***რჩევა*** *- საეტაპო აქტივობებში, სასურველია, ქართული და რუსული სექტორების, სამივე საფეხურზე შეკითხვების სტილში გათვალისწინებულ იქნეს მსწავლელის ტიპი, მოსწავლეებს მიეცეთ შემოქმედებითი დავალების პროდუქტის არჩევანის შესაძლებლობა, რაც ხელს შეუწყობს მათი უნარების, ინტერესების და პოტენციალის რეალიზებას.* |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები, რაც დოკუმენტებში იკვეთება. მართალია, კურიკულუმი წარმოდგენილია თემის, სამიზნე ცნების, სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, საკითხებისა და კომპლექსური დავალების იდეების დონეზე. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, პედაგოგების მზაობა დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომებთან დაკავშირებით. კერძოდ, მასწავლებლები სასწავლო პროცესში |

| | |
|---|---|
| | მოსწავლეების მზაობიდან გამომდინარე, ახდენენ კომპლექსური დავალებების ადაპტირებას, შესაბამისი მრავალფეროვანი რესურსებისა და აქტივობების შეთავაზებას. გადმოგზავნილ დოკუმენტებში არის ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელიც სსსმ მოსწავლის საჭიროებებზე არის მორგებული და თან ახლავს შეფასების სისტემები (განმავითარებელი). |
| უცხოური ენები | სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც, მართალია, უცხოური ენების კურიკულუმებში არ ჩანს, თუმცა წარმოდგენილია ინდივიდუალური გეგმები, ადაპტირებული კომპლექსური დავალებები. უცხოური ენების კათედრა კარგად იცნობს და ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირების პრინციპებს, ყოველდღიურ საქმიანობაში იყენებს განსხვავებულ მიდგომებს მოსწავლეთა ინტერესების, სწავლის სტილის და შესაძლებლობების გათვალისწინებით. |
| ესთეტიკური აღზრდა | ქართული და რუსული სექტორების ხელოვნებისა და მუსიკის კურიკულუმებში მკაფიოდ იკვეთება შეთავაზებული დავალებების კომპლექსური ხასიათი, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, მრავალფეროვანი და ეფექტური გზებით გამოხატონ საკუთარი ცოდნა, მოსაზრებები და დამოკიდებულებები. მასწავლებლებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების ანალიზმა აჩვენა, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება დიფერენცირებული და ინკლუზიური მიდგომები. ხდება დავალებების სირთულის დონის, სასწავლო პირობებისა და რესურსების ადაპტირება თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად. აღნიშნული პრაქტიკა ზრდის მოსწავლეთა ჩართულობასა და მოტივაციას, ხელს უწყობს გააზრებულ სწავლებას და უზრუნველყოფს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში ეფექტიან გამოყენებას. |
| სახელმწიფო ენა | მასწავლებლებს აქვთ დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. გასაუბრებამაც ცხადყო, რომ მასწავლებლები, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას ახდენენ სწავლის სტილის გათვალისწინებით. |
| მათემატიკა | სკოლას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები რომელიც საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობები იქნას აღწერილი. ამასთან შემაჯამებელი დავალების შინაარსობრივ ნაწილში აღინიშნება დიფერენცირებული სწავლების პრინციპები. |
| სპორტი | სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად, მისი ინტერესებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. კომპლექსური თუ შემოქმედებითი ტიპის სამუშაო მოსწავლეს საშუალებას აძლევს |

| | |
|---|---|
| | ერთი და იგივე საკითხის, ერთი და იგივე სამიზნე ცნების დამუშავებისას, აირჩიოს სხვადასხვა დავალებები და აქტივობები. |
| ტექნოლოგიები | სკოლას და პედაგოგებს შემუშავებული აქვთ სსსმ პირთათვის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, ინდივიდუალური გეგმები, ასევე დიფერენცირებული ხასიათის დავალებები. ინტერვიუს დროს ჩანდა მასწავლებლების მზაობა და წინარე გამოცდილება დიფერენცირებულ სწავლებისა და ინკლუზიური განათლების პრინციპებთან მიმართებაში. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის კათედრის პედაგოგებთან ინტერვიუში გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ითვალისწინებს ინკლუზიურ და დიფერენცირებულ მიდგომებს. |

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

## 5. მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის მიერ წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითრებელი შეფასების ნიმუშები, სადაც ჩანს სამიზნე ცნებებზე ორიენტირება. წარმოდგენილია ასევე სხვადასხვა ტიპის შეფასების სქემა.<br>***რჩევა:*** *ქართული და რუსული სექტორების, სამივე საფეხურზე სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებლი შეფასების რუბრიკებში განისაზღვროს მოსწავლის წინარე ცოდნის ხვედრითი წილი და დანარჩენი ქულები გადანაწილდეს სამიზნე ცნებების მიხედვით.*<br>*ასევე, სკოლას მიეცა რჩევა, მოწოდებული ნიმუშები (თემის შეფასების რუბრიკა), დავიწროვდეს ამა თუ იმ შემოქმედებითი დავალების ფარგლებში.* |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნებში - ორივე სექტორში (ქართული, რუსული) შემუშავებულია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომელიც მიემართება საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ორიენტირებულია ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაზე, ემსახურება მოსწავლეთა მიღწევების აღიარებას და მათ განვითარებაზეა ორიენტირებული. გარდა ამისა, წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება აჩვენებს თუ, როგორ მიმდინარეობს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების პროცესი და მათ მეხსიერებაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. |

| | |
|---|---|
| | ასევე, წარმოდგენილია კითხვარები, რომელიც ავლენს რამდენად ახერხებს მოსწავლე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების დამოუკიდებლად წარმოჩენას, და რამდენად გააზრებულ და ეფექტიან ნაბიჯებს დგამს იგი საკუთარი წინსვლის ხელშესაწყობად.<br>შესაბამისად, შეფასების ორივე ტიპი, განმსაზღვრელიც და განმავითარებელიც, მიემართება ზემოთ ჩამოთვლილი ამოცანების შესრულებას და ავტომატურად ფარავს სწავლა-სწავლების პროცესის გრძელვადიან მიზნებს. |
| უცხოური ენები | სკოლა იყენებს, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. სკოლას შემუშავებული აქვს ნიმუშები მოსწავლეთა ცალკეული აქტივობების შესაფასებლად (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები). საფეხურების მიხედვით დამატებით წარმოდგენილია მიმდინარე წლის კურიკულუმის მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები კომპლექსური დავალებებისა და ცალკეული აქტივობების მიხედვით. უცხოური ენების კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს შემუშავებული აქვთ გამჭვირვალე, ვალიდური და სანდო შეფასების სისტემა. მასწავლებლები სათანადოდ და რელევანტურად იყენებენ ვერბალურ და წერილობით განმავითარებელ უკუკავშირს როგორც საკლასო ოთახებში, ასევე ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. |
| ესთეტიკური აღზრდა | ქართული და რუსული სექტორის ესთეტიკის კათედრის პედაგოგებმა წარმოადგინეს როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუსა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა აჩვენა, რომ კათედრას გააზრებული აქვს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპების შესაბამისად შეფასების სისტემის დანერგვის მნიშვნელობა. პედაგოგები იყენებენ შეფასების ინსტრუმენტებსა და რუბრიკებს, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მიზანმიმართულ წარმართვას და მოსწავლეთა პროგრესის ეფექტიან მონიტორინგს.<br>ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი ჯგუფი მნიშვნელოვნად აფასებს განმავითარებელი შეფასების როლს მოსწავლეთა აკადემიური და შემოქმედებითი უნარების განვითარებაში.<br>***რჩევა:***<br>*სასწავლო პროცესის კიდევ უფრო გაძლიერების მიზნით, სასურველია, ქართული და რუსული სექტორების, საშუალო საფეხურზე განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებში უფრო მკაფიოდ აისახოს გრძელვადიან სამიზნე ცნებებთან მიმართებები, რაც შეფასების სისტემის შემდგომ სრულყოფას შეუწყობს ხელს.* |

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ენა | მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. სახელმწიფო ენისა და "ქართული, როგორც მეორე ენა" საგნის პედაგოგებმა წარმოადგინეს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები შეფასებას აკეთებენ სამიზნე ცნებებასთან მიმართებით მოსწავლეთა შედეგების მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით. |
| მათემატიკა | მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია შემაჯამებელი წერის ნიშანი, საკლასო აქტივობებში ჩართულობა და საშინაო დავალების შესრულება. სამივე კომპონენტით ფასდებიან მოსწავლეები. ითვალისწინებენ საპრეზენტაციო უნარებს და მოსწავლის მიერ საკითხის გააზრებას სამიზნე ცნებებთან მიმართებაში და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. სამოქმედო გეგმაში მითითებულია სადიაგნოსტიკო შეფასების განხორციელების პირობები და ვადები, რასაც გეგმავს სკოლა მომდევნო სასწავლო წლიდან.<br>***რჩევა:*** *სასურველია, ქართული და რუსული სექტორების, საბაზო და საშუალო საფეხურებზე დიაგნოსტიკური წერა ჩატარდეს სემესტრის ან სასწავლო წლის განმავლობაში ერთხელ მაინც.* |
| სპორტი | მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირების და შეძენილ ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის განმსაზღვრელია მოსწავლის შეფასება. მასწავლებელი ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და აქიდან გამომდინარე აკეთებს უკუკავშირს, რომელიც ძირითადად სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებიდან და დოკუმენტაციის შესწავლიდან გამომდინარე საგანს აქვს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რაც შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. ასევე პედაგოგებმა დაადასტურეს, რომ შეფასების სისტემის შესახებ ისინი მუდმივად აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებს. |
| ტექნოლოგიები | სკოლამ წარმოადგინა როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, ასევე შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები, რომლებიც პასუხობს სამიზნე ცნებებს და შესაბამისად მიემართება გრძელვადიან შედეგებს. წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებს, რომ მასწავლებელს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება. რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს ხედვა გამოიყენოს როგორც განმსაზღვრელი ასევე განმავითარებელი შეფასება სწავლის პროცესის გაუმჯობესებისთვის. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებს, თან ახლავს განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, წარმოდგენილია თვითშეფასების ფორმებიც. აღნიშნული |

| | |
|---|---|
| | შეფასებები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს და სრულად ემსახურება მოსწავლეთა განვითარებას. ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია. |

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შემაჯამებელი დავალების ნიმუში, განმსაზღვრელი შეფასებით;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- შეფასების ვერიფიკაციის წესი;
- დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები საბუნებისმეტყველო დისციპლინებში
- განმსაზღვრებული და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

ქართული სექტორი

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|

| | | |
|---|---|---|
| ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

რუსული სექტორი

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.2. კურიკულუმის განხორციელება

## 2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების პროცესი დაგეგმილია კურიკულუმების შესაბამისად. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ წინა წლის კურიკულუმების განხორციელების ანალიზის და რეფლექსიის საფუძველზე იგეგმება განახლებული კურიკულუმები და შესაბამისად სასწავლო პროცესი. განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ თანამშრომლობით პროცესს და საგანთაშორისი კავშირების გამოვლენას, რაც ხელს უწყობს შესწავლილი საკითხების გამოყენების არეალის ზრდას. ქართული და რუსული სექტორების პედაგოგები ერთობლივად შეიმუშავებენ კურიკულუმების ვერსიებს და შემდეგ ითარგმნება რუსულ ენაზე. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს ქ. ბათუმის N3 საჯარო სკოლის 2025-2026 სასწავლო წლისათვის შემუშავებულ კურიკულუმებს, სასწავლო პროცესი წარიმართებოდა მოცემული კურიკულუმების შესაბამისად. მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ, მათ წარმოადგინეს სრული სახით გაწერილი და დამუშავებული კურიკულუმები და ასევე განაცხადეს, რომ შემდგომშიც კათედრაზე გაანალიზების შემდეგ, კურიკულუმის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი წინააღმდეგობებისა და მიღწევების შესაბამისად, მომდევნო სასწავლო წლისათვის ცვლილებებს განახორციელებენ სასწავლო კურიკულუმებში. |
| უცხოური ენები | სკოლას გააჩნია კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც ეყრდნობა კათედრების/დამრიგებლების მიერ შემუშავებულ სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს.<br>სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში კი ხდება ცვლილებების შეტანა მათში. |
| ესთეტიკური აღზრდა | კურიკულუმში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებისა და წარმოდგენილი მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები შემოქმედებით საქმიანობაში. ინტერვიუს პროცესში პედაგოგებმა დეტალურად აღწერეს მათ მიერ განხორციელებული მრავალფეროვანი სასწავლო აქტივობები, რომლებიც მიზანმიმართულად უკავშირდება კურიკულუმში განსაზღვრულ შედეგებს. მათ წარმოადგინეს ფოტო მასალა და აგრეთვე სკოლის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია, სადაც მკაფიოდ ჩანს კათედრის საქმიანობის დინამიკა და სწავლა-სწავლების პროცესი. აღნიშნული მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სწავლების დაგეგმვა და განხორციელება თანხვედრაშია სასკოლო კურიკულუმის მოთხოვნებთან. პედაგოგთა მიერ შეთავაზებული აქტივობები და შემოქმედებითი პროცესი სისტემურად არის სტრუქტურირებული, ემთხვევა გეგმაში წინასწარ |

| | |
|---|---|
| | განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს და უზრუნველყოფს მოსწავლეთა აქტიურ, ღრმა და მრავალმხრივ ჩართულობას. ამრიგად, სასწავლო პროცესი სრულად ემყარება და რეალურად ასახავს სასკოლო კურიკულუმის პრინციპებსა და სტრუქტურას. |
| სახელმწიფო ენა | სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისადაა დაგეგმილი, აქცენტი კეთდება როგორც სახელმძღვანელოში შერჩეულ, ასევე სავალდებულო თემებსა და საკითხებზე. თემის ფარგლებში შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, სასწავლო პროცესი დაგეგმილია შერჩეული საკითხების გასააზრებლად. განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსები და აქტივობები, რაც ასევე გამოიკვეთა გასაუბრებისას.<br><br>სახელმწიფო ენისა და ქართული, როგორც მეორე ენა საგნის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს და კათედრაზე ურთიერთთანამშრომლობის მაღალი კულტურითაც გამოირჩევიან. აგრეთვე, რუსული და ქართული სექტორის პედაგოგები ერთობლივად და შეთანხმებულად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს, იზიარებენ ერთმანეთის აზრსა და გამოცდილებას, გეგმავენ და ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. სასწავლო წლის მანძილზე ხორციელდებოდა სასწავლო შემოქმედებითი პროექტები სამივე საფეხურზე. აღსანიშნავია, საბაზო საფეხურზე განხორციელებული პროექტი ,,სამშვიდობო გზავნილი სამყაროს'', ტარდება კონფერენციები, აწყობენ გასვლით გაკვეთილებსა და ღონისძიებებს ქალაქის მოქმედ მუზეუმებსა და ღირშესანიშნავ ადგილებში, ეროვნული ფასეულობებისა გაცნობისა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით. ამასთანავე, სკოლაში ფუნქციონირებს მეწარმეთა კლუბი, აგრეთვე, დოკუმენტური ფილმების კლუბი ,,CINEDOC,, არებობს ელექტრონული ,,ლიტერატურული ჟურნალი'' და ე.წ. ,,შემოქმედებითი სივრცე'', სადაც ატვირთულია პედაგოგთა მიერ განხორციელებული შემოქმედებითი აქტივობები, სამუშაო პროცესის ამსახველი მასალა და მოსწავლეთა ნამუშევრები. ხშირად აწყობენ გასვლით ღონისძიებებს. |
| მათემატიკა | სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასკოლო გეგმის და კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესში მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს ჩართოს მოსწავლე აქტიურ შემოქმედებით პროცესში. |
| სპორტი | საგნობრივი კურიკულუმი მიემართება სამიზნე ცნებებს და ემსახურება მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს |

| | |
|---|---|
| | წარმოადგენს, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების და ურთიერთდაკავშირების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვლილი თემები მოსწავლეს ხელს შეუწყობს საგნობრივი საკითხების გააზრებაში. ხოლო აქტივობები და დავალებები მოსწავლეს დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში, გამოწვევასთან გამკლავებაში, პროდუქტის შექმნაში. გამომდინარე აქედან, კურიკულუმები და სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. |
| ტექნოლოგიები | სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. სასწავლო პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლა-სწავლების პრინციპებს ეფუძნება, რასაც ადასტურებს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია და მასწავლებელთან გასაუბრება, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაცია. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, შეფასებებსა და სხვადასხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, აგრეთვე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. |

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

## 2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სკოლაში დანერგილია შემხვედრ საჭიროებებზე რეაგირების ეფექტური მექანიზმი, რაც სასწავლო პროცესის დინამიურობასა და მოქნილობას უზრუნველყოფს. სასწავლო წლის განმავლობაში გამოკვეთილი აკადემიური თუ სოციალური გამოწვევების საპასუხოდ, დაწესებულება ახორციელებს კურიკულუმის ოპერატიულ ადაპტირებას, დამატებითი სასწავლო რესურსების მობილიზებასა და საჭიროების შემთხვევაში, სწავლების მეთოდოლოგიის მოდიფიცირებას. რეაგირების პროცესი ეფუძნება მოსწავლეთა მიღწევების მიმდინარე ანალიზსა და სასკოლო საზოგადოებისგან მიღებულ უკუკავშირს, რაც საშუალებას აძლევს სკოლას, დროულად აღმოფხვრას სასწავლო ბარიერები და შექმნას თითოეული მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული გარემო.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

## 3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | შეფასების სისტემა ატარებს ზოგად ხასიათს, შემუშავებულია ესგ სტანდარტთან მიმართებაში, გაწერილია ცნებების მიხედვით. უზრუნველყოფილია მისი ვალიდურობა, საჯაროობა, გამჭვირვალეობა, სანდოობა, ობიექტურობა. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლაში წარმოებს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი. შეფასების კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას - რა შეუძლია და მიემართება გრძელვადიან მიზნებს, ფასდება მხოლოდ ის მიმართულება, რომელიც რუბრიკითაა განსაზღვრული და მოსწავლეთათვის ცნობილია თუ რაში ფასდებიან, უზრუნველყოფილია შეფასების სამართლიანობა. შესაბამისად წარმოდგენილი შეფასების სისტემები არის ვალიდური, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. |
| უცხოური ენები | მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს განმსაზღვრელ (V კლასის II სემესტრი და VI კლასი - დაწყებით საფეხურზე; VII-XII კლასებში - საბაზო და საშუალო საფეხურებზე) და განმავითარებელ შეფასებებს ყველა საფეხურზე. შეფასება ხორციელდება ათქულიანი სისტემით. უცხოური ენების მასწავლებლები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს კონკრეტული რეკომენდაციების შესამუშავებლად. კათედრა იყენებს შეფასების სქემებს ამა თუ იმ აქტივობებისთვის, მაგალითად, დისკუსიის, ინფორმაციის მოძიების, პრეზენტაციის, პროექტის, რეფერატისა და სხვა დავალებისთვის. შეფასებისას მასწავლებელი ეყრდნობა კრიტერიუმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დაუფლების დონის განსაზღვრას. მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის; განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ითვალისწინებს გრძელვადიან მიზნებს. განმავითარებელი შეფასება აღწერს მოსწავლის განვითარების დინამიკას, ცოდნის კონსტრუირების პროცესს, წინარე ცოდნაზე ახლის დაშენებას. შეფასების ფორმები, დონეები და რუბრიკები მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი. პედაგოგები მოსწავლეებს ინტენსიურად აცნობენ შეფასების სისტემას, ხოლო კონკრეტული დავალებების შემთხვევაში - კონკრეტულ რუბრიკას, რომელიც უკავშირდება დავალების მიზანს. შემოქმედებითი დავალების პირობას შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით |

| | |
|---|---|
| | სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და მათ მშობლებს, რაც განაპირობებს მის გამჭვირვალობას. |
| ესთეტიკური აღზრდა | კათედრაზე შემუშავებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სისტემა, რომელიც სწავლა-სწავლების განუყოფელი ნაწილია და ცნობილია სკოლის საზოგადოებისთვის, რომლის მთავრი კომპონენტი ობიექტურობის დაცვაა, რაც ხაზგასმით ადასტურებს რომ შეფასება არის სანდო და ვალიდური. ორივე საგანში - ხელოვნება, მუსიკა გამოიყენება როგორც განმავითარებელ ასევე განმსაზღვრელ შეფასებება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ მასწავლებელი იყენებს მრავალფეროვან ინსტრუმენტს განმავითარებელი შეფასებისთვის და აქვს შედგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ინტერვიუს დროს გამოთქვეს მზაობა დახვეწონ და გაამრავალფეროვნონ შეფასების რუბრიკები |
| სახელმწიფო ენა | სამივე საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს. სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი და წარმოდგენილი შეფასების სისტემა, თავისი განმავითარებელი და განმსაზღვრელი რუბრიკებით და კრიტერიუმებით, უზრუნველყოფს მის ვალიდურობასა და ობიექტურობას, რადგან ის ზომავს ზუსტად იმ უნარებს, რაც კურიკულუმითაა გათვალისწინებული. კრიტერიუმების არსებობა ხელს უწყობს გამჭვირვალობასა და სანდოობას, ხოლო მათი თანმიმდევრული გამოყენება საფუძველს უყრის სამართლიან შეფასებას. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია, რაც ასევე უზრუნველყოფს პროცესის სიცხადესა და სანდოობას. |
| მათემატიკა | შეფასების სისტემის ვალიდურობაზე, გამჭირვალობაზე, სანდოობაზე, ობიექტურობაზე, სამართლიანობაზე მეტყველებს მკაფიოდ გაწერილი შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები, რომელიც მოსწავლეებისათვის მარტივი ენითაა ჩამოყალიბებული, ადვილად გასაგები და მისაწვდომია. მათ ზუსტად იციან, როგორ ფასდება და რა მიზნისკენაა მიმართული შეფასება.<br>მათემატიკის მასწავლებელმა წარადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. ინტერვიუს დროს და გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე (შეფასების რუბრიკები) გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვს განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. |

| | |
|---|---|
| სპორტი | სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, სისტემის გამჭვირვალობას და ობიექტურობას ადასტურებს ის გარემოება, რომ მასწავლებლები შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია იმ შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რითაც ისინი შეფასდებიან სპორტული აქტივობების დროს, ეს ყოველივე საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უფრო ორგანიზებულად და მონდომებით შეასრულონ აქტივობები. შეფასების სისტემა ასევე აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. |
| ტექნოლოგიები | სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნაჩვენებია შეფასების რუბრიკების და მექანიზმების განხორციელება და ვალიდაცია სკოლაში და წარმოდგენილია უკვე არსებული შეფასების რუბრიკების ნიმუშები. აღწერის მიხედვით შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სკოლას შემუშავებული და განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუმენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს. შესაბამისად, შეფასება არის სანდო, ვალიდური, ობიექტური და სამართლიანი. |

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

**4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

სკოლაში შემუშავებულია და დოკუმენტურად განსაზღვრულია შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც მიზნად ისახავს მოსწავლეთა შეფასების ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის უზრუნველყოფას. დოკუმენტი აღწერს შეფასების ინსტრუმენტების გადამოწმებისა და შედეგების ანალიზის პროცედურებს. სკოლა ცდილობს ყოველდღიურ სასკოლო პრაქტიკაში აქტიურად დანერგოს აღნიშნული მექანიზმი. სკოლას აქვს მზაობა დროთა განმავლობაში სრულყოფილად დანერგოს და განავითაროს ვერიფიკაციის პროცესი.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

**5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლაში ჩამოყალიბებულია შეფასებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის (მონაცემები, ინფორმაცია, მტკიცებულებები) აღრიცხვისა და არქივირების მოწესრიგებული სისტემა. დაწესებულება უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების ამსახველი მასალების, მათ შორის შემოქმედებითი დავალებების, შეფასების რუბრიკებისა და სხვა მტკიცებულებების შენახვას კანონმდებლობითა და შიდა რეგულაციებით დადგენილი ვადით (არანაკლებ 3 წელი).

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სსიპ ქ. ბათუმის N3 საჯარო სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- ბრძანება № 01-03/224, სსიპ ქ. ბათუმის N3 საჯარო სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების შესახებ;

### 2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | სასწავლო პროცესში გამოიყენება ძირითადი რესურსი გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების სახით. ასევე დამატებითი რესურსები უმეტესად ციფრული და მედიამასალების სახით. |

| | |
|---|---|
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | სკოლა ძირითად სასწავლო რესურსად იყენებს გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. დამატებითი ელექტრონული რესურსების გამოყენებისთვის სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, გამართული ინტერნეტი. საკლასო ოთახებში განთავსებულია შესაბამისი მატერიალური რესურსი: რუკები, ცხრილები და სხვა. რესურსებად გამოყენებულია მოსწავლეთა ნამუშევრები. სარგებლობენ სკოლის ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურით.<br><br>ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ მას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვს დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ რესურსებს. გასაუბრებისას მასწავლებელმა ასევე აღნიშნა, რომ ატარებენ გასვლით გაკვეთილებს მუზეუმებში, არქეოლოგიურ ექსპედიციებში და ასევე ბათუმის შემოგარენის ხელმისაწვდომ ისტორიულ ობიექტებზე, რაც მოსწავლეებს ეხმარება თვალსაწიერის გაფართოებაში და მასალის უკეთ აღქმასა და დამუშავებაში. |
| უცხოური ენები | სკოლის საგნობრივ კურიკულუმებში მითითებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები.<br>საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი რესურსია გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები.<br>საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრულია ელექტრონული რესურსების გამოყენება, რომელიც ერთობლივად ირჩევა პედაგოგების მიერ სასწავლო წლის დასაწყისში. |
| ესთეტიკური აღზრდა | კურიკულუმში ჩაშენებულია სასწავლო რესურსები, როგორც ძირითადი გრიფირებული სახელმძღვანელოს, ასევე დამატებით რესურსების სახით, რაც ზრდის სწავლების ეფექტიანობას. |
| სახელმწიფო ენა | კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, მრავლად გვხვდება ციფრული რესურსები და მაორგანიზებელი სქემები. მოქმედია დამხმარე რესურსებისათვის განკუთვნილი ელექტრონული ბმულები. აგრეთვე, სწავლების დროს იყენებენ სხვადასხვას საგანმანთლებლო პლატფორმებსაც, რაც დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს. |

| | |
|---|---|
| მათემატიკა | მასწავლებელთან გასაუბრების დროს გაირკვა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში, რასაც ასევე ადასტურებს წარმოდგენილი მოსწავლის მიერ შესრულებული დავალების ნიმუში.<br><br>მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია მოსწავლეზე მორგებული სასწავლო შინაარსი - შეთავაზებულია მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული სასწავლო მასალა და ელ. რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. ინტერვიუს დროს პედაგოგმა აღნიშნა, რომ მას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვს დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობს დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ რესურსებს. გასაუბრებისას მასწავლებელმა ასევე აღნიშნა, რომ ატარებენ გასვლით გაკვეთილების, კერძოდ მიუწვდომელ ადგილამდე მანძილის განსაზღვრის სწავლების დროს მოსწავლეებს დაავალა ქ. ბათუმში მდებარე „ანბანის კოშკის" სიმაღლის განსაზღვრა.<br>კურიკულუმის ანალიზმა და მასწავლებელთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე სასწავლო რესურსები, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სწავლა-სწავლების ეფექტიანობასა და მიზნობრივი შედეგების მიღწევას. |
| სპორტი | კურიკულუმის გაცნობის და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები სრულად გამოიყენება სასწავლო პროცესში, სკოლას აქვს საკმარისი სპორტული ინვენტარი და გამართული ინფრასტრუქტურა, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს დაუბრკოლებლად. |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში ასახულია მრავალფეროვანი სასწავლო ციფრული რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით განსაზღვრულ შედეგების მიღწევას. სკოლა აღჭურვილია თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკით და ინტერნეტით, სადაც ასევე გამოიყენება მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი.<br><br>***რჩევა:*** *სასურველია სკოლაში ფუნქციონირებდეს STEAM ან კომპიუტერული ტექნოლოგიების კლუბი.* |

| | |
|---|---|
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში გაწერილია, თუ რომელ ძირითად სახელმძღვანელოებს იყენებს სკოლა და რომელი დამატებითი რესურსები აქვთ შერჩეული სწავლებისას, კურიკულუმებში ჩაშენებულია ელექტრონული რესურსებიც. წარმოდგენილია რამდენიმე გაკვეთილის გეგმა, რომლებშიც ჩანს დასახელებული რესურსების ეფექტური გამოყენება. |

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

## 2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | დამხმარე სასწავლო რესურსები შეირჩევა სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე, კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისად. ეს საკითხები დინამიკაში განიხილება კათედრის სხდომებზე, ორივე სექტორის წარმომადგენლებს შორის. |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კათედრის მიერ წარმოდგენილი N1 ოქმისა და კათედრის სამოქმედო გეგმის თანახმად, სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას: სასწავლო წლის დაწყებამდე კათედრის წევრებს შორის კოორდინირებული თანამშრომლობის ფარგლებში განიხილება იმ დამატებით რესურთა სწავლების ეფექტიანობა-შესაბამისობის შეფასება, რომელთა გაწერაც იგეგმება საგნობრივ კურიკულუმში.<br><br>***რჩევა:***<br><br>***ქართული და რუსული სექტორების, დაწყებით და საბაზო საფეხურზე*** *შემოქმედებით პროდუქტში/იდეა-მიზანი ჩაშენებული ელექტრონული რესურსები სასურველია, წინასწარ შემოწმდეს: რამდენად არის ხელმისაწვდომი, არის თუ არა მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შერჩეული ან შექმნილი და შემოქმედებითი დავალების განხორციელებისთვის რელევანტური.* |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | სკოლა ახორციელებს დამხმარე რესურსების ვალიდაციას, თუმცა ცალკე დოკუმენტის სახით დამხმარე რესურსების ვალიდაციის მექანიზმი არ არის წარმოდგენილი. რესურსების ჩამონათვალი შესაბამისი დასაბუთებით განიხილება და მტკიცდება საგნობრივ კათედრებზე სასწავლო წლის დაწყებამდე საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება/რევიზიის პროცესის ფარგლებში და იგი სასკოლო სასწავლო გეგმის (საგნობრივი კურიკულუმების) შემადგენელი ნაწილია. სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და შეხვედრებზე განიხილავენ კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის საკითხებს, მათ შორის შერჩეული დამხმარე რესურსის ვალიდურობასა და ეფექტიანობას, რაც აადვილებს რესურსის შეფასების საქმეს. |
| ესთეტიკური აღზრდა | ინტერვიუებისა და დოკუმენტაციის ანალიზი ადასტურებს, რომ მასწავლებლები ყურადღებით იკვლევენ დამხმარე სასწავლო მასალებს და არჩევენ მხოლოდ მიზნობრივ და ეფექტურ რესურსებს. ვალიდაციის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რესურსების შესაბამისობას კურიკულუმთან, სასწავლო მიზნებთან და მოსწავლეთა საჭიროებებთან, რაც უზრუნველყოფს მათი გამოყენების მიზანმიმართულობას. ასევე ირკვევა, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია პროცედურები, რომლებიც მხარს უჭერს დამხმარე სასწავლო რესურსების ხარისხის შეფასებას. ამ მიდგომების ერთად ფორმირებას განაპირობებს ის, რომ შერჩეული მასალები რეალურად უწყობს ხელს სწავლების ხარისხის ამაღლებასა და მოსწავლეთა პროგრესს. |
| სახელმწიფო ენა | რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე პროექტების განხორციელების დროს. სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ახალი დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია შესაბამისი წესით. |
| მათემატიკა | სკოლის მიერ წარმოდგენილ მათემატიკის კურიკულუმებში გაწერილი რესურსები შერჩეულია კათედრის წევრების მიერ და მისი მიზნობრივი გამოყენება განხილულია კათედრის სხდომაზე. რესურსები შერჩეულია სხვადასხვა საგანმანათლებლო პორტალიდან, არხებიდან, ტელესკოლის გაკვეთილებიდან, სასწავლო ტრენინგებიდან. ყოველივე ეს ცხადყოფს რესურსების ვალიდაციას. |

| | |
|---|---|
| სპორტი | სკოლას არ წარმოუდგენია კონკრეტული დოკუმენტი ვალიდაციის პროცესის, თუმცა გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მუდმივად ხდება კათედრის სხდომაზე წევრებს შორის დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის შეფასება, ასევე აღინიშნა მზაობა დოკუმენტაციის შექმნის შესახებ. |
| ტექნოლოგიები | დაწყებით საფეხურზე, საგან კომპიუტერულ ტექნოლოგიებში წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ვალიდურია, რადგან შეესაბამება სასწავლო მიზნებს, საგნობრივ სტანდარტებს და მოსწავლეთა საჭიროებებს. რომელიც განხილულია და დამტკიცებულია საგნობრივი კათედრის მიერ. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება დაწყებითი კათედრის შეხვედრის ფარგლებში. სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევს, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე სამინისტროს მიერ მოწოდებულ რესურსებს. |

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

**3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.
ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

| | |
|---|---|
| საბუნებისმეტყველო მეცნიერებები | საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა ხასიათდება შემდეგი მდგომარეობით: სკოლას გააჩნია მრავალფეროვანი ლაბორატორიული ინვენტარი (სინჯარები) და მცირე რაოდენობის უსაფრთხო რეაქტივები. პედაგოგები ამ რესურსის ფარგლებში ცდილობენ საბაზისო მოვლენების დემონსტრირებას, რაც გარკვეულწილად ეხმარება მოსწავლეებს თეორიული მასალის აღქმაში. ფიზიკური ლაბორატორიული სივრცისა და აღჭურვილობის ნაკლებობის პირობებში, სკოლა აქტიურად ეყრდნობა **ვირტუალურ სიმულაციებსა და ციფრულ რესურსებს**, რაც ამ ეტაპზე სწავლების ძირითად დამხმარე საშუალებას წარმოადგენს. |

| | |
|---|---|
| | **დასკნის პროექტში დაფიქსირებული ხარვეზი:**<br>სკოლას **აქვს ლაბორატორიისთვის სივრცე, თუმცა არ არის აღჭურვილი სტანდარტების შესაბამისად**, კერძოდ, არ არის ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდები, არ არის გამწოვი, რკინის კარადა რეაქტივებისთვის, სველი წერტილი, შესაბამისად **ორივე სექტორის საბაზო და საშუალო საფეხურზე** არ არის საკმარისი ესგ-ით განსაზღვრული სავალდებულო კვლევითი და პრაქტიკული სამუშაოების სრულყოფილად განსახორციელებლად. აღნიშნული ზღუდავს მოსწავლეთა შესაძლებლობას, დამოუკიდებლად განივითარონ კვლევითი უნარ-ჩვევები.<br><br>***სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 07.2026-06.2027 პერიოდი და გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობა ცეცხლგამძლე ზედაპირის მქონე მაგიდებით, გამწოვით, რკინის კარადით რეაქტივებისთვის და სველი წერტილით. შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება“. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა.*** |
| საზოგადოებრივი მეცნიერებები | კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმაში არსებული ჩანაწერის, ავტორიზაციის ჯგუფის წარმომადგენელთა ადგილზე ვიზიტისა და მასწავლებელთა ინტერვიუს დროს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლას საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის გააჩნია შესაბამისი მატერიალური რესურსი და საჭირო ინფრასტრუქტურა (საჭირო რაოდენობის მერხები, სკამები, დაფები, კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები, წიგნადი ფონდი, სხვა რესურსები, წვდომა ინტერნეტთან). |

| | |
|---|---|
| უცხოური ენები | უცხოურ ენებში, კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (კომპიუტერები, პროექტორი), ასევე პედაგოგების და მოსწავლეების მიერ შექმნილი რესურსები (მ.შ. ხელნაკეთი) |
| ესთეტიკური აღზრდა | დოკუმენტაციისა და ინტერვიუებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში სწავლების ეფექტიანობას მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს შესაბამისი ტექნიკური და მატერიალური ბაზა. სასწავლო პროცესი აღჭურვილია კომპიუტერული ტექნოლოგიებით, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას აქტიურად ჩაერთონ სხვადასხვა სასწავლო აქტივობაში. სკოლას გააჩნია მუსიკალური ინსტრუმენტები და საჭირო სასწავლო ლიტერატურა, რაც ხელს უწყობს როგორც მუსიკის, ისე სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების საგნებში პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას. |
| სახელმწიფო ენა | სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა,რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. საკლასო სივრცე აღჭურვილია მოსწავლეთა ზღვრული ადგილების რაოდენობის მიხედვით საჭირო ინვენტარით, რაც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს აქტიურად ჩაერთონ სწავლის პროცესში. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები. |
| მათემატიკა | სკოლა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, რასაც ადასტურებს სკოლის ტექნიკური აღჭურვილობა.<br><br>საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრულია აგრეთვე ელექტრონული რესურსების გამოყენება. მოსწავლეებისათვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორია. უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მიღწევა შესაბამისი მატერიალური რესურსით. |
| სპორტი | სკოლას აქვს გამართული სპორტული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი სპორტული ინვენტარი, რაც პედაგოგებს უწყობს ხელს დაუბრკოლებლად დაგეგმონ სპორტული აქტივობები და განახორციელონ საგაკვეთილო-სასწავლო პროცესი. შესაბამისად, კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. |

| | |
|---|---|
| ტექნოლოგიები | სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია სრულად განახლებულია და აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. კომპიუტერების რაოდენობა სრულ შესაბამისობაშია კლასებში მოსწავლეთა რაოდენობასთან, რაც საგაკვეთილო პროცესის შეუფერხებლად და სრულფასოვნად წარმართვის შესაძლებლობას იძლევა. |
| ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური | სწავლის შედეგების მისაღწევად სკოლა უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით შესაბამისი მატერიალური რესურსით. |

ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად" დაკმაყოფილებულია.

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

**თანამშრომელთა ბაზის, ხელშეკრულებების პირადი საქმეების შესწავლისა შედეგად გამოიკვეთა საგნები და საფეხურები, რომელზეც საგაკვეთილო პროცესს უძღვებოდნენ შესაბამისი კვალიფიკაციის არმქონე პირები, რაც რისკის ქვეშ აყენებს კურიკულუმით დასახული მიზნების სრულფასოვან მიღწევასა და სწავლა/სწავლების ხარისხს. აღნიშნული ხარვეზის შესახებ დეტალური ინფორმაცია, საგნების, სექტორებისა და საფეხურების მითითებით, ასახულია III სტანდარტის 3.1.2.4 ინდიკატორის აღწერაში.**

- დაწყებით საფეხურზე, როგორც ქართულ, ასევე, რუსულ სექტორზე სახვით და გამოყენებით ხელოვნებას, მუსიკასა და ფიზიკურ აღზრდას ასწავლიან მასწავლებლები, რომლებსაც არ აქვთ აღნიშნული საგნების სწავლების უფლება.
- დაწყებით საფეხურზე, ორივე სექტორზე, მე და საზოგადოებას ასწავლიან მასწავლებლები, რომლებსაც არ აქვთ საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნის სწავლების უფლება.
- დაწყებით საფეხურზე როგორც ქართულ, ასევე, რუსულ სექტორზე, ჭადრაკს ასწავლიან მასწავლებლები, რომლებსაც არ უდასტურდებათ შესაბამისი მომზადება, რითაც დარღვეულია ესგ-ს მოთხოვნა.
- დაწყებით საფეხურზე, ქართულ სექტორზე, ბუნებისმტყველებას ასწავლიან მასწავლებლები, რომლებსაც არ აქვთ შესაბამისი საგნის სწავლებისთვის საჭირო კვალიფიკაცია.
- რუსულ სექტორზე, საბაზო საფეხურზე, საგანს - „ქართული ენა (არაქართულენოვანი სკოლებისთვის/სექტორებისთვის)" ასწავლიან პირები, რომლებსაც არ აქვთ „ქართული, როგორც მეორე ენის" საგნის სწავლების უფლება;
- რუსულ სექტორზე, საშუალო საფეხურზე, არჩევით საგანს - ხელოვნების ისტორია ასწავლის რუსული ენის მასწავლებელი, რომელსაც არ უდასტურდება ხელოვნების ისტორიის სწავლების უფლება;

- ქართულ სექტორზე, საბაზო საფეხურზე, ქართულ ენასა და ლიტერატურას ასწავლის მასწავლებელი, რომელსაც ჩაბარებული აქვს ქართული, როგორც მეორე ენა და არ უდასტურდება ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების უფლება;

*სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის გეგმა დასკვნის პროექტში ასახულ ხარვეზთან დაკავშირებით. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით ხარვეზის აღმოფხვრის ვადად განსაზღვრა 07.2026-15.09.2026 პერიოდი და გაწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები. კერძოდ:*

- *შესაბამისი კვალიფიკაციის მასწავლებლების ვაკანტურ პოზიციებზე კონკურსის გამოცხადების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ასევე, განმარტება, რომ რუსულ სექტორზე დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები (I-IV კლ -საგნები: ეთნიკური უმცირესობის ენა, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება) დარეგისტრირდნენ გამოცდებზე, რაც დასტურდება საგამოცდო ბარათებით (შესრულების საბოლოო ვადა 15.09.2026);*
- *დაწყებითი საფეხურის რუსულ სექტორზე, მასწავლებლები დარეგისტრირებულნი არიან საგნის გამოცდაზე, უარყოფითი შედეგების შემთხვევაში კი საათები გადანაწილდება ისტორია, გეოგრაფია და სამოქალაქო განათლების სერტიფიცირებულ პედაგოგებზე (შესრულების საბოლოო ვადა 15.09.2026).*

*გარდა ხარვეზის აღმოსაფხვრელად განსაზღვრული აქტივობებისა, სკოლამ წარმოადგინა განმარტება, რომლითაც აღმოიფხვრა ხარვეზი ცალკეული საგნის, საფეხურის ან/და სექტორის მიმართულებით ან აღმოიფხვრება სასწავლო წლის დაწყებამდე. კერძოდ, სკოლამ განმარტა, რომ:*

- *დაწყებით საფეხურზე, ქართულ სექტორზე „მე და საზოგადოების" საათები ახალი სასწავლო წლიდან გადანაწილდება იმ მასწავლებლებზე, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ დაწყებითი კლასების (I-IV) კომბინირებული გამოცდა და შესაბამისად, აღარ საჭიროებს კონკურსის გამოცხადებას;*
- *საბაზო საფეხურზე, ქართულ სექტორზე, ახალი სასწავლო წლიდან ქართული ენის საათები გადანაწილდება სკოლის სერტიფიცირებულ ქართული ენის მასწავლებელთა შორის, შესაბამისად არ საჭიროებს კონკურსის გამოცხადებას;*
- *გარდა ამისა, რუსულ სექტორზე, საშუალო საფეხურზე, ახალი სასწავლო წლიდან არჩევითი საგნის „ხელოვნების ისტორიის" საათები გადანაწილდება სკოლის სერტიფიცირებულ ხელოვნების მასწავლებლებზე და შესაბამისად, აღარ საჭიროებს კონკურსის გამოცხადებას;*
- *წარმოადგინა ჭადრაკის მასწავლებლის მიერ შესაბამისი ტრენინგის გავლის დამადასტურებელი ცნობა, რომელიც მასწავლებელს ანიჭებს ჭადრაკის სწავლების უფლებას.*

***შესაბამისად, ინდიკატორი, რომელიც არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება", არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის შემდეგ შეფასდა როგორც „მეტწილად შეესაბამება". სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოს ხარვეზების აღმოფხვრა.***

**ინდიკატორის მოთხოვნა „მეტწილად" დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 წ.წ.
- შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა
- საგნობრივი კურიკულუმები;
- კლუბის დებულებები;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

ქართული სექტორი

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☐ შეესაბამება<br>☑ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☑ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☑ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | | |
|---|---|---|
| | | |

რუსული სექტორი

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☐ შეესაბამება<br>☑ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☑ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☐ შეესაბამება<br>☑ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

**2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება**

**2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი და შეფასება ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია. სკოლა, ასევე, ცალსახად გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება აისახოს მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესებისათვის, განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას, გაზომოს როგორც შედეგი, ასევე პროცესი. მონიტორინგისა და შეფასების პროცესი არის სისტემური და მოიცავს დაკვირვების სხვადასხვა ინსტრუმენტს, როგორიცაა საგაკვეთილო პროცესზე დასწრება, შემოქმედებითი დავალებების ხარისხის შემოწმება და თემატური მატრიცების რეალიზების დინამიკის ანალიზი. წარმოდგენილი

მეთოდოლოგიით, სკოლა აცხადებს მზაობას, სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება განახორციელოს შემუშავებული ინდიკატორების შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

## 2. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და თვითშეფასების ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწესებულებას კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების პროცესში გააზრებული აქვს მონიტორინგისა და შეფასების სისტემური როლი. მნიშვნელოვანია, რომ სკოლა ერთმანეთისგან გამიჯნავს და ფუნქციურად აკავშირებს ორ უმნიშვნელოვანეს კომპონენტს: პროცესის კონტროლს და შედეგზე ორიენტირებულობას. ინტერვიუებისა და დოკუმენტური მასალის შესწავლისას გამოიკვეთა სკოლის მკაფიო სამომავლო ხედვა და მზაობა, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება დააფუძნოს განმავითარებელი მხარდაჭერის პრინციპს. ხარისხის განვითარებისა და პროფესიულ მხარდამჭერთა ჯგუფის აქტივობა - გაკვეთილებზე დასწრება, სწავლა-სწავლების პროცესზე დაკვირვება და მასწავლებლებისა თუ მოსწავლეებისთვის თვისებრივი, განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდება - ქმნის უსაფრთხო და თანამშრომლობით პროფესიულ გარემოს.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

## 3. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას

სკოლაში მონიტორინგის სისტემა ატარებს მხარდამჭერ ხასიათს და მიზნად ისახავს სასკოლო საზოგადოების წევრების პროფესიულ და აკადემიურ დახმარებას. მასწავლებლებისთვის ეს პროცესი გულისხმობს კონსტრუქციული უკუკავშირის მიღებასა და კოლეგიალურ დახმარებას სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ხოლო მოსწავლეებისთვის - მათი ინდივიდუალური საჭიროებების იდენტიფიცირებასა და წინსვლის ხელშეწყობას. მონიტორინგის ფარგლებში განხორციელებული აქტივობები ქმნის უსაფრთხო და თანამშრომლობით გარემოს, სადაც შეფასება აღქმულია, როგორც განვითარების ინსტრუმენტი და არა როგორც სადამსჯელო მექანიზმი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სკოლა აცხადებს მზაობას, მონიტორინგი და შეფასება გამოიყენოს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდასაჭერად.

**ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კათედრის ოქმები.

### 2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სასწავლო პროცესის შეფასებისას სკოლა არ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური მოსწრების მონაცემებით და ეყრდნობა ინფორმაციის მრავალფეროვან წყაროებს. ანალიზი მოიცავს მასწავლებელთა რეფლექსიებს, მოსწავლეთა თვითშეფასებებს, მშობლებისგან მიღებულ უკუკავშირსა და კათედრის სხდომებზე განხილულ საგნობრივ ანგარიშებს. წყაროების ასეთი მრავალფეროვნება იძლევა საშუალებას, სასწავლო პროცესი დაინახოს სხვადასხვა პერსპექტივიდან, რაც ობიექტურს ხდის დასკვნებს პროგრამის ეფექტურობისა და მოსწავლეთა რეალური პროგრესის შესახებ.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

შეფასების პროცესი ითვალისწინებს იმ მრავალმხრივ კონტექსტს, რომელშიც მიმდინარეობს სწავლა-სწავლება. სკოლა აანალიზებს სასწავლო გარემოს, კლასის დინამიკას, სოციალურ-კულტურულ ფაქტორებსა და ინდივიდუალურ საგანმანათლებლო საჭიროებებს. კონტექსტური შეფასება საშუალებას იძლევა, სწავლის შედეგები განხილულ იქნას არა იზოლირებულად, არამედ იმ გარემოებებთან მიმართებით, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსწავლის მოტივაციასა და ჩართულობაზე, რაც ხელს უწყობს უფრო სამართლიანი და ადეკვატური დასკვნების გამოტანას.

<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

დოკუმენტების ანალიზის შედეგად და მოსწავლეებთან, მშბლებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუირების პროცესში დადგინდა, რომ მონაცემთა შეგროვების პროცესში სკოლა იყენებს სხვადასხვა მეთოდოლოგიურ ინსტრუმენტებს, რაც უზრუნველყოფს მრავალფეროვანი ინფორმაციის შეგროვებას. გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი (ტესტირების შედეგები, დასწრების მაჩვენებლები), ისე თვისობრივი მეთოდები (საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, ინტერვიუები, მოსწავლეთა შემაჯამებლების ანალიზი). თუმცა სკოლა გეგმავს გამოყენებული მეთოდების გამრავალფეროვნებას და ისეთი თვისობრივი მეთოდების გამოყენებას მონაცემთა შეგროვების მიზნით, როგორებიცაა გამოკითხვა, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფები და ა.შ.

**<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან ინტერვიუირების პროცესში დადგინდა, რომ სწავლის პროცესის შეფასებისას გათვალისწინებულია ყველა ის შიდა თუ გარე ფაქტორი, რომელიც ზემოქმედებს საგანმანათლებლო მიზნების მიღწევაზე. ანალიზისას ყურადღება ექცევა ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა სასწავლო რესურსების ადეკვატურობა, მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებები, მოსწავლეთა ფსიქო-ემოციური მდგომარეობა და მშობელთა ჩართულობის ხარისხი. სხვადასხვა ფაქტორის კომპლექსური გათვალისწინება უზრუნველყოფს შეფასების ჰოლისტურ ხასიათს და ეხმარება სკოლას, იდენტიფიცირებული ხარვეზები დაუკავშიროს მათ გამომწვევ რეალურ მიზეზებს.

**<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

ქართული სექტორი

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

რუსული სექტორი

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## 2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
### 2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული დაკვირვებისა და კათედრების მუშაობის შეჯამების საფუძველზე, სკოლაში ფორმირდება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი. აღნიშნული მოიცავს კონკრეტულ

მიგნებებს სწავლების მეთოდოლოგიის, რესურსების ეფექტურობისა და კომპლექსური დავალებების ვალიდურობის შესახებ. სარეკომენდაციო პაკეტი წარმოადგენს ორიენტირს პედაგოგებისთვის, რათა მათ მომავალი სასწავლო წლის დაგეგმარებისას გაითვალისწინონ გამოკვეთილი საჭიროებები, უზრუნველყონ მასწავლებელთა პროფესიული მხარდაჭერა და გააუმჯობესონ სასწავლო პროცესის ხარისხობრივი მაჩვენებლები.

**<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

კურიკულუმის ყოველი მომდევნო გადამუშავებული ვერსია წარმოადგენს სასწავლო პროცესის უწყვეტი განვითარების შედეგს, რომელიც პირდაპირ ეფუძნება სკოლის წინარე გამოცდილებას. გადამუშავების პროცესში სრულად არის ინტეგრირებული მონიტორინგისა და შეფასების სისტემური შედეგები, რაც საშუალებას იძლევა, კურიკულუმიდან განიდევნოს ნაკლებეფექტური სტრატეგიები და გაძლიერდეს ის მიდგომები, რომლებმაც საუკეთესო გავლენა მოახდინეს მოსწავლეთა პროგრესზე.

**<u>ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.</u>**

დასტურდება (მტკიცებულებები):
*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- საგნობრივი კურიკულუმები;
- კათედრის ოქმები;
- შემაჯამებელი დავალებების, ინტეგრირებული გაკვეთილების ნიმუშები: საგანი -„ჩვენი საქართველო“, გეოგრაფია, ისტორია, სამოქალაქო განათლება;
- პროექტები: 1. სოციალური პროექტი- „მოზარდები და სკოლის საჭიროება' , "ბავშვის უფლებები და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება" და ისტორიულ-ეთნოგრაფიული, შემეცნებითი ხასიათის პროექტები- საცხოვრებელი სახლები და დასახლების ტიპები ძველ საქართველოში",(ხელმძღვანელი: გურამ ჩხატარაშვილი) და სხვა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*

- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

ქართული სექტორი

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

რუსული სექტორი

| *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* | *საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა* |
|---|---|---|
| ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ☑ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.............................................................................................................................................................................

თარიღი: 03.08.2026 წ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

Ia Kuridze 61001057014

Digitally signed by Ia Kuridze
Date: 2026.08.03 17:48:18

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: